ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფოუნივერსიტეტის

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა დაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა „განათლების მეცნიერებები “

ირმა ბოლქვაძე

მოქალაქეობის აღქმისა და მოქალაქეობრივი განათლების პრაქტიკის კვლევა მასწავლებლებში

(თბილისის საჯარო სკოლების მაგალითზე)

ნაშრომი შესრულებულია განათლების მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ზაქარია ქიტიაშვილი,

თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული

პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი

2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში საუბარია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოქალაქეობრივი განათლების მნიშვნელობაზე.

იმის მიუხედავად, რომ მოქალაქეობრივი განათლება ფართოდ არის წარმოდგენილი ეროვნულ საგანმანათლებლო კანონმდებლობაში, სწავლების პროცესში მიზანმიმართულად არ ხორციელდება მოქალაქეობრივი უნარ-ჩვევებისა და ღირებულებების ფორმირება, მაშინ როდესაც, სწორედ ის უზრუნველყოფს ინდივიდის ჩამოყალიბებას საღი აზროვნების მქონე განათლებულ მოქალაქედ, რომელიც საზოგადოებრივი გადაწყვეტილებების მიღებაში აქტიურად არის ჩართული, მოქალაქეობა კი იმ ხუთ კომპეტენციათა შორის არის მოხსენიებული, რომლებიც აუცილებელია სოციალური ინტეგრაციისა და დემოკრატიული კულტურისთვის.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოქალაქეობრივი განათლების მნიშვნელობის განსაზღვრა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოქალაქეობრივი განათლების პრაქტიკულ განხორციელებაზე ყურადღების გამახვილება განსაზღვრავს ჩვენი **თემის აქტუალობას.**

მოცემული ნაშრომი თემის აქტუალობიდან გამომდინარე მოიცავს რამდენიმე ძალზე მნიშვნელოვან **სიახლეს.** კერძოდ:

1. მოქალაქეობრივი განათლების მნიშვნელობის განსასაზღვრად გავაანალიზეთ ქართული და უცხოური ლიტერატურა;
2. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოქალაქეობრივი განათლების თანამედროვე ვითარების გამოსაკვლევად:

   ა) შევისწავლეთ ქართული საგანმანათლებლო კანონმდებლობა;

ბ)ჩავატარეთ კვლევა თითოეული საფეხურისა და საგნის მასწავლებელთან მოქალაქეობრივ განათლებასა და მის მნიშვნელობასთან დაკავშირებით, ასევე, მოქალაქეობრივი განათლების პრაქტიკასთან დაკავშირებით, კერძოდ, რა სტრატეგიებს მიმართავენ მოქალაქეობრივი განათლების განსახორციელებლად, რა ბარიერებს აწყდებიან მოქალაქეობრივი განათლების პროცესში.

სამაგისტრო ნაშრომის **მიზანი** -ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოქალაქეობრივი განათლების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი და პრობლემების გამოვლენა.

თემის ამოცანა – დავადგინოთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სხვადასხვა საგნის მასწავლებლებს

- როგორ ესმით მოქალაქეობა;
- გააზრებული აქვთ თუ არა მათი საგნის მნიშვნელობა მოქალაქეობრივი განათლების კუთხით?
- როგორ ახორციელებენ მოქალაქეობრივ განათლებას პრაქტიკაში;
- სწავლების რომელ მიდგომებსა და სტრატეგიებს იყენებენ მოქალაქეობრივი განათლების პროცესში;

კვლევის საგანი - მოქალაქეობა და მოქალაქეობრივი განათლების პრაქტიკა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში.

კვლევის ობიექტი -მოქალაქეობრივი განათლების პრაქტიკული რეალიზების პროცესი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში.

კვლევის მეთოდები – თვისებრივი კვლევა (ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუ მასწავლებლებთან, დოკუმენტების ანალიზი).

კვლევის სამიზნე ჯგუფი – ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებლები.

ძირითადი შედეგები - ქართულ საგანმანათლებლო კანონმდებლობაში მოქალაქეობრივ განათლებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

მასწავლებლებთან ჩატარებულმა კვლევამ კი გვიჩვენა:

- მასწავლებლებს სწორად ესმით მოქალაქის არსი;

- მასწავლებელთა მნიშვნელოვან ნაწილს გააზრებული აქვს მისი საგნის მნიშვნელობა მოქალაქეობრივი განათლების კუთხით;
- მოქალაქეობრივი განათლების განხორციელების პროცესი არ არის სტრუქტურირებული და ორგანიზებული;
- მასწავლებლებს არ აქვთ განსაზღვრული და შემუშავებული გარკვეული მიდგომები და სტრატეგიები მოქალაქეობრივი განათლების განსახორციელებლად;
- მასწავლებლები მოქალაქეობრივი განათლების პროცესში ვერ უზრუნველყოფენ მოსწავლეებს მოქალაქეობასთან დაკავშირებული მონაწილეობითი პრაქტიკით, შესაბამისად, მოქალაქეობრივ უნარებს ვერ განავითარებენ ჩვევების დონეზე;
- მასწავლებლების მნიშვნელოვანი ნაწილი მოქალაქეობრივ განათლებას საგაკვეთილო პროცესის ნაწილად არ განიხილავს;
- მასწავლებლები მოქალაქეობრივი განათლების პროცესში მნიშვნელოვან დაბრკოლებებად ტექნოლოგიების სიმწირესა და ოჯახების რეზისტენტულობას ასახელებენ.

Abstract

Master's work concernswith the importance of citizenship education in secondary educational institutions of general instruction.

Neverassless of it, that citizenship education is widely represented in the National Legislation of Education, in the process of teaching, development of citizenship skills and values are not accomplished on purpose, while just it provides the formation of an individual as an educated citizen with sound mind, which is actively involved in making the public decisions, citizenship is mentioned among the five competences that are essential for social integration and democratic culture.

Referring all the mentioned above, determination of importance of citizenship education and focusing on practical implementation of citizenship education in secondary educational institutions of general instruction is defining the importance of our work.

The present work, referring the actuality of subject, contains the several very important **novelties**, namely:

1. For the purpose of determination of citizenship education we've analyzed the Georgian and foreign literature;
    a) For the purposeof examining the current situation of citizenship education in secondary educational institutions of general instruction.
    b) We've studied the Georgian Educational Legislation;

c) We've conducted the study about the citizenshipeducation and its importance with the teachers of each level and subject, as well asin relation with the practice of citizenship education,namely, what strategies are applied for the implementation of citizenshipeducation,what obstacles are they have to face in the process of citizenshipeducation.

The aim of Master's Work-analyzing the current condition of citizenship education in secondary educational institutions of general instruction and revealing the problems.

The task of the topic – to establish how the teachers of different subjects at secondary educational institutions of general instruction.

- Understand the citizenship;
- Whether they comprehend the meaning of their subject from the point of view of citizenship education or not?
- How do they perform citizenship education in practice;
- Which approaches and strategies are used in the process of citizenshipeducation;

Subject of research - citizenship and citizenship education practice in secondary educational institutions of general instruction.

Object of research- process of practical implementation of citizenship education in secondary educational institutions of general instruction.

Methods of Research - qualitative research (Semi-structured interview with the teachers, analysis of documents).

Target Group of Research–teachers of secondary educational institutions of general instruction.

Principal results – citizenship education is having an important place in Georgian educational legislation.

The study conducted with teachers has showed us as follows:

- Teachers properly understand the essence of the citizen;
- The significant part of teachers are aware of the importance of the subject from the point of viewof citizenshipeducation;
- The process of implementation of citizenshipeducation is not structured and organized;
- The teachers haven't defined and worked out the certain approaches and strategies for the implementation of citizenship education;
- During the process of citizenship educationthe teachers cannot provide the students with participation practice related with citizenship, accordingly they cannot develop the citizenship skills on the level of habits;
- The great part of teachers don't consider the citizenship education as a part of the lesson process;
- The teachers name the scarcity of technologies and resistibility of familiesas the significant obstacles in the process of citizenship education.

სარჩევი

ანოტაცია....2

Abstract....5

შესავალი....1

თავიI. მოქალაქეობის განსაზღვრებისთვის....6

1.1 მოქალაქეობის ისტორიული მიმოხილვა....6

1.2. მარშალის სოციალური თეორია მოქალაქეობის შესახებ....15

1.3. მოაზროვნეების შეხედულებები მოქალაქეობის კონცეფციაზე....18

1.4. საქართველო და მოქალაქეობა....26

თავიII. მოქალაქეობრივი განათლება....29

2.1. მოქალაქეობრივი განათლების არსი და მიზნები....29

2.2. მოქალაქეობრივი განათლების მნიშვნელობა....36

2.4 მოქალაქეობრივი განათლება ნიდერლანდებში....38

თავიIII. მოქალაქეობრივი განათლების სამართლებრივი საფუძვლები....43

3. 1. მოქალაქეობრივი განათლება ეროვნულ კანონმდებლობაში....43

თავიIV. სკოლის როლი მოქალაქეობრივ განათლებაში....55

4. 1. სკოლის როლი მოქალაქეობრივ განათლებაში....55

4.2.მოქალაქეობრივი განათლების მეთოდური საფუძვლები....61

კვლევითი ნაწილი....66

კვლევის შედეგები....66

დასკვნები....80

რეკომენდაციები....82

გამოყენებული ლიტერატურა: 84
დანართი 1 91

შესავალი

ჩვენი ქვეყანა, თანამედროვე სამყაროს მსგავსად, მრავალი ისეთი პრობლემის წინაშე დგას, როგორებიცაა სიღარიბე (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ცენტრის 2018 წლის მონაცემებით, მოსახლეობის 20.1% სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით იმყოფება), კრიმინალი(შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2017 წელს ქვეყანაში 37 944 დანაშაული დარეგისტრირდა, რაც წინა წელთან შედარებით 5.4%-ით გაზრდილ მაჩვენებელს წარმოადგენს), არასრულწლოვანთა ორსულობა, კენჭისყრაში ამომრჩეველთა რაოდენობის კლება და აშ., ასევე, ქვეყნის მასშტაბით გაზრდილია თვითმკვლელობამდე მიყვანის და გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ მიმართული ფაქტები, კლება კი არ ფიქსირდება ისეთ დანაშაულებზე, როგორებიცაა ოჯახში ძალადობა და მუქარა (საქსტატი). ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ქვეყნის ინდექსები და მაჩვენებლები სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. საქართველოს დაბალი მაჩვენებელი აქვს პერსონალური თავისუფლების(50-ე ადგილი), რაც კანონის ძალის დაბალმა შეფასებამ განაპირობა, ასევე, დემოკრატიის ინდექსის მაჩვენებლების მიხედვით, 2017 წლის მონაცემებით, საქართველოს 166 ქვეყანას შორის 78-ე ადგილზე იმყოფება და არასრული დემოკრატიის ქვეყნების რიგს მიეკუთვნება, ასევე, მთავრობის ფუნქციონირების თვალსაზრისით. 2017 წლის მონაცემებით, ქვეყანა პრობლემური ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება მსოფლიო პრესის თავისუფლების ინდექსით(64-ე ადგილი 180 ქვეყანას შორის), რომელიც ჟურნალისტების და საინფორმაციო სააგენტოების მდგომარეობას და მათ საქმიანობაში მთავრობის ჩარევას ითვალისწინებს.

მეცნიერები აღნიშნული პრობლემების მოგვარების ყველაზე მძლავრ მექანიზმად მოქალაქეობას განიხილავენ, მათი აზრით, მოქალაქეობრივი უნარ-ჩვევების მქონე ინდივიდს აქვს შესაძლებლობა, ჩამოთვლილ გამოწვევებს გაუმკლავდეს(Drake, 1987).

აღნიშნული გამოწვევების კვალდაკვალ, ქვეყნებმა მთელი მსოფლიოს მასშტაბით, აქტიურად დაიწყეს მოქალაქეობრივი განათლების ინტეგრირება სასკოლო კურიკულუმებში, რადგან ის უზრუნველყოფს განათლებული, ზნეობრივი, საღი

აზროვნების მქონე, საზოგადოებრივ საქმეებში ჩართული აქტიური მოქალაქის ფორმირებას, რომელიც ისეთ დემოკრატიულ ღირებულებებს იზიარებს, როგორებიცაა ტოლერანტობა, თანასწორობა, ადამიანის უფლებების პატივისცემა და ა.შ. კვლევების თანახმად, სწორედ მოქალაქეობრივი განათლების ეფექტურობაზეა დამოკიდებული მოქალაქის ისეთი მახასიათებლებისა და ღირებულებების ფორმირება, როგორებიცაა სამოქალაქო განწყობების, შესაბამისი პოზიციების და სოციალური პასუხისმგებლობების გააზრება, ასევე, ინტერესისა და ვალდებულების განცდა დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობისა, თანასწორობა, თავისუფლება, ადამიანის უფლებები და თავშეკავება სტუდენტებში და ა.შ.(Angell,1991), (Colville and Clarken,1992),(Harwood,1992).

კანონში „ზოგადი განათლების შესახებ“, „ზოგადი განათლება“ განმარტებულია როგორც *„განათლება, რომლის მიზანია საქართველოს მოქალაქის აღზრდა და მომზადება ზოგადი განათლების შემდგომი პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის“.*

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების თანახმად, ზოგადი განათლების სახელმწიფო პოლიტიკის ერთერთ ძირითად მიზანს ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება და კანონმორჩილი და ტოლერანტი მოქალაქის აღზრდაწარმოადგენს - *„საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება; სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, რომ სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები და მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა“.*

ზოგადი განათლების მიერ დასახული აღნიშნული მიზნების უმნიშვნელოვანეს გარანტად კი სწორედ მოქალაქეობრივი განათლება გვევლინება.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში ნათქვამია, რომ საბაზო საფეხურის მიზანს აქტიური მოქალაქის ფორმირების ხელშეწყობა წარმოადგენს, საშუალო საფეხურის მიზანს კი *„მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად“.*კიდევ ერთ მნიშვნელოვან მიზნად გასაზღვრულია *„ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან ნაზიარები, თავისუფალი და შემოქმედებითიპ ეროვნების აღზრდა, რომელიც შეძლებს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმას, საკუთარი წვლილის შეტანას ქვეყნის წინსვლასა და სამოქალაქო საზოგადოების შემდგომ განვითარებაში“.*

ეროვნულ სასწავლო გეგმაში, ასევე, აღნიშნულია, რომ ზოგადმა განათლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ მოსწავლეებმა გააცნობიერონ ლოკალური და ზოგადსაკაცობრიო კულტურა, როგორც ცვლილებისა და განვითარების მუდმივმოქმედი პროცესი, ერთ მთლიანობად აღიქვან მსოფლიო და მიმდინარე პროცესებში საქართველოს ადგილი განსაზღვრონ, გამოუმუშავდეთ სხვადასხვა ენობრივ-კულტურული იდენტობის წარმომადგენლებთან თანამოღვაწეობისუნარი და ა.შ.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოქალაქეობრივი განათლების მნიშვნელობის განსაზღვრა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოქალაქეობრივი განათლების პრაქტიკულ განხორციელებაზე ყურადღების გამახვილება განსაზღვრავს ჩვენი **თემის აქტუალობას.**

მოცემული ნაშრომი თემის აქტუალობიდან გამომდინარე მოიცავს რამდენიმე ძალზე მნიშვნელოვან **სიახლეს.** კერძოდ:

1. მოქალაქეობრივი განათლების მნიშვნელობის განსასაზღვრად გავაანალიზეთ ქართული და უცხოური ლიტერატურა;

2. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოქალაქეობრივი განათლების თანამედროვე ვითარების გამოსაკვლევად:

ა) შევისწავლეთ ქართული საგანმანათლებლო კანონმდებლობა;

ბ)ჩავატარეთ კვლევა თითოეული საფეხურისა და საგნის მასწავლებელთან მოქალაქეობრივ განათლებასა და მის მნიშვნელობასთან დაკავშირებით, ასევე, მოქალაქეობრივი განათლების პრაქტიკასთან დაკავშირებით, კერძოდ, რა სტრატეგიებს მიმართავენ მოქალაქეობრივი განათლების განსახორციელებლად, რა ბარიერებს აწყდებიან მოქალაქეობრივი განათლების პროცესში.

სამაგისტრო ნაშრომის **მიზანი** -ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოქალაქეობრივი განათლების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი და პრობლემების გამოვლენა.

თემის ამოცანა – დავადგინოთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სხვადასხვა საგნის მასწავლებლებს

- როგორ ესმით მოქალაქეობა;
- გააზრებული აქვთ თუ არა მათი საგნის მნიშვნელობა მოქალაქეობრივი განათლების კუთხით;
- როგორ ახორციელებენ მოქალაქეობრივ განათლებას პრაქტიკაში;
- სწავლების რომელ მიდგომებსა და სტრატეგიებს იყენებენ მოქალაქეობრივი განათლების პროცესში;
- რა გამოწვევების წინაშე დგანან მოქალაქეობრივი განათლების პროცესში;

კვლევის საგანი - მოქალაქეობა და მოქალაქეობრივი განათლების პრაქტიკა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში.

კვლევის ობიექტი -მოქალაქეობრივი განათლების პრაქტიკული რეალიზების პროცესი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში.

კვლევის მეთოდები – თვისებრივი კვლევა (ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუ მასწავლებლებთან, დოკუმენტების ანალიზი).

კვლევის სამიზნე ჯგუფი – ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებლები.

ნაშრომი მოიცავს ოთხ თავსა და კვლევით ნაწილს. პირველი თავი მოქალაქეობის კონცეფციის განსაზღვრებას ეთმობა, მეორე ნაწილი მოქალაქეობრივი განათლების არსსა და მნიშვნელობას, მესამე თავი მოქლაქეობრივ განთლებასთან დაკავშირებულ საგანმანათლებლო კანონმდებლობას, მეოთხე თავი კი სკოლის როლს მოქალაქეობრივ განათლებაში, ასევე, სწავლების მიდგომებსა და სტრატეგიებს, რომლებსაც მოქალაქეობრივი განათლება ეფუძნება.

სამაგისტრო ნაშრომის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია კვლევის შედეგები. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოქალაქეობრივი განათლების პრაქტიკული რეალიზების პროცესში არსებული პრობლემების დასადგენად კვლევის ფარგლებში გამოვიკითხეთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისსამივე საფეხურის სხვადასხვა საგნის მასწავლებლები.

თავიI. მოქალაქეობის განსაზღვრებისთვის

1.1 მოქალაქეობის ისტორიული მიმოხილვა

მოქალაქეობის კონცეფციას საფუძველი ანტიკურ საბერძნეთში ჩაეყარა, სადაც მოსახლეობის პრივილეგირებული ფენა კენჭისყრასა და პოლიტიკურ დებატებში მონაწილეობის უფლებით სარგებლობდა, მათ მთავარ მოვალეობას კი ქვეყნისთვის ყოველგვარი კერძო ინტერესის მსხვერპლშეწირვა წარმოადგენდა(Jónsdóttir,2016), კონცეფცია საუკუნეების განმავლობაში ფართოვდებოდა, თუკი ძველი საბერძნეთის ქალაქებსა და რომის რესპუბლიკაში მოქალაქეობა მხოლოდ საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართულობას გულისხმობდა, ისიც შეზღუდული ფორმით, დღეს ის სრულიად სხვა ფორმით არსებობს, მოქალაქეები უფლებათა და მოვალეობათა ფართო სპექტრით სარგებლობენ(QCA, 1998).

ძველი საბერძნეთის ქალაქ-სახელმწიფოებში მოქალაქეობას რასა, სქესი და სოციალური კლასი განსაზღვრავდა. სტატუსის მფლობელები ხდებოდნენ 20 წელს ზემოთ ასაკის მამაკაცები, რომლებიც ათენში დაიბადნენ და ბრძოლის, შრომისა და მონების გაძღოლის უნარით იყვნენ დაჯილდოებული (Finley 1983), შესაბამისად, მოქალაქეობის სტატუსი უმცირესობის პრივილეგიას წარმოადგენდა, რომელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზეც უმრავლესობა - ქალები, მონები და საზოგადოების ღარიბი წევრები ზრუნავდნენ. ათენის მოქალაქეობას კენჭისყრებსა და საჯარო დებატებში მონაწილეობის

უფლება განსაზღვრავდა, რის სანაცვლოდაც მოქალაქეებს სახელმწიფოს მსახურებისთვის პირადი ინტერესების მსხვერპლად შეწირვა მოეთხოვებოდათ, მათ მხოლოდ საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის შეეძლოთ მიეძღვნათ თავი(Bellamy, 2014).

კრიტიკოსების აზრით, მოქალაქეობის ათენური მოდელი ორმაგად რეპრესიული იყო, რადგან ერთი მხრივ, ის ჩაგრავდა და ავიწროებდა მოსახლეობის უდიდეს ნაწილს(ქალებს, ბავშვებს, მონებს), რომელიც ამ სტატუსის გარეშე ცხოვრობდა და მაინც იბეგრებოდა და სამხედრო სამსახურიც სავალდებულოდ მოეთხოვებოდა, მეორე მხრივ კი, ის მჩაგვრელი იყო თავად მოქალაქეების მიმართაც, რადგანაც პირადი ინტერესების მსხვერპლად შეწირვა მოეთხოვებოდათ. მხარდამჭერების აზრით კი, მოქალაქეობის ბერძნულმა მოდელმა ჭეშმარიტი პირობები შექმნა პოლიტიკური თანასწორობისთვის, რომელშიც მოქალაქეებს თანაბარი პოლიტიკური ძალაუფლება ჰქონდათ, შესაბამისად, თანაბარი ვალდებულებაც ერთმანეთზე ზრუნვისა და პატივისცემით მოპყრობისა. მხარდამჭერები, ასევე, მნიშვნელოვნად მიიჩნევენ პოლიტიკური ამოცანების დელეგირებას პოლიტიკოსებისა და საჯარო მოხელეების კლასებში (Bellamy, 2014).

მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეობის ბერძნული მოდელი პრივილეგირებული იყო უმცირესობისთვის და ასამბლეა და საბჭოც უპირატესობას მდიდრებს ანიჭებდა, ორივე მხარე თანხმდება, რომ მან მნიშვნელოვნად განავითარა ხელისუფლების მზრუნველობა მოსახლეობის მიმართ, რადგან გადაწყვეტილების მიმღებ პირებს გარკვეული მოვალეობები და ვალდებულებები ეკისრებოდათ მოსახლეობის მიმართ, კერძოდ, უნდა ჰქონოდათ სამართლიანობის, პატრიოტიზმის გრძნობა, ყოფილიყვნენ ზომიერები თვითკონტროლისა და უკიდურესობების თავიდან აცილების გზით, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საზოგადოებრივი სიკეთეები საკუთარ ინტერესზე მაღლა უნდა დაეყენებინათ, ისინი ეკუთვნოდნენ პოლისს და არა საკუთარ თავს. აღსანიშნავია, რომ ათენელებს ეკუთვნით ხმის მიცემის გზით უთანხმოების მოგვარების იდეაც, საკითხების უმრავლესობა კონსესუსის გზით გვარდებოდა, საჭიროების შემთხვევაში კი დებატებიც იმართებოდა(Jónsdóttir,2016).

მოქალაქეობის ბერძნული მოდელის მნიშვნელობას ადასტურებს საბერძნეთის მოქალაქეებად წოდებული პირების მიერ კანონების შექმნა და სიტყვა „დემოკრატიის“ შემოღებაც, რაც ხალხის მმართველობას მოიაზრებს. ძველ საბერძნეთში წარმოიშვა პირდაპირი დემოკრატიაც, სადაც ხმის უფლების მქონე მოქალაქეები საზოგადოების უმცირესობას შეადგენდნენ და მათთვის ძნელი არ იყო რეგულარულად შეკრებილიყვნენ ერთად პოლიტიკური საკითხების განსახილველად და სერიოზული გადაწყვეტილებების მისაღებად(Bellamy, 2014).

საინტერესოა, რომ ათენისგან განსხვავებით სპარტაში სამხედრო სამსახურმა მოქალაქეები საჯარო მოსამსახურეებად აქცია, რაც მათ შეზღუდული შესაძლებლობების კერძო ინტერესების განსახორციელებლად გამოყენების საშუალებას აძლევდათ(Bellamy,2014).

მოქალაქეობის კონცეფციის განვითარების შემდეგი ეტაპი იმპერიულ რომს უკავშირდება. რომაული მოქალაქეობის მინიჭების კრიტერიუმები მსგავსი იყო ბერძნული მოქალაქეობის კრიტერიუმებისა, მოქალაქეებად იწოდებოდნენ თავისუფალი მამაკაცები, რომლებიც, ასევე, ლეგიტიმური შვილები იყვნენ სხვა თავისუფალი მამაკაცებისა.მოქალაქეობა ანტიკურ რომში წარმოადგენდა პრივილეგირებულ პოლიტიკურ და სამართლებრივ სტატუსს, რომელიც თავისუფალ ინდივიდებს აკავშირებდა კანონთან, საკუთრებასთან და მთვარობასთან, რომის მამაკაცი მოქალაქეები პრივილეგიებისა და მფარველობების ფართო სპექტრით სარგებლობდნენ, რაც სახელმწიფოს მიერ დეტალურად იყო განსაზღვრული(Bellamy,2014).

რომაელი ქალები მოქალაქეობის შეზღუდული ფორმით სარგებლობდნენ. მათ არ ჰქონდათ ხმის მიცემისა და საჯარო სამსახურში მსახურების უფლება. მდიდარ ქალბატონებს უფლება ჰქონდათ მხოლოდ მონაწილეობა მიეღოთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში გარკვეული მშენებლობების, რელიგიური ცერემონიებისა თუ სხვა ღონისძიებების დაფინანსებით. ქალებს ჰქონდათ საკუთრების, ბიზნესით დაკავების და

განქორწინების უფლება, თუმცა მათი უფლებელი ცვალებადი იყო. საკუთრებად და არაკანონიერ ინდივიდებად ითვლებოდნენ მონებიც(Jahnige,2002).

მოქალაქეობის კონცეფციის შემდეგი განვითარება რომის გაფართოების შემდეგ - თავდაპირველად იტალიაში, შემდეგ ევროპაში და ბოლოს აფრიკასა და აზიაში მომხდარმა ორმა მნიშვნელოვანმა სიახლემ განაპირობა. დაპყრობილი ტერიტორიების მოსახლეობას რომის მოქალაქეების სტატუსი მიენიჭათ, მათ ასევე, უფლება ჰქონდათ, მოქალაქეობის შეთავაზებული სტატუსის მიუხედავად, შეენარჩუნებინათ ხელისუფლების საკუთარი ფორმები - იმპერიამ ორმაგი მოქალაქეობა დაუშვა. მოქალაქეობის კანონის ფარგლები გადავიდა პოლიტიკური საზღვრების მიღმა და არ საჭიროებდა ტერიტორიულ ერთობას, რაც მოქალაქეობის კონცეფციის გაფართოების თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენდა (Taylor&Bryan& Hamilton,1994).

ფეოდალური წყობა მოქალაქეობის კონცეფციის განვითარების თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვან საზოგადოებრივ წყობილებას წარმოადგენდა. წყობის საფუძველს მიწის დაცვა და კონტროლი წარმოადგენდა, შესაბამისად, ფეოდალურ სისტემაში არსებობდა ორმხრივი ურთიერთობები, რომლებიც ლორდებსა და ვასალებს ერთმანეთის მიმართ გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებდა, ვასალები ლორდებს ერთგულებას დაჰპირდნენ, ლორდები კი თავის მხრივ, მათ დაცვას(Derek,2004).

ერთი შეხედვით ძალიან თანასწორუფლებიანი ორმხრივი ურთიერთობების მიუხედავად, ადამიანების ერთგულება მიემართებოდა არა კანონს, კონსტიტუციას, ეროვნების კონცეფციას, არამედ მაღალი კლასის წარმომადგენლებს, რაინდებს, ლორდებს ან მეფეებს(Derek,2004), თუმცა, ერთერთი მოსაზრების თანახმად, სწორედ ფეოდალურ ეპოქაში არსებულმა ორმხრივმა ვალდებულებითმა სისტემამ შეუწყო ხელი ინდივიდის, მოქალაქის იდეის განვითარებას (Taylor&Bryan& Hamilton,1994).

ამავე მოსაზრების თანახმად, თავისუფლების დიდმა ქარტიამ, როგორც ფეოდალურმა დოკუმენტმა, გადატრიალება მოახდინა, რადგან ეს დოკუმენტი არ წარმოადგენდა

ფორმალურ ობლიგაციას დადებულს მეფესა და ადამიანებს შორის, არამედ კონტრაქტს ორ პარტიას შორის, რომელიც დაწერილი იყო ოფიციალურ ენაზე, ის განსაზღვრავდა ორი მხარის ურთიერთქმედებას, ასევე, ადასტურებდა, რომ ინდივიდების თავისუფლება და უსაფრთხოება ხელშეუხებელი იყო, რამაც თანდათანობით, ვასალებსა და ლორდებს შორის არსებული პერსონალური ურთიერთობები შეცვალა და დოკუმენტებს დააფუძნა [Taylor&Bryan& Hamilton,1994]. ქარტია მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ მან მონარქი აიძულა დაეცვა კანონები და მოქალაქეთა უფლებები, ქარტიაში მითითებული იყო, რომ ,,ქვემოთ დაწერილი თავისუფლებანი" ენიჭება სამეფოს ყველა თავისუფალ ადამიანს, რათა ,,ფლობდნენ მათ", აღნიშნული ჩანაწერი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც დიდგვაროვნებს თუ სხვა არისტოკრატებს ყოველგვარ პრივილეგიას ართმევდა და თანასწორობის იდეას უყრიდა საფუძველს. ქარტიაში მნიშვნელოვანი ყურადღება იყო გამახვილებული ქონების ხელშეუხებლობის იდეასა და სახელმწიფო მოხელეების თვითნებობისგან ადამიანების დაცვაზე და აღნიშნულია, რომ ნებისმიერი სახის სასჯელის საფუძველი კანონი უნდა ყოფილიყო -*,,თავისუფალ ადამიანს წვრილმანი გადაცდომისათვის დაეკისრება ჯარიმა მხოლოდ გადაცდომის მნიშვნელობის შესაბამისად, ამასთან, მისი ძირითადი ქონება ხელშეუხებელი უნდადა რჩეს; ასეთივე წესით დაეკისრება ჯარიმა ვაჭარს, და მისი საქონელი დარჩება ხელშეუხებელი, გლეხსაც, და მისი ინვენტარი დარჩება ხელშეუხებელი, არცერთი ზემოთ აღნიშნული ჯარიმის დაკისრება არ მოხდება სხვაგვარად, თუ არა სამეზობლოში არსებული პატიოსანი ადამიანების ფიცით დამტკიცებული ჩვენების საფუძველზე"*[Taylor&Bryan& Hamilton,1994].

ქარტიის ერთერთ მნიშვნელოვან და დღესაც მეტად აქტუალურ საკითხს წარმოადგენს ადამიანის დამნაშავედ ცნობა, რაც მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებისა და ქვეყნის კანონების საფუძველზეა შესაძლებელი, ქარტიის თანახმად, *,,არც ერთი თავისუფალი ადამიანი არ შეიძლება იყოს დაპატიმრებული, ციხეში ჩასმული, ქონება ჩამორთმეული, კანონგარეშედ გამოცხადებული ან სხვაგვარად შევიწროებული, და არც*

ჩვენ წავალთ და არც სხვებს გავგზავნით მის წინააღმდეგ, თუ არა მის თანასწორთა მიერ გამოტანილი კანონიერი განაჩენისა და ქვეყნის კანონების საფუძველზე'[Zarrow,1997].

მოქალაქეების უფლებათა განვითარებასა და გაფართოებაში „თავისუფლების დიდი ქარტიის" მნიშვნელობას ცხადჰყოფს ის ფაქტიც, რომ ადამიანის უფლებათა შესახებ კანონმდებლობის განვითარების ისტორიის ათვლა სწორედ ამ დოკუმენტით იწყება(Zarrow,1997).

მოქალაქეობის კონცეფციის განვითარების შემდეგი ეტაპი რენესანსის ეპოქას უკავშირდება. მოქალაქეობის კონცეფციის განვითარება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ახლო აღმოსავლეთში სანელებლებით ვაჭრობამ, ბამბისა და ტანსაცმლის ახალმა ინდუსტრიამ, რამაც თავის მხრივ, ტექნოლოგიების შესახებ ფართო განათლების დანერგვა განაპირობა, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის. ჰუმანისტების ფილოსოფიამ, რომელსაც მოგვიანებით ჰუმანიზმი ეწოდა, ყურადღება ეკლესიიდან სეკულარიზმზე გადაიტანა, მოაზროვნეებმა კი აქცენტი ანტიკური საბერძნეთისა და რომის იმპერიის მოქალაქეობისა და პოლიტიკის იდეებზე გააკეთეს. ქალაქებს შორის კონკურენციამ აზროვნების განვითარება განაპირობა. მნიშვნელოვანი ცვლილებები კი მე-12 საუკუნეში განხორციელდა, როდესაც ქალაქები გათავისუფლდნენ რომის იმპერიის მმართველობისგან, ფლორენციის ლიდერები სამომავლოდ ქალაქის დაცვის იდეით დაინტერესდნენ და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მომავალი კრიზისების გადალახვას სამოქალაქო განათლების დახმარებით შეძლებდნენ. გაჩნდა მოქალაქეობის სრულიად ახალი შეგრძნება, რომელიც პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას ეფუძნებოდა(Fix,2005).

რენესანსისა და ევროპის გაფართოების განმავლობაში, შუა საუკუნეების პოლიტიკურ მეცნიერს Walter Ullmann-ს(Fix,2005) მიაჩნდა, რომ არსი ცვლილებისა იყო ის, რომ ადამიანები წარმოადგენდნენ არა ლორდებისა და მონარქების, არამედ ქალაქის მოგვიანებით კი ერის მოქალაქეებს. ქალაქის მთავარ მახასიათებელს წარმოადგენდა ის, რომ მას ჰქონდა თავისი კანონი, სასამართლო და დამოუკიდებელი ადმინისტრაცია.

ქალაქები უკვე წარმოადგენდნენ თავდაცვით ორგანიზმებს, მოქალაქეები კი იყვნენ ეკონომიკურად კომპეტენტურები ადამიანები, რომელთაც შეეძლოთ ქალაქის დასაცავად იარაღის ყიდვაც კი შეეძლოთ. ქალაქის მცხოვრებლები, რომლებიც ელიტასთან, არისტოკრატიასთან ერთად იბრძოდნენ, აღარ მოსწონდათ სხვების დაქვემდებარებაში ყოფნა და მოქალაქეობის უფრო დიდ როლს ითხოვდნენ(Fix,2005). გარდა ქალაქის ადმინისტრაციისა, რომელიც მოქალაქეებს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის საშუალებას აძლევდა, გილდიებში მონაწილეობა წარმოადგენდა მოქალაქეობის არაპირდაპირ ფორმას, რომელსაც მათთვის ფინანსური წარმატება მოჰქონდა. დროთა განმავლობაში სხვა განვითარებადმა ქალაქებმაც, ისევე როგორც ფლორენციამ, ადამიანებს ახალი შანსი მისცა, რომ თავიანთი ქალაქის მოქალაქეები ყოფილიყვნენ, მონაწილეობა მიეღოთ გილდიებში ან ქალაქის საკონსულოებში ემსახურათ(Weber, 1998).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე,შუა საუკუნეების ევროპაში, მოქალაქეობა ხშირად ქალაქებთან ასოცირდებოდა(Zarrow,1997), მოქალაქეობა კი სულ უფრო მეტად მიემართებოდა არა ლორდს, არამედ სახელმწიფოში მყოფ ადამიანს და მის საფუძველს წარმოადგენდა ისეთი აბსტრაქტული ტერმინები როგორებიცაა მოვალეობები და უფლებები(Heater, 2004). რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მოქალაქეობა უფრო მეტად აღიქმებოდა, როგორც შედეგი დაბადებისა, ანუ ის დაბადებისთანავე ენიჭებოდა ადამიანს, როგორც უფლება. თუმცა, მალე ერებმა განსაზღვრეს უცხოელების სასიცოცხლო უნარ-ჩვევები და შესაძლებლობები და დასთანხმდნენ მათთვის მოქალაქეობის მინიჭებასაც. აღნიშნული ცხადჰყოფდა, რომ მოქალაქეობა უკვე წარმოადგენდა სახელმწიფოსთან ურთიერთობას, რომელსაც ადამიანი თავისუფლად ირჩევდა, სურვილის შესაბამისად. მოქალაქეები იყვნენ ადამიანები, რომლებიც ნებაყოფლობით ირჩევდნენ ლოიალობას, სახელმწიფოს წევრობას და ერთგულებას მის მიმართ(Yvonne,2002).

მოქალაქეობის კონცეფციის განვოთარების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი დიდ ბრიტანეთს, იქ განვითარებულ მოვლენებს უკავშირდება. დიდ ბრიტანეთში ადრეულ

თანამედროვე პერიოდში მნიშვნელოვანი სოციალური ცვლილებები განხორციელდა საზოგადოებაში ინდივიდების, ხოლო მონარქთან მიმართებით პარლამენტის ძალაუფლების ზრდის თვალსაზრისით. მე-17 საუკუნეში განახლდა ინტერესი თავისუფლების დიდი ქარტიის მიმართ მიმართ. ინგლისის მთავარი სასამართლოს მოსამართლემ Edward Coke-მა ააღორძინა იდეა უფლებებისა, რომლებიც მოქალაქეობას ეფუძნებოდა. ის ამტკიცებდა, რომ ინგლისელი ისტორიულად იყო კეთილგანწყობილი ადამიანის უფლებების მიმართ (Heater, 2006). 1689 წელს განახლდა უფლებათა ბილი, რომელიც ითხოვდა რეგულარულ არჩევნებს, თავისუფლების, პარლამენტში სიტყვისა და მონარქის ძალაუფლების შემზღუდავ წესებს, ყოველივე კი აბსოლუტური მონარქიის წინააღმდეგ იყო მიმართული(Heater,2006).

ფრანგულმა რევოლუციამ მოქალაქეობის კონცეფციის დღევანდელი სახით ჩამოყალიბებაში მთავარი ცვლილებები მოახდინდა და ის განიხილება, როგორც მთავარი წყალგამყოფი თანამედროვე პოლიტიკისა. ანტიკური პერიოდიდად მოყოლებული, ადამიანებს შორის არსებული კავშირები იერარქიული იყო, გარკვეული წოდების ადამიანები სხვა იერარქიის წარმომადგენლების მიმართ იყვნენ ანგარიშვალდებულნი, მაგალითად, ყმები ვასალების მიმართ, ეს უკანასკნელები თავადაზნაურობის მიმართ და ა.შ. განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდა სამღვდელოება და არისტოკრატია, მათ პრივილეგიები ჰქონდათ სასამართლოებში, ასევე, არ იხდიდნენ გადასახადებს, რისი ტვირთიც მთლიანად გლეხებს აწვათ (Foundations of Western Civilization II, 2006).

მდგომარეობა საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ შეიცვალა, აჯანყების ადრეულ ეტაპზე გაუქმდა არისტოკრატიული პრივილეგია, არსტოკრატმა Vicomte de Noailles-იმ გამოაცხადა, რომ ის უარს ამბობდა არსებულ პრივილეგიაზე და ხდებოდა უბრალოდ მოქალაქე ნოილესი. აღნიშნულის შემდეგ, ადამიანის უფლებათა დეკლარაცია აცხადებდა, რომ მოქალაქეთა უფლებები არის ბუნებრივი, თავისუფალი, განუყოფელი და წმინდა, რომ ადამიანი დაბადებიდანვე თავისუფალი და თანასწორია. მოსახლეობამ გაიაზრა ერთგულება, როგორც ერთი მთლიანი სახელმწიფოს მიმართ, ასევე,

სუვერენიტეტის იდეა, რომელიც რუსოს ეკუთვნოდა. მოქალაქეობა უფრო მრავლისმომცველი და დემოკრატიული გახდა, რადგან მოქალაქეობის ქვაკუთხედს უკვე სახელმწიფოს მიმართ ლოიალობა და ერთგულება წარმოადგენდა(Foundations of Western Civilization II, 2006).

ბრიტანელი მოაზროვნე Marshall(Marshall, 1950) მე-18 საუკუნეში სერიოზულ ზრდას ხედავს სამოქალაქო უფლებების, უმთავრესად კი მოქალაქეობის სამართლებრივი ასპექტის ზრდის თვალსაზრისით, რაც კანონითაა დაცული, მათ შორის მოიაზრება ისეთი უფლებები, როგორებიცაა სიტყვის, სამართლიანი სასამართლოს, სასამართლო სისტემაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უფლებები(Taylor&Bryan& Hamilton,1994).მისი აზრით, სწორედ აღნიშნული - სამოქალაქო უფლებები წარმოადგედა წინამორბედს პოლიტიკური უფლებებისას, მოგვიანებით კი მე-20 საუკუნეში სოციალური უფლებებისა, მაგალითად კეთილდღეობისა(Zarrow, 1997).

მოქალაქეობის კონცეფციის განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ამერიკის შეერთებულ შტატებსაც. სახელმწიფომ 1970 წელს მიიღო ნატურალიზაციის კანონი, რომლითაც ნებისმიერი რასისა და წარმოშობის ადამიანს მოქალაქეობის მიღების შესაძლებლობა მისცა(Congressional Documents and Debates, 1774-1875). აღნიშნულ კანონს განსაკუთრებული მნიშვნელობა აფრიკელი ამერიკელებისთვის ჰქონდა.

სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის არსებული ურთიერთობის ისტორიული განვითარება ცხადჰყოფს, რომ ის დინამიური პროცესია. კაცობრიობა საუკუნეების განმავლობაში იბრძოდა ღირებულებების, უფლებებისა და თავისუფლებების განმტკიცებისთვის და ინდივიდების სამართლებრივი დაცვის მექანიზმების სრულყოფისთვის, შედეგად, მოქალაქეობის კონცეფცია გამუდმებით ფართოვდებოდა, თუკი თავდაპირველად ის მხოლოდ პოლიტიკურ უფლებებს მოიაზრებდა შეზღუდული ფორმით, დღეს მოქალაქის სტატუსის მქონე ინდივიდები უფლებათა მეტად ფართო სპექტრით სარგებლობენ. მოქალაქეობის თანამედროვე იდეის ფუძემდებლურ ნაწილს

კვლავ პოლიტიკური მონაწილეობა წარმოადგენს, თუმცა დღეს ის განვითარებული - წარმომადგენლობითი დემოკრატიის სახით არსებობს(Isin,Bryan&Turner,eds,2002).

სმოქალაქეობა ყოველთვის არ მოიაზრებდა ყველას, თუმცა ის იყო ძლიერი ძალა, რომელიც საზოგადოებას ათავისუფლებდა ისეთი ადამიანებისგან, როგორებიც იყვნენ გაძევებულები, უკანონო იმიგრანტები და სხვები(Taylor&Bryan& Hamilton,1994). დღეს დემოკრატიული მოქალაქეობის უმნიშნელოვანეს მახასიათებელს წარმოადგენს ის, რომ მოქალაქეობის თანამედროვე კონცეფცია ერთნაირი ძალით იცავს თითოეულ მოქალაქეს, განურჩევლად რასისა, სქესისა, კანის ფერისა თუ სხვა მახასიათებლისა, ერებში ბევრი სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფია, მოქალაქეობა კი ერთადერთი რეალური დამაკავშირებელია, რომელიც აერთიანებს ყველას, როგორც თანასწორებს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე(Gross,1999).

თანამედროვეობის საზოგადოების ერთ მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს ის, რომ ადამიანებს დისკრიმინაციისგან თუ სხვა კანონდარღვევებისგან იცავს არა მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობა, არამედ მრავალი მნიშვნელოვანი საერთაშორისო დოკუმენტი, მათ შორის აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია(გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 1948). დეკლარაციის მე-15 მუხლი კი თითოეულ ჩვენგან მოქალაქეობის უფლებას გვანიჭებს - *„ყოველ ადამიანს აქვს მოქალაქეობის უფლება, არავის არ შეიძლება თვითნებურად ჩამოერთვას მოქალაქეობა ან უფლება თავის მოქალაქეობის შეცვლისა“.*

1.2. მარშალის სოციალური თეორია მოქალაქეობის შესახებ

მოქალაქეობის კონცეფციის განმსაზღვრელ ერთერთ მნიშვნელოვან თეორიას გვთავაზობს ბრიტანელი სოციოლოგი მარშალი(Marshall, 1950). თეორია 1950 წელს შეიქმნა და სოციალური თეორიის სახელით არის ცნობილი (Lazar, 2013; Lazar and Nujiten, 2013; Ong, 1996; Nic Craith, 2004, Rose and Novas, 2005).თეორია მოქალაქეობის ფუძემდებლურ ელემენტებად განიხილავს უფლებებსა და მოვალეობებს. უფლებების

მნიშვნელობას უკავშირებს არა მხოლოდ მონაწილეობას, არამედ მათ უწოდებს დამაკავშირებელ ძალას, რომელიც იწვევს საზოგადოების წევრობის შეგრძნებას დამყარებულს ცივილიზაციის ერთგულებისადმი, რაც საერთო საკუთრებას წარმოადგენს. მოვალეობებთან დაკავშირებით კი ამბობს, რომ თუკი მოქალაქეობა უფლებების დაცვას მოითხოვს, მოქალაქის მოვალეობები ვერ იგნორირდება. აღნიშნული მოვალეობები კი მოითხოვს, რომ მოქალაქეთა ქმედებები შთაგონებული იყოს საზოგადოების კეთილდღეობისდამი პასუხისმგებლობის გრძნობით(Marshall, 2013[1950]).

Marshall (Marshall, 2013[1950])მოქალაქეობის კონცეფციის მნიშვნელოვან ელემენტებად განიხილავს საზოგადოების წევრობას, რაც პირდაპირ განსაზღვრავს მოქალაქეების მიერ უფლებებისა და მოვალეობების ფლობას და თანასწორობას, რომელსაც უფლებებისა და მოვალეობების ფლობა უზრუნველყოფს.

Marshall (Marshall, 2013[1950])აქცენტს აკეთებს მოქალაქეობაზე, როგორც სამართლებრივ სტატუსზე, რომელიც გულისხმობს და მოიცავს უფრო მეტს, ვიდრე მხოლოდ პოლიტიკურ წევრობას, რაზეც Locke(Locke,2013[1988])ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში საუბრობდა, კერძოდ კი ლიბერალურ მოქალაქეობაზე, ის მოქალაქეობის სტატუსს უკავშირებდა უფლებებს, რომლებიც ადამიანებს თანასწორ პირობებში ცხოვრების საშუალებას აძლევდა, სახელმწიფოს როლს კი სახელმწიფო ინსტიტუტებში მონაწილეობისა და გადასახადების გადახდის პროცესში თანასწორობის უზრუნველყოფას უკავშირებდა.

Marshall მოქალაქეობის განიხილავს, როგორც სტატუსს, რომელიც ინდივიდს საზოგადოების სრულფლებიან წევრად აქცევს. მისი აზრით, ყველა, ვინც ფლობს აღნიშნულ სტატუსს, არის თანასწორი იმ უფლებებისა და მოვალეობების წინაშე, რაც აღნიშნულ სტატუსს ახლავს თან.

Marshall (Marshall, 2013[1950]) თავის წიგნში „მოქალაქეობა და სოციალური კლასი" (კემბრიჯის უნივერსიტეტის გამოცემა, 1950) გამოთქვამს აზრს, რომ მოქალაქეობა მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ეფექტური, როდესაც ის მისაწვდომს ხდის უფლებათა სამ

ძირითად ტიპს, შესაბამისად, მოქალაქეობას სამ სამოქალაქო, პოლიტიკურ და სოციალურ ნაწილებად ჰყოფს, თითოეულ ნაწილში კი ადამიანის სხვადასხვა ფუნდამენტურ უფლებას მოიაზრებს. პოლიტიკურ ნაწილში ის აერთიანებს პოლიტიკური უფლებამოსილების განხორციელების, კერძოდ, ხმის მიცემისა და პოლიტიკურ საკითხებში მონაწილეობის უფლებას.სამოქალაქო ნაწილი შედგება პიროვნების თავისუფლებისთვის საჭირო უფლებებისგან - ადამიანის თავისუფლება, სიტყვის თავისუფლება, აზრის/ფიქრის, რწმენის, საკუთრების და სამართლიანობის უფლებებს. სოციალურ ნაწილს კი უფლებათა ფართო სპექტრს უკავშირებს, კერძოდ, ეკონომიკურ კეთილდღეობას და უსაფრთხოებას, სოციალური მემკვიდრეობის გაზიარებისა და საზოგადოების ცივილიზებული სტანდარტების მიხედვით ცხოვრებას(Marshall,1950) .მარშალი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებდასოციალური უფლებების საჭიროებასა და მნიშვნელობაზეთავისუფლების ხელშეწყობის საკითხში.

მნიშვნელოვანია, რომ Marshall (Marshall, 2013[1950]) აქცენტს აკეთებს მოქალაქეთა უფლებებსა და მოვალეობებს შორის ბალანსზე, მეტიც, ის ერთმანეთსგან განასხვავებს მოქალაქეთა უფლებების მკაფიოობასა და მოვალეობათა ბუნდოვნებას, გარდა შეზღუდული რაოდენობის სავალდებულო მოვალეობებისა, კერძოდ, გადასახადების გადახდა და სადაზღვევო შენატანები, განათლება, სამხედრო სამსახური და ა.შ

Marshall-ის აზრით, მოქალაქეობის გაგება წევრობისა და იდენტურობის თვალსაზრისით, არ მოიაზრებს მხოლოდ იურიდიული წესების კომპლექტს, რომელიც მართავს და არეგულირებს ურთიერთობას არა მხოლოდ ინდივიდებსა და სახელმწიფოს შორის, არამედ, უშუალოდ ინდივიდებს და ინდივიდუალურ მოქალაქეებსა და სახელმწიფოს შორის. აღნიშნული ურთიერთობები კი არის შეთანხმებული მათი ბუნების, ნაციონალური კონტექსტისა და კულტურის გათვალისწინებით(Stasiulis and Bakan,1997.

Marshall-მა (Marshall,2013[1950])დაადგინა მოქალაქეობის თანამედროვე დემოკრატიული მოდელის საფუძველი. ის მოქალაქეობას განიხილავს, როგორც პროდუქტს სახელმწიფოს შენების ურთიერთდაკავშირებული პროცესებისა, კომერციული

და ინდუსტრიული საზოგადოებების წარმოშობისა, და ეროვნული ცნობიერების მშენებლობისა, რომელთა შედეგსაც წარმოადგენდა ხალხის შექმნა, ვინც უფლებამოსილია იყოს თანასწორი კანონის წინაშე და თითოეული მათგანი საქონლის შეძენისა და გაყიდვის თანაბარი უფლებით სარგებლობს, მათ ინტერესებს კი სუვერენული პოლიტიკური ავტორიტეტი ზედამხედველობს, ასევე, ვინც იზიარებს ეროვნულ იდენტობას, რომელიც ქმნის ლოიალურობას, ერთგულებასა და თავდადებას ერთმანეთისა და სახელმწიფოს მიმართ.

Marshall (Marshall, 2013[1950]) აღნიშნული თეორიით შექმნა მოქალაქეობისდამი ომის შემდეგი დამოკიდებულება არა მხოლოდ დიდ ბრიტანეთში. საინტერესოა, რომ მოქალაქეობის მარშალისეული კომპონენტები ადამიანის ძირითადი უფლებების კლასიკურ ჩამონათვალს შეესაბამება, კერძოდ, პოლიტიკის ნაწილს შეესაბამება პოლიტიკური საქმიანობის უფლება, სამოქალაქო ნაწილს თავისუფლების, საკუთრების უფლება, სოციალურს კი განათლებისა და უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლება.

1.3. მოაზროვნეების შეხედულებები მოქალაქეობის კონცეფციაზე

ისტორიულად, მოქალაქეობას განსაზღვრავდა ფორმალური სტატუსის მფლობელობა პოლიტიკური და იურიდიული პირის წევრობისა და მისი თანმდევი უფლებებისა და მოვალეობებისა(Ramazan&Ezlam,2017).

მოქალაქეობის კონცეფციის კომპლექსურობიდან გამომდინარე, მეტად რთულია მისი ზუსტი განსაზღვრება, საუკუნეების განმავლობაში განმსაზღვრელები გვთავაზობდნენ მოქალაქეობის ძალზედ რთულ, პოლიტიკური, მორალური თუ ეთიკური საკითხების შემცველ განმარტებებს, რომლებიც ინდივიდების სახელმწიფოსთან და ფართო საზოგადოებასთან ურთიერთობებს შეეხებოდა (Ramazan&Ezlam,2017).

მოქალაქეობის კონცეფციაზე მსჯელობა ჯერ კიდევ არისტოტელეს პერიოდიდან იწყება (Aristotle,2013[1962]). არისტოტელესთვის სამოქალაქო საზოგადოება იგივე იყო, რაც «პოლიტიკური ერთობა». ის, რასაც არისტოტელე უწოდებს Polis (ქალაქი-სახელმწიფო)

და რასაც წარმოადგენდა ათენი ძვ. წ. V საუკუნეში, ბერძენი ფილოსოფოსისათვის იყო იმავდროულად „პოლიტიკური ერთობა“, ან „პოლიტიკური საზოგადოება“. არისტოტელეს მიხედვით, ადამიანი არის პოლიტიკური ცხოველი („zoon politikon“), ვინაიდან მას შეუძლია იცხოვროს სამოქალაქო, ანუ პოლიტიკურ საზოგადოებაში, შესაბამისად, ის არის მოქალაქე, მისთვის დამახასიათებელია ორგანიზებული პოლიტიკური ერთობლიობის წევრობა, სახელმწიფოს (ანუ ქალაქი-სახელმწიფოს) წევრობა, რომელიც შედგენილია მოქალაქეებისაგან. მისი აზრით, სწორედ აღნიშნული განასხვავებს ადამიანებს სხვა ცოცხალი არსებებისგან, თუმცა ის აღნიშნავდა იმასაც, რომ ადამიანთა თვითორგანიზების ფორმები განსხვავებულია, რის მაგალითადაც ბარბაროსები მოჰყავს, რომლებიც ეთნოსების (ხალხების) სახითერთიანდებოდნენ, რაც პოლისთან შედარებით დაბალ დონეზე იყო და არ ატარებდა „პოლიტიკური ერთობის“ ნიშნებს (Aristotle,2013[1962]).

არისტოტელე ძირითად აქცენტს მოქალაქეობის ბერძნულ მოდელზე აკეთებდა, შესაბამისად, მოქალაქეებად საზოგადოების ძალიან მცირე ნაწილს თვლიდა და ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნევდა მათ აქტიურ ჩართულობას პოლიტიკურ ცხოვრებაში. მისი აზრით, მოქალაქეები ერთმანეთს უნდა იცნობდნენ, უზიარებდნენ ღირებულებებს და ჰქონდეთ საერთო ინტერესი, მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებენ, რომ შეთანხმდნენ რა თვისებების მქონე ინდივიდები სჭირდებათ, რომლებიც ჰარმონიულად, შეთანხმებულად გადაჭრიან სადავო საკითხებს და ერთსულოვნად გაატარებენ საერთო პოლიტიკას. არისტოტელეს იდეალის მიხედვით, პოლიტიკური მოქალაქეობა დამოკიდებულია ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების სირთულეებისგან გათავისუფლებაზე, ორივე საჭიროა, როგორც მონაწილეობის მისაღებად, ასევე, პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების უზრუნველსაყოფად (Aristotle,2013[1962]).

შესაძლებელია, სწორედ არისტოტელე იყოს პირველი, ვინც განსაზღვრა სახელმწიფოს მნიშვნელობა ადამიანებისთვის, რადგან ის ამტკიცებდა, რომ მხოლოდ პოლისის ან ქალაქ-სახელმწიფოს ფარგლებში იყო შესაძლებელი ადამიანის პოტენციალის რეალიზება(Kurtz, 2001).

მოქალაქეობასთან დაკავშირებით ძალიან მნიშვნელოვან იდეებს გვთავაზობსCharles-Louis de – Montesquieu(Carrithers&Mosher&Rahe(eds.),2001). ის რადიკალურად ეწინააღმდეგება ფატალიზმს და აქტიურად საუბრობს მოქალაქეთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის მნიშვნელობაზე, *„ხელმწიფის ფატალიზმზე არანაკლებ მნიშვნელოვანია ქვეშევრდომთა ფატალიზმი“* - აცხადებს ის. მისი აზრით, ყოველი მოქალაქე ვალდებულია დაიცვას თავისი უფლებები, რომ დესპოტიზმთან შერიგებული მოქალაქე ზიზღის ღირსია. მონტესკიე „კანონთა გონში“ აქცენტს აკეთებს კანონებზეც და ამბობს, რომ საზოგადოებაში არსებული კანონები არ არის თავსმოხვეული, რომ ისინი თავად საზოგადოებიდან გამომდინარეობს.

მე-17-18 საუკუნეში მოქალაქეობის კონცეფციაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინესjon lock-მა და Jean-Jacques Rousseau-მ(Lazar, 2013).თუკი არისტოტელე მხოლოდ პოლიტიკურ უფლებებზე აკეთებდა აქცენტს, lock თვლიდა, რომ უფლებები, რომლებიც მოქალაქეობის სტატუსთან და საზოგადოების წევრობასთან ასოცირდებოდა, უნდა უზრუნველყოფდეს ინდივიდების კარგად ცხოვრებასა და თანასწორობას იქამდე, სანამ სხვებს იმავე უფლებებით სარგებლობაში ხელს არ შეუშლიდნენ, სახელმწიფოს მოვალეობა კი მოქალაქეებს შორის თანასწორობის უზრუნველყოფა უნდა ყოფილიყო სახელმწიფო ინსტიტუტებში მონაწილეობისა და გადასახადების გადახდის პროცესში. მნიშვნელოვანია, რომ ლოკის თეორიამ შექმნა ლიბერალური მოქალაქეობა, რაც, პირველ რიგში, თანასწორობას ეფუძნებოდა(Locke, 2013[1988]).

ლოკის კვალდაკვალ, რუსომ მოქალაქეებსა და სახელმწიფოს შორის არსებულ ურთიერთობას სოციალური კონტრაქტი უწოდა, რომელიც დაფუძნებულია ურთიერთგაგებასა და გაერთიანებულ ძალებზე, რომლებიც საბოლოო ჯამში ქმნიან ძლიერ ერთობას, რომელსაც ნებისმიერი შიდა და გარე წინააღმდეგობის გადალახვა ძალუძს. რუსომ წამოაყენა იდეა, რომ ყველა ადამიანი თავისუფალია და მოქალაქეობის სტატუსის მინიჭება ინდივიდუალურ არჩევანს უნდაექვემდებარებოდეს. რუსოს აზრით, მოქალაქე წარმოადგენს ინდივიდს, რომელიც საკუთარი სურვილითა და კეთილგანწყობით იწყებს სახელმწიფოსთან ურთიერთობას, რომ მართალია,

სოციალური კონტრაქტის ძალაში შესვლის შემდეგ ადამიანი კარგავდა ბუნებრივ თავისუფლებას და მას აღარ შეეძლო ყველაფრის გაკეთებაკონტრაქტის პატივისცემის გამო, მაგრამ ის იძენდა სამოქალაქო თავისუფლებას და ლეგალურ უფლებას საკუთრებისას და სახელმწიფოში მონაწილეობის მიღებისას (Rousseau, 2013[1762]).

მოქალაქეობის კონცეფციის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ნიკოლო მაკიაველს. ის ამტკიცებდა რომ რომაულმა გამოცდილებამ გვიჩვენა როგორ შეიძლება შეიზღუდოს არისტოკრატიისა და ხალხის ინტერესები თუკი ისინი ერთმანეთს შეეწინააღმდეგებიან, შესაბამისად, არც ერთ ადამიანს და ინსტიტუციას არ უნდა შეეძლოს რომ გამოიყენოს ძალაუფლება ისე, რომ მინიმუმ ერთმა ადამიანმა ან ინსტიტუციამ არ შეამოწმოს და დააბალანსოს ის. მნიშვნელოვანია, რომ ძალაუფლების გაყოფის აუცილებლობა შემდეგში რესპუბლიკური თეორეტიკოსების მიერშემუშავდა. სწორედ ეს იყო მთავარი მახასიათებელი რენესანსური იტალიის, განსაკუთრებით კი ფლორენციისა და ვენეციისა, რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინესსხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებზე მეთვრამეტე საუკუნეში(Critchley, 2004).

მოქალაქეობის კონცეფციის სხვადასხვაგვარ განმარტებას გვთავაზობს ბევრი მეცნიერი, თუმცა მათი უმრავლესობა ოთხ ძირითად მახასიათებელზე აკეთებს აქცენტს, კერძოდ, ავტორები აღნიშნავენ, რომ მოქალაქეობა მოიაზრებს კავშირს სახელმწიფოსა და ინდივიდს შორის, მოქალაქის დახასიათებისას კი ხაზგასმით აღნიშნავენ უფლებებსა, მოვალეობებსა და მონაწილეობას, ეს უკანასკნელი კი მოიაზრებს როგორც პოლიტიკურ, ასევე, მოხალისეობრივ თუ სხვა სახის სამოქალაქო ჩართულობას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მეცნიერები განიხილავენ მოქალაქეობის როგორც პოლიტიკურ, ასევე, სამოქალაქო და სოციალურ ასპექტს.

Balasubramanian(Rozemeijer,2001) მოქალაქეობას განსაზღვრავს, როგორც ურთიერთობას ხალხსა და სახელმწიფოს შორის, მისი თქმით, ეს არის პროცესი, რომელიც მოიცავს ორმხრივ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის, რომლის ბუნებაც სახელმწიფოს კულტურით, ცხოვრების წესით,

პოლიტიკური სტრუქტურით, გეოპოლიტიკური და ეკონომიკური მახასიათებლებით განისაზღვრება. მისივე თქმით, განსაზღვრული მახასიათებლები, განსაკუთრებით არსებული სწრაფი ცვლილებების ფონზე, იცვლება და სოციალური ურთიერთობები უნივერსალურ მახასიათებლად იქცა.

მოქალაქეობის განმარტებისას სახელმწიფოსა და საზოგადოების ორმხრივ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებზე აკეთებს აქცენტს Giroux-იც(Giroux,1995), რომლის მიხედვითაც მოქალაქეობა წარმოადგენს ისტორიულ ხელშეკრულებას ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის, ზუსტი გაგებით კი, ის ეხება პოლიტიკურ ჩარჩოში ინდივიდუალურ ინტეგრაციას და მოქალაქეთა მონაწილეობას სამართლის დაწესებულებებში, მისივე აზრით, ის პირდაპირ გულისხმობს ინდივიდების მონაწილეობას საზოგადოებრივ საქმეებში.

მსგავს განმარტებებს გვთავაზობენ სხვა ავტორებიც. Büyük-ის(Büyük, 1986) თანახმად, "მოქალაქე" სახელმწიფო წევრის სინონიმს წარმოადგენს. მოქალაქე არის ადამიანი, რომელსაც აქვს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები და სახელმწიფოს კენჭისყრაში ხმის მიცემის უფლებით სარგებლობს. Harvey-ის (Harvey,1997) თანახმად, მოქალაქე არის ადამიანი, რომელიც ცხოვრობს სახელმწიფოში, დაცულია კანონით, აქვს არჩევნებში ხმის მიცემის უფლება, აქვს უფლება გაიგოს მოქალაქის ის უფლება-მოვალეობები, რომლებიც კანონითაა დაცული, იხდის გადასახადებს და აღიარებს სხვათა უფლებებს.Vural-ის (Vural,2000) მიხედვით, მოქალაქეები არიან ისინი, ვინც ცხოვრობენ ერთსა და იმავე ადგილას და ერთმანეთთან დაკავშირებული არიან სახელმწიფოთი და მოქალაქეობით.

მონტესკიეს მსგავსად, აქტიურ მოქალაქეობაზე, საზოგადოებრივ პროცესებში მოქალაქეთა მხრიდან აქტიური მონაწილეობის მნიშვნელობაზე საუბრობს Kirlin-ის (Kirlin, 2003), მნიშვნელოვანია, რომ ის მონაწილეობაში ფართო პერსპექტივით საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრობას და ისეთი ქმედებების განხორციელებას

მოიაზრებს, როგორებიცაა ხმის მიცემის უფლებით სარგებლობა, საჯარო საკითხებზე მსჯელობა, პოლიტიკურ კამპანიებზე მუშაობა ა.შ.

მოქალაქეობის განმარტებისას მეცნიერთა ნაწილი მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს ადამიანების უნარსა და შესაძლებლობაზე, რომელიც მათ საზოგადოების პროგრესსა და განვითარებაში წვლილი შეიტანის საშუალებას აძლევთ (Rozemeijer, 2001).

Banks(Banks,200) მოქალაქეობას ადამიანთა ყოველდღიურ ყოფასა და ურთიერთქმედებას უკავშირებს, რითაც მოქალაქეების უფლებათა მრავალფეროვნებას უსვამს ხაზს, მისი თქმით, მოქალაქეობა არ არის შეზღუდული პოლიტიკურ დონეზე და ის სამოქალაქო საზოგადოებას მიემართება.

მეცნიერთა ნაწილი მოქალაქეობის განსაზღვრებისას აქცენტს კარგი მოქალაქის ღირებულებებსა და უნარ-ჩვევებზე აკეთებს. Patrick-ის (Patrick,1991) მიხედვით, ძირითადი საკითხი მოქალაქეობისა კონსტიტუციურ დემოკრატიაში სწორედ ის არის რომელ ცოდნებს, დამოკიდებულებებსა და ინტელექტუალურ და მონაწილეობით უნარ-ჩვევებს უნდა ფლობდეს დემოკრატიული ქვეყნის მოქალაქე, რომ შეძლოს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაგება და მონაწილეობის მიღება სამოქალაქო საზოგადოებაში.

მკვლევარები(Angell,1991),(Berman,1990),(Boyer,1990),(Butts,1988),(Callan,1994:190); (Colville&Clarken,1992),(Drake,1987),(Drisko,1993),(Fowler,1990),(Harwood,1992),(Harwood &Hahn,1992),(Levitt&Longstreet,1983),(Mullins,1990),(Newmann,1989),(Pratte,1988), კონსტიტუციურ დემოკრატიაში კარგ მოქალაქეს რამდენიმე ძირითად მახასიათებელს უკავშირებენ, რომელთაგან უმნიშვნელოვანესს დემოკრატიული ღირებულებებისა და ფასეულობების გაგება და ვალდებულება წარმოადგენს, მათ შორის მნიშვნელოვანია საერთო სიკეთეების პატივისცემა წარმოადგენს. მათი თქმით, მოქალაქეთა ეფექტურობისთვის საჭიროა საერთო კეთილდღეობის, სიკეთეების პატივისცემა, აუცილებელია, რომ მოქალაქეები ფიქრობდნენ საერთო კეთილდღეობასა და მისი მიღწევის გზებზე. მათ, ასევე, სჭირდებათ თანაგრძნობის, გულშემატკივრობის შეგრძნება

და სოციალური პასუხისმგებლობა ადამიანებისა თუ გარემოს მიმართ. მნიშვნელოვანია, რომ კარგმა მოქალაქეებმა გამოხატონ საკუთარი ვალდებულებითი აქტივობა ისეთ პროცესებში, როგორებიცაა არჩევნებში მონაწილეობა, იგულისხმება ხმის მიცემა, მოხალისეობრივი საქმიანობა, შუამდგოლობა მთავრობასთან ცვლილებებისთვის და ა.შ. (Drisko,1993). აღნიშნულ მახასიათებელს მნიშვნელოვნად მიიჩნევს Marshall-იც(Marshall, 1950), რომლის თანახმადაც, მოქალაქეთა ქმედებები შთაგონებული უნდა იყოს საზოგადოების კეთილდღეობისდამი პასუხისმგებლობის გრძნობით.

მოქალაქეთა მხრიდან პოლიტიკური ცნებების, საკითხების, სტრუქტურისა და სისტემის ცოდნასა და გაგებაზე აკეთებს აქცენტს Boyer-ის (Boyer, 1990), რომლის მიხედვითაც, ეფექტურ და კარგ მოქალაქეებს სხვა საკითხებთან ერთად უნდა ჰქონდეთ ცოდნა და იცნობდნენ ეროვნულ დოკუმენტებს, მთავრობის სტრუქტურას, პოლიტიკურ პროცესებს და იმ გლობალურ მდგომარეობას, რომელშიც სახელმწიფო არსებობს.

Callan-ის(Callan,1994) თანახმად, ეფექტური მოქალაქეობის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს მაღალი სააზროვნო უნარები და პატრიოტული გრძნობები წარმოადგენს, მისი აზრით, კომპეტენტური მოქალაქეები საჭიროებენ მაღალ სააზროვნო უნარებს, მათ შორის, კრრიტიკულ აზროვნების, პრობლემის გადაწყვეტის, გადაწყვეტილების მიღების, განსხვავებული აზროვნების, ჰიპოთეტური აზროვნების უნარებს. Callan (Callan,1994) აღწერს უკიდურეს მიდგომას პოლიტიკისა და ხელისუფლების მიმართ, რაც შესაძლებელია გამოიწვიოს აღნიშნული უნარების დეფიციტმა, კერძოდ კი, ბრმა, არაკრიტიკული პატრიოტიზმი, ცინიზმი და აპათია.

მეცნიერთა მხრიდან სოციალური უნარებიც იდენტიფიცირებულია როგორც მნიშვნელოვანი აქტიური მოქალაქეებისთვის, აღნიშნული უნარები მოიცავს კონფლიქტის მართვას, შეთანხმების მიღწევას და თანამშრომლობას(Berman,1990). Berman (Berman,1990)განსაზღვრავს სოციალურ პასუხისმგებლობას, როგორც პირად ინვესტიციას სხვების საკეთილდღეოდ, განსაზღვრავს ცოდნას და უნარებს, საჭიროს პრაქტიკული

სოციალური პასუხისმგებლობისთვის, ვარაუდობს, რომ შესაძლებელია აღნიშნული ცოდნა და უნარები სწორედ საკლასო ოთახებში გადაიცეს.

Butts (Butts,1988) განსაზღვრავს 12 ძირითად ღირებულებას, როგორც თეორიული და პრაქტიკული დემოკრატიული მოქალაქეობის ფუნდამენტურ ღირებულებებს: სამართლიანობა, თანასწორობა, მონაწილეობა, უფლებამოსილება, სიმართლე და პატრიოტიზმი, დანარჩენ ექვს უფლებას კი შემდეგი უფლებები წარმოადგენს: თავისუფლება, მრავალფეროვნება, კონფიდენციალობა, საკუთრება და ადამიანის უფლებები.

ავტორები დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობისთვის აუცილებელ სხვა უნარებად განსაზღვრავენ კრიტიკული აზროვნების, პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების, ინფორმაციის შეფასებისა და ანალიზის, საკითხების განხილვის, სხვადასხვა მოსაზრების გათვალისწინების, სხვებთან თანამშრომლობით მიზნის მიღწევის, პრობლემის გადაწყვეტის, ეფექტური და რაციონალური არგუმენტის მოყვანის უნარებს, ასევე, ისეთ ინტელექტუალურ უნარ-ჩვევებს, როგორებიცაა გაცნობიერება, აღწერა, ახსნა, შეფასება და ა.შ. (ბეროუსი და რუხაძე და კვაჭაძე და გაფრინდაშვილი და იზორია,2011).

კარგი მოქალაქის მახასიათებლებს გვთავაზობს ევროპის საბჭოც, კერძოდ, მოქალაქის უფლებებისა და პასუხისმგებლობების ცნობას, ინფორმირებულობას სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებასთან დაკავშირებით, სხვა ადამიანთა კეთილდღეობაზე ზრუნვას, საკუთარი მოსაზრებებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას, თავის თემში აქტიურობას და საკუთარ საქციელზე პასუხისმგებლობის აღებას.

თანამედროვე გაგებით, მოქალაქე წარმოადგენს კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქეობის მქონე პირს, განურჩევლად ეთნიკური წარმოშობისა, რასისა, სქესის ან რელიგიური კუთვნილებისა. თავად კონცეფცია კი სხვადასხვა ქვეყანაში კანონმდებლობით განსახვავებულად განიმარტება მათი სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და გეო-პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, თუმცა

მსოფლიოს გლობალურ სოფლად გარდაქმნამ სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეობის კონცეფციის მსგავსება განაპირობა(ბრეტი,მომპოინტ, სალემა,2009).

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ თანამედროვე მოქალაქის ფუძემდებლურ მახასიათებლებს სწორედ უფლებები, მოვალეობები და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა წარმოადგენს, რაზეც საუკუნეების განმავლობაში აქტიურად სარგებლობდნენ, მე-20 საუკუნეში კი Marshall(Marshall, 1950)-მა თეორიის სახით შემოგვთავაზა.

1.4. საქართველო და მოქალაქეობა

მოქალაქეობის თანამედროვე კონცეფციის თვალსაჩინოებისთვის მნიშვნელოვანია საქართველოს მოქალაქეობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის მიმოხილვა, კერძოდ, რა უფლებები თუ მოვალეობები უკავშირდება ამ სტატუსის მფლობელ ინდივიდს. საქართველოს ორგანული კანონის - „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“(საქართველოს პარლამენტი,2014) მესამე მუხლის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეობა წარმოადგენს საქართველოსთან პირის სამართლებრივ კავშირს. კანონის მეოთხე მუხლი აღიარებს საქართველოს მოქალაქეების თანასწორობას კანონის წინაშე განურჩევლად მათი რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა და ნებისმიერი სხვა ნიშნისა. ამავე მუხლის თანახმად, *„საქართველოს მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული და საერთაშორისო სამართლით აღიარებული უფლებები და თავისუფლებები“,* ამასთანავე, ვალდებული არიან, დაიცვან საქართველოს კონსტიტუცია და სხვა ნორმატიული აქტები, მისი ტერიტორიული მთლიანობა და იყვნენ საქართველოს ინტერესების ერთგული.

საქართველოს მოქალაქეთა უფლებები ფართოდ არის წარმოდგენილი ეროვნულ საკანონმდებლო სივრცეში, მნიშვნელოვანია რამდენიმე მათგანის აღნიშვნა.

საქართველოს სახელმწიფოს ფუნდამენტური დოკუმენტის საქართველოს კონსტიტუციის(საქართველოს პარლამენტი,1995) მეორე თავი ადამიანის უფლებებს ეძღვნება. მე-11 მუხლით აღიარებულია ადამიანების თანასწორობა კანონის წინაშე და აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით. იგივე მუხლი საქართველოს მოქალაქეებს, განურჩევლად მათი ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე თავიანთი კულტურის შენარჩუნების ადა განვითარების და დედაენით პირად ცხოვრებასა და საჯაროდ სარგებლობის უფლებას ანიჭებს. მე-13 მუხლის ადამიანების თავისუფლების პრინციპს აღიარებს, რომლის თანახმადაც, *„ადამიანის თავისუფლება დაცულია, მისი აღკვეთის ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შეფარდება დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლი აღიარებს პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის“(მუხლი* 15), . რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის(მუხლი 16), აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების(მუხლი 17), საკუთრების(მუხლი 19), შეკრებისა(მუხლი 21) და სხვა უფლებებს. კონსტიტუციის 27-ე მუხლი ყველა მოქალაქეს განათლების მიღებისა და მისი სასურველი ფორმის არჩევის უფლებას ანიჭებს.

საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" (საქართველოს პარლამენტი,2014) კრძალავს დისკრიმინაციას როგორც საჯარო, ასევე კერძო სფეროში. კანონი განმარტავს დისკრიმინაციის ცნებას და აკონკრეტებს დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ აკრძალვებს, ასევე, განსაზღვრავს დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად განსახორციელებელ ღონისძიებებს(მუხლი 4), კანონი ნებისმიერ დაწესებულებას ავალდებულებს საქმიანობის, ასევე, სამართლებრივი აქტებისა და შიდა რეგულაციების, თუისინიარსებობს, ამ კანონთან და სხვა ანტიდისკრიმინაციულ

კანონმდებლობასთან შესაბამებას და სავარაუდო დისკრიმინაციის ნებისმიერ ფაქტზე სწრაფ და ეფექტიან რეაგირებას.

მოქალაქის ერთერთ ძირეულ უფლებას - სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას უზრუნველყოფს საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“(საქართველოს პარლამენტი, 2004). კანონის თანახმად, *„სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს. ყველას, ადმინისტრაციული ორგანოს გარდა, აქვს გამოხატვის თავისუფლება, რაც გულისხმობს, აზრის აბსოლუტურ თავისუფლებას; პოლიტიკური სიტყვისა და დებატების თავისუფლებას; ნებისმიერი ფორმის ინფორმაციისა და იდეების მოძიების, მიღების, შექმნის, შენახვის, დამუშავებისა და გავრცელების უფლება....“.*

მნიშვნელოვანია კანონი „კულტურის შესახებ“(საქართველოს პარლამენტი,1997), რომელიც ადამიანის კულტურული მოღვაწეობის უფლების დაცვასა და რეალიზებას ემსახურება. აღსანიშნავია, რომ კულტურული მოღვაწეობის ფუძემდებლურ პრინციპებად განსაზღვრულია ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარება და საქართველოს მოქალაქეთა კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გაღრმავებისათვის ხელშეწყობ. მე-9 მუხლის თანახმად, *„დაუშვებლად ცხადდება შემოქმედებით პროცესში ჩარევა, შემოქმედებითი საქმიანობის ცენზურა, შემოქმედებით ნაწარმოებზე ყადაღის დადება და მისი გავრცელების აკრძალვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ლახავს სხვა ადამიანის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, აღვივებს ეროვნულ, ეთნიკურ, რელიგიურ და რასობრივ შუღლს, ქადაგებს ომსა და ძალადობას, პროპაგანდას უწევს პორნოგრაფიას“.*

აღსანიშნავია „შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია“(საქართველოს მთავრობა,2009), რომლის მიზნადაც დემოკრატიული, კონსოლიდირებული და საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა არის განსაზღვრული, რომლის

საფუძველსაც მრავალფეროვნება და მოქალაქეებისთვის საკუთარი იდენტობის შენარჩუნებისა და განვითარების უზრუნველყოფა წარმოადგენს.

აღნიშნული კანონმდებლობა მცირე ჩამონათვალია იმ დოკუმენტებისა, რომლებიც საქართველოს მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს იცავს და თითოეული ადამიანის მიერ მათი განხორციელების გარანტად გვევლინება, მათში მოცემული უფლებებისა და თავისუფლებების განხილვა ცხადს ხდის მოქალაქეობის თანამედროვე კონცეფციის ფართობებს.

თავიII. მოქალაქეობრივი განათლება

2.1. მოქალაქეობრივი განათლების არსი და მიზნები

მოქალაქეობის კომპლექსური ბუნებიდან გამომდინარე, მისი სწავლების პროცესი მეტად მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. მიუხედავად იმისა, რომ ავტორები მას სხვადასხვაგვარად განმარტავენ, თითოეულ მათგანში აშკარად იკვეთება მოქალაქეობრივი განათლების ფუძემდებლური ასპექტები, კერძოდ კი ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმეებში და დემოკრატიულ მოქალაქეობასთან დაკავშირებული ღირებულებები - თანასწორობა, ტოლერანტობა და ა.შ.

იუნესკო მოქალაქეობრივი განათლების განმარტებაში განსაკუთრებულ ხაზს მონაწილეობის უფლებას უსვამს და მას განმარტავს როგორც პროცესს, რომელიც იწყება ადრეული ასაკიდან და უზრუნველყოფს ინდივიდის ჩამოყალიბებას საღი აზროვნების მქონე განათლებულ მოქალაქედ, რომელიც აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივი გადაწყვეტილებების მიღებაში, შესაბამისად, ის ინდივიდების მრავალმხრივ - სულიერ, მორალურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას უზრუნველყოფს(ბრეტიდა მომპოინტ და სალემა, 2009).

მოქალაქეობის სწავლება შეიძლება, ასევე, განისაზღვროს, როგორც დოქტრინა, რომელიც ორგანიზებულ საზოგადოებაში მცხოვრებ ინდივიდებს აწვდის ინფორმაციას ერთმანეთის, ასევე, სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წინაშე არსებული უფლებებისა და მოვალეობების შესახებ(Nomer, 1983).

ევროსაბჭო ქარტიაში „განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და ადამიანის უფლებების სწავლება"(2010) მოქალაქეობრივ განათლებას მოიაზრებს განათლებას დემოკრატიული მოქალაქეობისთვის და მას განმარტავს, როგორც *„განათლებას, წვრთნას, ცნობიერების ამაღლებას, ინფორმაციას, პრაქტიკასა დასაქმიანობებს, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს, მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის ცოდნის გადაცემის, უნარებისა და ნათელი წარმოდგენების განვითარებისა და დამოკიდებულებებისა და ქცევის წესის ჩამოყალიბების გზით, მათთვის იმ რესურსების მიწოდება, რომელიც საშუალებას მისცემთ მათ, გამოიყენონ და დაიცვან მათდამი მინიჭებული დემოკრატიული უფლებები და ვალდებულებები საზოგადოებაში, დააფასონ მრავალფეროვნება და აქტიური როლი ითამაშონ დემოკრატიული ცხოვრების წესში, დემოკრატიის პრინციპებისა და კანონის უზენაესობის დანერგვისა და დაცვის საშუალებით".*

მოქალაქეობრივ განათლებას დემოკრატიას უკავშირებენ მკვლევრებიც. Butts-ის (Butts 1988)მიხედვით, მოქალაქეობრივი განათლება გულისხმობს იმ ძირითადი კონცეპტებისა და ღირებულებების სწავლებას, რომლებიც საფუძვლად უდევს დემოკრატიულ პოლიტიკურ ერთობას და კონსტიტუციურობას.

დემოკრატიულ ღირებულებებზე ამახვილებს ყურადღებას იუნესკოც, რომლის თანახმად, მოქალაქეობრივი განათლების ყველა ფორმა პირველ რიგში, უნდა ემიზნებოდეს სხვების პატივისცემას, ყველა ადამიანის თანასწორობის აღიარებას და დისკრიმინაციის ყველა ფორმის(რასისტული, გენდერული, რელიგიური და ა.შ.) წინააღმდეგ ბრძოლას ადამიანებს შორის ტოლერანტიზმისა და მშვიდობის განმტკიცებით.

მოქალაქეობრივი განათლების ჩამოთვლილი განმარტებები ნაწილობრივ ცადჰყოფს მის ფუძემდებლურ მიზნებს, კერძოდ, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების და მოვალეობების სწავლებასა და გაცნობიერებას და იმ უნარ-ჩვევებითა და ღირებულებებით აღჭურვას, რომლებიც ინდივიდის საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებში აქტიურ მონაწილეობას უზრუნველყოფას.

ევროსაბჭო ქარტიაში განმარტავს, ასევე, მოქალაქეობრივი განათლების მიზანსაც - *„ადამიანების აღჭურვა იმ ცოდნით, უნარებით, შეგნებითა და დამოკიდებულებებით, რომლებიც მათ თემში ეფექტური მონაწილეობის საშუალებას მისცემთ, კერძოდ კი, ერთი მხრივ, ასწავლის მათ როგორ მიიღონ ინფორმაცია მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, მეორე მხრივ, კი ეხმარება მათი მნიშვნელობის გააზრებაში, რომ თითოეულ მათგანს მნიშვნელოვანი გავლენისა თუ ცვლილების მოხდენა შეუძლიათ“,* ამ ტიპის განათლების მიზნად ქარტია, ასევე, განსაზღვრავს ინტერკულტურული დიალოგის, მრავალფეროვნებისა და თანასწორობის პრინციპების აღსრულების ხელშეწყობას.

მიზნების შესაბამისად, იუნესკო მოქალაქეობრივ განათლებას სამ ძირითად ამოცანას განუსაზღვრავს, კერძოდ, ხალხის განათლებას მოქალაქეობასა და ადამიანის უფლებებში ძირითადი პრინციპებისა და ინსტიტუტების სწავლებასა და გაცნობიერებას(რომელთაც მართავს სახელმწიფო ან ერი), განსჯისა და კრიტიკული უფლებამოსილების სწავლებას და ინდივიდუალური და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობების გრძნობების გაჩენას.

როგორც უკვე აღინიშნა, მოქალაქეობის კომპლექსურობიდან გამომდინარე მისი სწავლება რამდენიმე ძირითადი მიმართულებით ხორციელდება, სხვადასხვა მეცნიერი კი მოქალაქეობის სწავლებაში სხვადასხვა ასპექტს ანიჭებს უპირატესობას.

Harvey-ისა (Harvey,1997) და Crick-ის (Crick,1998) მიხედვით, მოქალაქეობის სწავლება სამი ძირითადი მახასიათებლით ხასიათდება, რომლებიც მოქალაქეების ჩამოყალიბებას უზრუნველყოფენ, კერძოდ, სოციალური და მორალური პასუხისმგებლობები, რომლის მიზანსაც მოზარდებში იმის სწავლება წარმოადგენს, რომ სოციალური და მორალური

ქცევის უფლებას თითოეული ჯგუფი გარკვეული უფლებამოსილების ფარგლებში ფლობს, სოციალური მონაწილეობა, რომლის მიზანსაც საზოგადოებასთან ცხოვრების სწავლა წარმოადგენს, უფრო ზუსტად კი მოზარდებში იმის გააზრება, რომ მნიშნელოვანია სასარგებლოები იყვნენ მეზობლებისთვის, მეგობრებისთვის და ზოგადად ცხოვრებაში, მესამე და მოქალაქეობის სწავლების უმნიშვნელოვანეს ნაწილად კი პოლიტიკური შეგნების, ცნობიერების ჩამოყალიბებას განიხილავენ, რაშიც მოიაზრებენ იმის სწავლებას,როგორ ვიყოთ აქტიურები და გავლენიანები საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრაში.

სოციალური და მორალური პასუხისმგებლობების გააზრების მნიშვნელობაზე საუბრობს McGonigle-იც (McGonigle,1999), მისი აზრით, მნიშვნელოვანია სოციალური და მორალური პასუხისმგებლობების გათავისება არა მხოლოდ ერთმანეთის, არამედ ხელისუფლების მიმართაც. ის, ასევე, ყურადღებას ამახვილებს პოლიტიკურ ცნობიერებაზე და აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია მოზარდებმა გაიაზრონ როგორ შეუძლიათ ფუნქციონირება პოლიტიკურ სისტემაში, როგორც აქტიურ, კრიტიკულ და პასუხისმგებლიან მოქალაქეებს, ასევე, მნიშნელოვნად მიიჩნევს, რომ მოქალაქეობრივმა განათლებამ ბავშვებისთვის სკოლასა თუ სოციალურ გარემოში აქტიურად ყოფნის შესაძლებლობა შექმნას.

მოქალაქეობის სწავლების კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნაწილს ადამიანის უფლებების სწავლება წარმოადგენს. ადამიანის უფლებების განათლება თანამედროვე საზოგადოების შეუცვლელ პრიორიტეტს წარმოადგენს. სხვადასხვა საზოგადოება განსხვავებულ გეოგრაფიულ ადგილებში ცხოვრობს, გლობალური საჭიროებებისა თუ მოთხოვნების გამო კი აუცილებლობით სჭირდებათ ერთმანეთთან კომუნიკაცია, ამ უკანასკნელის უწყვეტობისთვის ყველაზე ჯანსაღ გზას ერთმანეთის უფლებების ცოდნა წარმოადგენს, რაც, ამავდროულად, თანამედროვე საზოგადოებებს შორის საერთაშორისო ურთიერთობების დამყარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორიცაა(Certified Human Resources Executive, 2011).

მოქალაქეობის სწავლების სხვა მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ის, რომ ის მოიცავს როგორც ნაციონალურ, ასევე, საერთაშორისო ასპექტებს. ადამიანები ურთიერთობენ უცხოელებთან, მოგზაურობენ მათთან ერთად, ქმნიან ოჯახებს და ურთიერთობენ ინტერნეტის საშუალებით. გლობალური მოქალაქეობა მოითხოვს გლობალური საზოგადოების წევრობას, ან მსოფლიოს გარშემო არსებულ სხვადახვა საზოგადოებაში ცხოვრებას ნდობით. Oxfam (Harvey,1997) გვთავაზობს მსოფლიო მოქალაქის რამდენიმე მნიშვნელოვან მხასიათებელ, რომლებსაც ასევე, მოქალაქეობრივი განათლება უზრუნველყოფს, კერძოდ, მსოფლიო მოქალაქე იცნობს და შეგნებული აქვს მსოფლიო და ხედავს მის, როგორც მსოფლიო მოქალაქის როლს, პატივს სცემს განსხვავებულ ღირებულებებს, მზად არის შექმნას მეტად თანასწორი და ძლიერი მშვიდობა მსოფლიოში, პასუხისმგებლობებს იღებს სხვების გასააქტიურებლად და ა.შ.

მოქალაქეობის სწავლება, ასევე, უზრუნველყოფს მოსწავლეების ინდივიდებად ჩამოყალიბების პროცესსაც. Lynn(Berkowitz, 1997) ამ საკითხთან დაკავშირებით განმარტავს, რომ მოქალაქეობის სწავლების მიზანს სკოლებსა და კოლეჯებში წარმოადგენს ინდივიდუალური ღირებულებების შექმნა მომავალი დემოკრატიული მონაწილეობისთვის. სწორედ ღირებულებები და ფასეულობები აძლევს მნიშვნელობას ადამიანების ქმედებას. შესაბამისად, მოქალაქეობრივი განათლება მიმართულია ღირებულებების გაჩენისა და მათი განვითარებისკენ, რათა თავიდან იქნას აცილებული მხოლოდ მსჯელობითიუნარის განვითარება მორალურისაზომის გარეშე (Veugelers, 2000). აღნიშნული უზრუნველყოფს, რომ ინდივიდებმა უკუკავშირები გამოხატონ, იმოქმედონ და ყოველგვარი არჩევანი გააკეთონ ღირებულებების გათვალისწინებით მოქალაქეობრივი ცნობიერების ფარგლებში.

უდაოა, რომ მოქალაქეების მოვალეობები და პასუხისმგებლობები არ არის მხოლოდ კანონის დაცვა და პატივისცემა. ის მოიაზრებს, ასევე, საზოგადოების წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების მიღებასა და დაცვას.პირველ რიგში კი საზოგადოებისთვის დამახასიათებელი კულტურის გადაცემას მომდევნო თაობებისთვის, კულტურის

დინამიური თვისებების გამო კი საჭიროა, რომ მოქალაქეებმა მიიღონ აქტიური განათლება, რათა იყვნენ კრეატიულები და განსაკუთრებით, შეძლონ მიმდინარე ცვლილებებთან ადაპტაცია. დღეს, ქცევის გარკვეული ფორმები მხოლოდ კონკრეტული კულტურებისთვისაა დამახასიათებელი, შესაბამისად, განათლების უმნიშვნელოვანეს ფუნქციას ღირებულებების მატარებელი ძალების გაერთიანებაც წარმოადგენს(Büyükkaragöz and Kesici, 1998).

მეცნიერები მნიშვნელოვან ყურადღებას ამახვილებენ მოზარდებში კრიტიკული აზროვნების, როგორც მოქალაქისთვის უმნიშვნელოვანესი თვისების ჩამოყალიბების მნიშვნელობაზე, რომელსაც, ასევე, მოქალაქეობრივი განათლების ერთერთ ამოცანად განსაზღვრავენ. ისინი საუბრობენ კრიტიკულ დემოკრატიულ მოქალაქეობაზე და აღნიშნავენ, რომ თანამედროვე საზოგადოება საჭიროებს კრიტიკულ დემოკრატიულ მოქალაქეობას, რომელიც დაფუძნებულია ავტონომიასა და სოციალურ ვალდებულებაზე. ახალგაზრდებმა უნდა მიიღონ განათლება, რათა ჰქონდეთ კრიტიკულიდამოკიდებულება, გამბედაობა და კრეატიულობა, რომ ახალი ნაბიჯები გადადგან, ასევე, ჰქონდეთ სურვილი, გაეცნონ არსებულ ცოდნებს გარემოსა თუ ძირითადი საკითხების შესახებ. მეცნიერები კრიტიკული დემოკრატიული მოქალაქეობის საჭიროებას საზოგადეობის ინდივიდუალიზმით, გლობალიზაციის პროცესითა და დემოკრატიის მშენებლობის საჭიროებითაც ხსნიან. მათი აზრით, აღნიშნული პროცესები მოითხოვს ღირებულებების მუდმივ განვითარებას თითოეული ადამიანის მიერ და ერთობლივ აქტიურ და კრეატიულ სოციალურ პროცესს. მათი თქმით, კრიტიკული დემოკრატიული მოქალაქეები ინდივიდუალური და სოციალური განვითარების გაერთიანებას ცდილობენ, ისინი წარმოადგენენ ადამიანებს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებაში და კრიტიკულად უყურებენ საზოგადოებრივ ცვლილებებს. კრიტიკული დემოკრატიული მოქალაქეობა გულისხმობს თვითრეგულირებას, სოციალურ ვალდებულებას, კრიტიკულ აზროვნებას და მოქმედებას (Veugelers&Leenders 2003). აღნიშნული უნარის განსავითარებლად, სწავლების პროცესში მეცნიერები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ გარკვეული ღირებულებების სტიმულირებას,

უნარების სწავლებას ღირებულებების შესაფასებლად და სტუდენტების აქტიური მონაწილეობის გასაზრდელად. ასევე, ბალანსის დამყარებას სტუდენტთა პერსონალურ განვითარებასა და (ავტონომია და კრიტიკული აზროვნება)სოციალურ ვალდებულებასა და თავისუფლებას შორის (Veugelers&Leenders,2003).

მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქეობრივი განათლება არ მოიაზრებს მხოლოდ მოქალაქეობასთან და საზოგადოებასთან დაკავშირებული სწავლების განვითარებას, არამედ ისეთი უნარ-ჩვევებისა და საკითხების გაცნობასაც, როგორებიცაა გარემოს დაცვა, მშვიდობადაა.შ.(Davies, 2000). ის ინდივიდებს იმგვარი უნარ-ჩვევების განვითარების საშუალებასაც აძლევს, როგორებიცაა კომუნიკაციის უნარი, რაც საზოგადოებრივ საკითხებთან დაკავშირებით დისკუსიას, ინფორმაციისა და იდეების გაზიარებას გულისხმობს, თანამშრომლობის უნარი, რაც სათემო, საოჯახო თუ სხვა ფართო საზოგადოებრივ საკითხებში პასუხისმგებლიან მონაწილეობას მოიაზრებს, ასევე, შრომითი, პრობლემის გადაჭრის უნარ-ჩვევები და ა.შ.

მოქალაქეობრივი განათლების მიზნებიდან გამომდინარე, მოქალაქეობის სწავლება არ არის დაფუძნებული მხოლოდ ცოდნაზე, ის ორიენტირებულია საზოგადოების შიგნით და გარეთ მცხოვრები ინდივიდების უფლებებსა და მოვალეობებზე(Davies, 2000).

თამამად შეიძლება ითქვას, რომ მოქალაქეობრივი განათლება კარგი მოქალაქის ფორმირების მნიშვნელოვან გარანტს წარმოადგენს, შესაბამისად, მოქალაქეობრივი განათლების პროცესი რამდენიმე ძირითადი მიმართულებით მიმდინარეობს, კერძოდ, პირველ რიგში, მოზარდები თეორიულ დონეზე იღებენ ცოდნას ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორებიცაა პოლიტიკური ცნებები, სტრუქტურები, ადამიანის უფლებები და ა.შ. მეორე მხრივ, მოქალაქეობრივი განათლება სწავლების სხვადასხვა მიდგომებითა თუ მეთოდებით მოზარდებში უზუნველყოფს მოქალაქისთვის მნიშვნელოვანი ისეთი უნარებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებასა და განვითარებას, როგორებიცაა თანამშრომლობა, სხვისი აზრის პატივისცემა, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება და ა.შ, მესამე და მოქალაქეობრივი

განათლების ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტს კი მონაწილეობითი პრაქტიკა წარმოადგენს, რაც მოსწავლეებში მოქალაქეობრივი ჩვევების ჩამოყალიბებასა და განვითარებას უზრუნველყოფს.

2.2. მოქალაქეობრივი განათლების მნიშვნელობა

მოქალაქეობრივი განათლების ფუძემდებლურ მიზანს მოქალაქეობრივი განვითარება წარმოადგენს, რომლის მნიშვნელობასაც თანამედროვე სამყაროსთვის ერთხმად აღიარებენ პოლიტიკოსები, საეკლესიო და ბიზნეს ლიდერები თუ სხვა ჯგუფის წარმომადგენლები, მის მნიშვნელობას კი მსოფლიოში არსებულ სხვადასხვა გამოწვევას, მათ შორის კრიმინალსა და სიღარიბეს უკავშირებენ. ევროსაბჭომ მოქალაქეობა იმ ხუთ კომპეტენციათა შორის განსაზღვრა, რომლებიც აუცილებელია სოციალური ინტეგრაციისა და დემოკრატიული კულტურისთვის(Drake, 1987).

მთავრობებმა მთელი მსოფლიოს მასშტაბით ხელი შეუწყვეს მოქალაქეობის სწავლებას სკოლებსა თუ უნივერსიტეტებში და მოქალაქეობის ტესტებიც წარუდგინეს მოქალაქეობის მაძიებელ ემიგრანტებს. აღნიშნული ქმედება მათი მხრიდან განხოცრიელდა ისეთი პრობლემების პრევენციის მიზნით, როგორებიცაა კენჭისყრაში მონაწილეთა რაოდენობის კლება, თინეიჯერებში ორსულობის ზრდა, კლიმატური ცვლილებები და ა.შ.

საერთაშორისო პრობლემებს მათ შორის საყოველთაო სიღარიბეს, მოსახლეობის ზრდას, ადამიანის უფლებების შეურაცხყოფასა და უგულებელყოფას და გარემოს დაბინძურებას აღწერს Drake (Drake,1987)-ც და გვთავაზობს რეკომენდაციებს, რომლებიც შესაძლოა მოქალაქეებმა გამოიყენონ აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კვლევებით დასტურდება მკაფიო კავშირი სამოქალაქო ინსტიტუტების ცოდნას, აქტიურ მოქალაქეობასა და დემოკრატიის დაცვასა და განმტკიცებას შორის. ერთერთმა კვლევამ დაადგინა მკაფიო კავშირი საკლასო ოთახში არსებულ კლიმატსა და სტუდენტთა სამოქალაქო განწყობებს, პოზიციებსა და უნარებს შორის. მოქალაქეობის ისეთი მნიშვნელოვანი მახასიათებლები, როგორიცაა ინტერესისა

და ვალდებულების განცდა და სურვილი დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობისა, აღმოჩნდა იმ სტუდენტებში, რომელთა საკლასო ოთახებში ადგილი ჰქონდა თანამშრომლობით აქტივობებს, გამოხატვის თავისუფალ შესაძლებლობებს, მრავალფეროვანი შეხედულებების პატივისცემას და მონაწილეობას დემოკრატიულ დისკუსიასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში(Angell,1991).

Colville and Clarken (Colville and Clarken,1992) აღწერენ კვლევას, რომელიც აჩვენებს მოქალაქეობრივი განათლების ეფექტურობას სოციალური პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქის განვითარების საქმეში ისეთი უნარებისა და ცოდნების განვითარებით, როგორებიცაა მკაფიო, კრიტიკული აზროვნება, თანაგრძნობა, გამოხატვა და გადაწყვეტილების მიღება.

Harwood (Harwood,1992) განიხილავს 1990 იანი წლების კვლევას, რომელიც იკვლევდა ურთიერთობას სოციალური მეცნიერებების საკლასო ოთახებში არსებულ კლიმატსა და სტუდენტების დამოკიდებულებას პოლიტიკური პროცესებისადმი. ზოგადად, ღია საკლასო გარემოს სტუდენტთა ჩართულობით და თავისუფალი გამოხატულებებით აქვს დადებითი ეფექტი სტუდენტების პოლიტიკური პროცესებისადმი დამოკიდებულებებზე. არსებობს მტკიცებულება, რომელიც მიუთითებს, რომ ღია საკლასო ოთახის კლიმატი ასევე, დადებით გალვენას ახდენს პოლიტიკურ ცნობიერებაზე, მონაწილეობაზე და პატრიოტულ გრძნობებზე.

მკვლევარები, ასევე, საუბრობენ კარგი მოქალაქისთვის საჭირო ისეთ მნიშვნელოვან უნარებზე, რომელთა განვითარება სწორედ სკოლაში ხდება. Gürkaynak (Gürkaynak,2008) და Leming (Leming,1998) დიდ ყურადღებას ამახვილებენ ისეთ უნარებზე, როგორებიცაა მაძიებლობა, მტკიცებულებების მოძიება და მსჯელობა. ეს უნარები საჭიროა რთულ, თანამედროვე და დემოკრატიულ საზოგადოებაში მყოფი ინდივიდებისთვის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩასართავად. მოქალაქეობრივი განათლება ეხმარება სტუდენტებს, რომ განივითარონ სააზროვნო უნარები დაღირებულებები.

Levitt and Longstreet (Levitt and Longstreet,1983) ამტკიცებენ, რომ საკლასო ოთახში საკამათო საკითხების განხილვა აუცილებელია ისეთი ავთენტური დემოკრატიული ღირებულებების განსავითარებლად, როგორებიცაა, თანასწორობა, თავისუფლება, ადამიანის უფლებები და თავშეკავება სტუდენტებში.

დემოკრატიის მემკვიდრეობა გადაეცემა ყოველ მომდევნო თაობას. საჭიროა, მომავალმა თაობამ ნათლად აღიქვას და დააფასოს ეს მემკვიდრეობა და ისწავლოს, როგორ ისარგებლოს ამ მემკვიდრეობით. სწორედ ამ მიზანს ემსახურება სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ, ისევე, როგორც ზოგადად განათლება, რაც მდგომარეობს ახალგაზრდა თაობის დახმარებასა და წახალისებაში, რათა ისინი ჩამოყალიბდნენ აქტიურ და დემოკრატიის მომხრე და ერთგულ მოქალაქეებად, რაშიც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აღზრდის ინსტიტუტებს და, კერძოდ, მასწავლებელს, როგორც დემოკრატიულ ღირებულებათა მატარებელსა და გადამცემს მოსწავლეებში, რათა ისინი გახდნენ დემოკრატიული საზოგადოების აქტიური მოქალაქეები(ბრეტიდა მომპოინტ და სალემა, 2009).

2.4 მოქალაქეობრივი განათლება ნიდერლანდებში

ბევრ ქვეყანაში მთავრობებმა მცირე ხანია წარადგინეს მოქალაქეობრივი განათლება(Davies &Issitt, 2005),(Torney-Purta & Barber, 2004).

ნიდერლანდები მოქალაქეობრივი განათლების მრავალფეროვანი და ეფექტური პრაქტიკის თვალსაზრისით ერთერთ მნიშვნელოვან სახელმწიფოს წარმოადგენს. განათლებას ჰოლანდიაში სამი ძირითადი მიზანი აქვს: კვალიფიკაცია, სოციალიზაცია და პიროვნული განვითარება. სოციალიზაცია კი, ძირითადად, მოქალაქეობას უკავშირდება. ქვეყნის მასშტაბით, უპირველეს ყოვლისა, სკოლები სარგებლობენ პრინციპით, რომ სკოლაში ნებისმიერ სასწავლო მასალას უცილობლად უნდა შეჰქონდეს წვლილი მოქალაქეობის განვითარებაში და მოქალაქეობრივი განათლების ყოველდღიურ სასკოლო პრაქტიკაში ჩართვაში(Ministerie van Onderwijs en Wetenschappen, 2005).

საწყის ეტაპზე, ნიდერლანდების განათლების საკონსულტაციო საბჭომ 2003 წელს დაამტკიცა საკანონმდებლო წინადადება მოქალაქეობრივი განათლების მიღების შესახებ და გასცა რეკომენდაცია, რომ ჩატარებულიყო ფართო სამეცნიერო კვლევა ბაშვებში ღირებულებების გათავისების მაქსიმალურად ეფექტური მეთოდების დასადგენად. 2005 წელს კი ჰოლანდიის პარლამენტმა მიიღო კანონი აქტიური მოქალაქეობისა და სოციალური ინტეგრაციის შესახებ. კანონის საფუძველზე, 2006 წლის თებერვლიდან მოყოლებული ჰოლანდიურ დაწყებით და საშუალო სკოლებს განესაზღვრათ ოფიციალური ვალდებულება მოსწავლეებში აქტიური მოქალაქეობისა და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობისააღნიშნული კანონით მთავრობამ მიზნად დაისახა, რომ განსხვავებული კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მქონე სტუდენტებმა თანაბრად გაიაზრონ მათი, როგორც მოქალაქეების მნიშვნელობა ჰოლანდიური საზოგადოების განვითარებაში (Wetenschappelijke Raad voor het Regeringsbeleid, 2003).

მნიშვნელოვანია, რომ კანონში მოქალაქეობრივი განათლება განმარტებულია, როგორც "განათლება, რომელი მიზნად ისახავს აქტიური მოქალაქეობის ხელშეწყობასა და სოციალურ ინტეგრაციას და მაქსიმალურად მიმართულია მოსწავლეებისკენ, რათაეს უკანასკნელები პლურალისტურ საზოგადოებაში გაიზარდონ და გაიცნონ სხვადასხვა კულტურისა და ფენის წარმომადგენელი თანასკოლელები (Staatsblad, 2005), კანონის საფუძველზე მთელი ქვეყნის მასშტაბით მოქალაქეობრივი განათლების ძირითადი მიზნები ინტეგრირდა ისეთ საგნებთან, როგორებიცაა ისტორია, გეოგრაფია და ეკონომიკა (Maslowski, 2012). საკლასო აქტივობები კიმთლიანად მოქალაქეობრივ განათლებაზე ფოკუსირდა.

საინტერესოა, რომ განათლების საბჭომ ჰოლანდიურ სკოლებს მისცა თავისუფლება მოქალაქეობრივ განათლებაში საკუთარი ხედვის შემუშავებისა, რაც იმას გულისხმობდა, რომ სკოლებს უფლება ჰქონდათ თავად განესაზღვრათ რა სახით შეიტანდნენ მოქალაქეობრივ განათლებას თავიანთ სასკოლო კურიკულუმში. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, აუცილებლობად განისაზღვრა, რომ სკოლებს სასკოლო გეგმაში

შემუშავებული ჰქონდეთ ძალიან მკაფიო მიზნები, რომლებიც მიიღწევა,ასევე, სისტემური მიდგომა მოქალაქეობრივი განათლების მიმართულებით და ხილვადი შედეგები(Pertijs, 2014).სკოლებს, ასევე, საშუალება აქვთ მოქალაქეობრივი განვითარებისთვის გამოიყენონ ორგანიზაციების მიერ შექმნილი რესურსი, ან თავად შეიმუშაონ, თუმცა სავალდებულოდ მოეთხოვებათ, აქცენტი სექსუალურ მრავალფეროვნებასა და პოლიტიკურ საზოგადოებრივ დებატებში მონაწილეობაზე გააკეთონ(Pertijs, 2014).

ნიდერლანდებში მოქალაქეობრივი განათლება მოიაზრებს, რომ სკოლა პრაქტიკის სივრცესაც წარმოადგენს, შესაბამისად, მოქალაქეობა და დემოკრატია სხვადასხვა ფორმით ყოველდღიურად აქტიურდება სასკოლო ცხოვრებაში, სკოლები და კლასები შესაძლებლობების ფარგლებში სთავაზობენ მოსწავლეებსა და ახალგაზრდებს, რომ ერთობლივად იმუშაონ განსხვავებული ეთნოსის, რელიგიისა და სოციალური მახასიათებლების მქონე მოსწავლეებთან(Toes, 2018).

გამომდინარე იქიდან, რომ თითოეული სკოლა თავად განსაზღვრავს რა ფორმით წარმოადგენს კურიკულუმში მოქალაქეობრივ განათლებას, სკოლების მიხედვით მოქალაქეობრივი განათლების პრაქტიკა განსხვავებულია.

ერთერთ სკოლაში მოქალაქეობრივი განვითარება ხორციელდება დებატების კონკურსებით, მოსწავლეები პოლიტიკოსების როლებს ირგებენ და მათ შორის დებატები იმართება.მოსწავლეები ასევე, იღებენ პასუხისმგებლობას სკოლის ტერიტორიის დასუფთავებაზე, უზრუნველყოფენ სამეზობლოში მყოფი ზრდასრული და ხანდაზმულიმოქალაქეების ჩართვას მუსიკალურ ფესტივალებსა თუ საშობაო სადილებზე(Toes, 2018).

ასევე, მნიშვნელოვან პრაქტიკას წარმოადგენს მრავალკულტურული პროექტი, რომლის ფარგლებშიც ოთხმოსწავლიანი ჯგუფები მშობლებთან ერთად ეწვევიან მიგრანტ ოჯახებს, რის შემდეგაც ეს უკანასკნელები სკოლებს სტუმრობენ, აქვთ საერთო სადილები, სკოლაში მისულ ოჯახებს კი მოსწავლეები თავიანთ გამოცდილებას უზიარებენ

სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით. პროექტი ხელს უწყობს ქსენოფობიის შემცირებას(Toes, 2018).

ერთერთი სკოლა ყოველწლიურად სტუმრობს მეორე მსოფლიო ომის დროს დახოცილი ებრაელი ბავშვების მონუმენტს და პატივს მიაგებს მათ ხსოვნას. ღონისძიებაში მონაწილეობენ როგორც ქრისტიანები, ასევე, მუსულმანები და ებრაელები.აღნიშნული სკოლა, ასევე, იღებს პასუხისმგებლობას, რომ ეწვიოს აფრიკისა და აზიის ქვეყნებს და საქველმოქმედო ღონისძიებები განახორციელოს მათ დასახმარებლად, მოსწავლეები მოგზაურობისთვის საჭირო თანხას სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარების გზით მოიპოვებენ. ამგვარად, აღნიშნული ქვეყნების დახმარება სკოლის ერთგვარ ნიშასაც წარმოადგენს(Toes, 2018).

ქვეყანაში, ასევე, არსებობს სპეციალური პროგრამები, მაგალითად ე.წ. „სამშვიდობო სკოლები“(De Vreedzame School), რომლებიც სოციალური კომპეტენციისა და დემოკრატიული მოქალაქეობის ხელშეწყობას ისახავს მიზნად(Toes, 2018).

მნიშვნელოვანია, რომ ნიდერლანდებს მოქალაქეობრივი განათლების საკმაოდ გრძელი ისტორია აქვს, ეს უკანასკნელი კი ძირითადად, არასამთავრობო და სხვა ტიპის ორგანიზაციებს უკავშირდება, რომლებიც უზრუნველყოფენ ახალგაზრდებისა და მოზარდების ინფორმირებასა და განათლებას მოქალაქეობრივ საკითხებთან დაკავშირებით. ისინი ახორციელებენ სასკოლო პროგრამებს, მაგალითად, გაკვეთილებს ჰომოსექსუალობის, განსხვავებული რელიგიებისა და ტოლერანტობის შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ ორგანიზაციის სამიზე ჯგუფს არ წარმოადგენდნენ მხოლოდ მოსწავლეები და მოზარდები. აღნიშნული ორგანიზაციები დღესაც აქტიურად ახორციელებენ მოქალაქეობრივ განათლებას სკოლასა და მის ფარგლებს გარეთ. მოქალაქეობრივ განათლებაში არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურ ჩართულობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ორგანიზაციები სკოლებს უზრუნველყოფენ არაპროგრამული მასალებითა და პროგრამებით მოქალაქეობრივი განათლების კუთხით, რამდენიმე ორგანიზაცია მთავრობისგანაც იღებს სახსრებს, რათა სპეციალური პროექტები

განახორციელოს, მაგრამ როგორც უკვე აღინიშნა, სკოლებს ყოველთვის აქვთ უფლება ისარგებლონ ორგანიზაციების მიერ შექმნილი რესურსით, ან თავად შექმნან(Toes, 2018).

მოქალაქეობრივი თვალსაზრისით ნიდერლანდების განათლების სისტემის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ღირსებას აქტუალურ თემებსა და საკითხებზე ჯეროვანი რეაგირება წარმოადგენს, საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, განათლების, კულტურისადამეცნიერებისმინისტრისკოლებსავალდებულებს, რომ მკაფიო ყურადღება გადაიტანონ სექსუალურ მრავალფეროვნებაზე, რომელიც 2012 წლიდან სავალდებულო სახისაა(MOW,2005).

თავი III. მოქალაქეობრივი განათლების სამართლებრივი საფუძვლები

3. 1. მოქალაქეობრივი განათლება ეროვნულ კანონმდებლობაში

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო იმ ორგანიზაციათა წევრია, რომელთათვისაც სამოქალაქო საზოგადოება მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. მათ შორის აღსანიშნავია ევროპის საბჭო, რომელმაც მოქალაქეობრივი განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელი მრავალი დოკუმენტი მიიღო, მათ შორის აღსანიშნავია ევროპის„საბჭოსქარტია დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისადა ადამიანისუფლებათა სწავლებისშესახებ“(2010). ქარტიის მიზნებს ნებისმიერი პირისათვის დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და მოსწავლეებისა და სტუდენტების საზოგადოებაში მოქმედებისათვის მომზადება წარმოადგენს.

მოქალაქეობრივ განათლებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეროვნულ საკანონმდებლო სივრცეში. ის ფართოდაა წარმოდგენილი ისეთ მნიშვნელოვან საკანონმდებლო დოკუმენტებში, როგორებიცაა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, კანონი ზოგადი განათლების შესახებ და ეროვნული სასწავლო ეგმა.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ კანონში „ზოგადი განათლების შესახებ“, „ზოგადი განათლება“ განმარტებულია როგორც *„განათლება, რომლის მიზანია საქართველოს მოქალაქის აღზრდა და მომზადება ზოგადი განათლების შემდგომი პროფესიული და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის“*[საქართველოს პარლამენტი], 2005].

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების თანახმად, ზოგადი განათლების სახელმწიფო პოლიტიკის ერთერთ ძირითად მიზანს ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, რომ ზოგადი განათლების ქართული სისტემა, ასევე, მიზნად ისახავს მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნას, მოსწავლეებისთვის ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო

ცნობიერების ჩამოყალიბებას და ოჯახის, საზოგადოებისა თუ სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება - მოვალეობების გააზრებაში დახმარებას(საქართველოს პარლამენტი, 2005).

მოქალაქეობრივ განათლებასთან დაკავშირებით ზგემში, ასევე, ნათქვამია, რომ *„საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე მოზარდმა უნდა შეძლოს ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება; სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, რომ სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები და მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა“*[საქართველოს [პარლამენტი, 2005].

ზოგადი განათლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზნადგანსაზღვრულია კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქის აღზრდა. აღნიშნულის მნიშვნელობის დასადასტურებლად კი ნათქვამია, რომ *„დღევანდელ დინამიურ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში საზოგადოების ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და ურთიერთშემეცნების ჩვევები. სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება“*[საქართველოს პარლამენტი, 2005].

მნიშვნელოვანია, რომ ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში განსაზღვრულია სახელმწიფოს ის ვალდებულებებიც, რომლებიც ზოგადი განათლების პოლიტიკის ძირითადი მიზნების მიღწევას უზრუნველყოფს, მათ შორის აღსანიშნავია ზოგადი განათლების ღიაობისა და თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველასთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში, საჯარო სკოლის დამოუკიდებლობას რელიგიური და

პოლიტიკური გაერთიანებებისაგან, ხოლო კერძო სკოლის დამოუკიდებლობას პოლიტიკური გაერთიანებებისაგან, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალადობის აღმოფხვრას, ინკლუზიური განათლების დანერგვას და ა.შ.(საქართველოს პარლამენტი,2005).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელშიც ხაზგასმულია მოსწავლეებში მოქალაქეობრივი კომპეტენციის განვითარების მნიშვნელობა ეროვნული სასწავლო გეგმაა(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო,2018).

ეროვნული სასწავლო გეგმა სწავლა-სწავლების მიზნებად მოქალაქეობისთვის მნიშვნელოვან უნარებსა და ღირებულებებსაც განსაზღვრავს, რომელთაგან აღსანიშნავია პრობლემის გადაჭრა, კრიტიკულ აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია და პასუხისმგებლობა, რომლებიც, თავის მხრივ, ისეთ უნარებს მოიაზრებს, როგორებიცაა პრობლემის ამოცნობა, აღწერა და გაანალიზება, სხვადასხვა მოსაზრების კრიტიკული განხილვა და არგუმენტირებული მსჯელობა, განსხვავებულიიდეების, შეხედულებების კონსტრუქციულად განხილვა და საკუთარ ქცევებსა და სოციალურ აქტივობებზე პასუხისმგებლობის აღება.

ეროვნული სასწავლო გეგმა ეფუძნება პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო კონცეფციას, შესაბამისად, აღიარებულია მოსწავლეების უნიკალურობა, რომელთაც აქვთ განსხვავებული ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლები, შესაძლებლობები, ემოციები, ინტერესები, პირადი გამოცდილება, აკადემიური საჭიროებები და სწავლის სტილი, რაც აუცილებლად უნდა იქნებ გათვალისწინებული უნდა სწავლა-სწავლებისპროცესში.

სასწავლო გეგმა განსაზღვრავს სწავლების მიზნებს საფეხურების მიხედვით, მოქალაქეობრივი განათლების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საბაზო და საშუალო საფეხურის მიზნები. საბაზო საფეხურის მნიშვნელოვან მიზნად განსაზღვრულია აქტიური მოქალაქის ფორმირების ხელშეწყობა, საშუალო საფეხურის მიზნად კი *„მოაზროვნე, მაძიებელი, ახლის შემოქმედი, წიგნიერი, ინფორმირებული* და *პასუხისმგებლობის*

გრძნობის მქონე მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, საკუთარი მიღწევების გამოყენება ახალი მატერიალური, ინტელექტუალური თუ სულიერი ღირებულებების შესაქმნელად"[საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო,2018-2024].

ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, სკოლის ერთერთ ძირითად მისიად განსაზღვრულია „საერთო კულტურა", რაც მოსწავლეებს, მშობლებს და მასწავლებლებს შორის ურთიერთპატივისცემის, შემწყნარებლობისა და თანასწორობის დამკვიდრებასთან და სკოლის საზოგადოების წევრებისთვის შემოქმედებითი და თანამშრომლობითი გარემოს შექმნასთან ერთად მოიაზრებს მოსწავლეთა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარებისა და სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობას. მოქალაქეობრივ განათლებასთან დაკავშირებულ სწავლების კიდევ ერთ მნიშვნელოვან მისიად განსაზღვრულია ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს პატრიოტი, პასუხისმგებლობიანი მოქალაქის აღზრდას.

მოქალაქეობირივი განათლების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მინიჭებული სახელმწიფო ენის სწავლებას საქართელოში მცხოვრები არაქართულენოვანი ჯგუფებისთვის. გეგმის თანახმად, ენის სწავლება ეხმარება მოსწავლეს,რომ „გააცნობიეროს ლოკალური და ზოგადსაკაცობრიო კულტურა, როგორც ცვლილებისა და განვითარების მუდმივმოქმედი პროცესი, ხელს უწყობს დამოუკიდებელი, შემოქმედებითი და რეფლექსური აზროვნების განვითარებას; უზრუნველყოფს მოზარდის სრულფასოვან ინტეგრირებას სამოქალაქო საზოგადოებაში".

სახელმწიფო ენების სწავლების მიზნად, ასევე, განსაზღვრულია *„ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან ნაზიარები, თავისუფალი და შემოქმედებითი პიროვნების აღზრდა, რომელიც შეძლებს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმას, საკუთარი წვლილის შეტანას ქვეყნის წინსვლასა და სამოქალაქო საზოგადოების შემდგომ განვითარებაში*"[საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2004].

აღნიშნული მიზნების შესაბამის ამოცანებად კი განსაზღვრულია სხვადასხვა ტიპის დამოკიდებულების (პიროვნულ განსხვავებათა დაფასება და პატივისცემა, ენობრივ-კულტურული კუთვნილების განცდა, ენების სწავლის სურვილი და სხვ.) ჩამოყალიბება და განვითარება სახელმწიფოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების პატივისცემა და დაფასება და სოციოკულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა, ასევე, ქვეყნის მოქალაქეობის განცდის უნარის გამომუშავება და განვითარება.

მოქალაქეობრივი განათლებისა და განსხვავებული კულტურული იდენტობებისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ფორმირების თვალსაზრისით, გამორჩეული მნიშვნელობა ენიჭება უცხოური ენების სწავლებას. სასწავლო გეგმის მე-14 თავში წარმოდგენილია უცხოური ენების სწავლების მიზნები, რაც გულისხმობს პროლინგვური კოპეტენციის განვითარებას, სხვადასხვა ენობრივ-კულტურული იდენტობის წარმომადგენლებთან თანამოღვაწეობის უნარის გამომუშავებას, ენობრივ-კულტურული მრავალფეროვნების მიმართ დადებითი განწყობილების ჩამოყალიბებას და სხვა კულტურის წარმომადგენლებთან წარმატებული საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული მიზნები არ ითვალისწინებს მხოლოდ საგნობრივი ცოდნის შეძენას, არამედ მნიშვნელოვანი ყურადღება გაამხვილებულია სამოქალაქო უნარ-ჩვევების განვითარებაზე, ინდივიდუალური მრავალფეროვნებისა და კულტურული გარემოს თვითმყოფადობის, მისი განუმეორებლობის დაფასებასა და პატივისცემაზე. უცხოური ენების შესწავლის პროცესში ასევე, მეტად მნიშვნელოვანია პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება კულტურული, ინდივიდუალური მრავალფეროვნების მიმართ და მისი, როგორც სამყაროს მრავალფეროვნების კერძო გამოვლინების აღქმა.

უცხოურ ენებს მნიშვნელოვანი მიზნები აქვს საბაზო საფეხურზეც, კერძოდ, არა მხოლოდ უცხოურ ენაზე სხვადასხვა ტიპის ზეპირი და წერილობითი ტექსტების გაგებისა და შექმნა გაზიარებისა და უცხოური ენის გამოყენების უნარის განვითარება პრაგმატული თუ

საგანმანათლებლო მიზნების განსახორციელებლად, არამედ ენობრივ-კულტურული მრავალფეროვნების დაფასებისა და პატივისცემისა და კონსტრუქციული თანამშრომლობის უნარის განვითარება.

მოქალაქეობრივი განათლების თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი მეცნიერებების ნაწილი. საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებული საგნების სწავლების მნიშვნელობის დასადასტურებლად აღნიშნულია, მათი სწავლების შედეგად მოსწავლე შეიმეცნებს ადამიანის სიცოცხლის, ღირსებისა და უფლებების პატივისცემას, ასევე, ოჯახზე, უშუალო გარემოსა და სამშობლოზე ზრუნვის აუცილებლობას და მოქალაქეობრივი სიმამაცეს, თანასწორობასა და შემწყნარებლობას.

საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების მიზნები და ამოცანები აქცენტირებულია იმ ცოდნებსა და უნარებზე, რომლებიც მოსწავლეებს მსოფლიოს ერთ მთლიანობად აღქმასა და მიმდინარე პროცესებში საქართველოს ადგილის განსაზღვრაში დაეხმარება. მასში შემავალი საგნების სწავლებამ ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლის პატრიოტ და პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქედ ჩამოყალიბებას.

გეგმაში ცალკეულად არის ჩამოყალიბებილი საზოგადოებრივი მეცნიერებების და შესაბამისად, მასში შემავალი საგნების მიზნები და ამოცანები. დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების ძირითადი მიზნების განხორციელებას ორი საგანი „მე და საზოგადოება“ და „ჩვენი საქართველო“ ემსახურება. „მე და საზოგადოების“ მიზანს წარმოადგენს მოსწავლეებში პასუხისმგებლობისა და მზრუნველი დამოკიდებულების ჩამოყალიბება საკუთარი თავის, ოჯახის, თემის, ბუნებრივი გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის მიმართ; ასევე, მნიშვნელოვანია, რომ საგანი მოსწავლეებს დაეხმაროს საკუთარი თავის საზოგადოების წევრად აღქმაში, ხელი შეუწყოს სოციალიზაციასა და თვითგამოხატვის უნარის განვითარებასა და იმის გააზრებაში, რომ სამშობლოს სიყვარული უშუალო გარემოზე ზრუნვით იწყება. აღნიშნული მიზნების მისაღწევად სასწავლო პროცესი სამი ძირითადი მიმართულებით მიმდინარეობს, პიროვნული

განვითარება, რაც მოიაზრებს ხელშეწყობას, რომ მოსწავლე ჩამოყალიბდეს ღირსების, პასუხისმგებლობის, ზნეობრივი პრინციპების მქონე პიროვნებად, რომელსაც ექნება თვითკონტროლისა და თვითგამოხატვის უნარები, მეორე მიმართულება გულისხმობს ინიციატივასა და მეწარმეობას, რაც მოსწავლეებში ისეთი უნარების განვითარებას გულისხმობს, როგორებიცაა გადაწყვეტილების მიღება, მიზნების შესაბამისად რაციონალური მოქმედება, პრობლემის იდენტიფიცირება და გადაჭრა, დროის და სხვა რესურსების სწორად დაგეგმვა, ხარჯვა და დაზოგვა და მესამე მიმართულება პირდაპირ უკავშირდება მოქალაქეობას და მისი მიზანია მოსწავლეს „გაუღვივოს ინტერესი საკუთარი ქალაქის/სოფლისა და საკუთარი მხარის მიმართ; დაანახოს თავისი ადგილი მშობლიურ გარემოში, შეასწავლოს მის გარშემო მიმდინარე სოციალურ და კულტურულ პროცესებში მონაწილეობის საშუალებები. აღნიშნული მიმართულება *„ჰუმანური ღირებულებების (არაძალადობრივი გზებით მოქმედება, შემწყნარებლობა (ტოლერანტობა), თანასწორობა) ჩამოყალიბებასა და აქტიური მოქალაქის აღზრდასაც უწყობს ხელს, რომელსაც გააზრებული აქვს საერთო წესების მნიშვნელობა, ზრუნავს საკუთარ ოჯახზე, სკოლაზე, ბუნებრივ გარემოსა და ისტორიულ მემკვიდრეობაზე, აღიქვამს მის ქვეყანაში არსებული სახელმწიფო ინსტიტუტების მნიშვნელობას“.*

მოქალაქეობრივი განათლების აღნიშნული ხაზი V-VI კლასებში გრძელდება საგნით - „ჩვენი საქართველო“. საგნის სწავლების მიზნად განსაზღვრულია სამოქალაქო საზოგადოებაში ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარება, საკუთარი ქვეყნის მრავალმხრივად დანახვასა და შეცნობაში დახმარება, მზრუნველი დამოკიდებულების ჩამოყალიბება საკუთარი რეგიონის და ქვეყნის მიმართ, მოსწავლის დახმარება საზოგადოებისა და სახელმწიფოს წევრად თავის აღქმასა და სამოქალაქო ცნობიერების განვითარებაში და ა.შ. გეგმის თანახმად, „ჩვენი საქართველო“, სწავლების ფარგლებში *„მოსწავლეს ცნობისმოყვარეობა გაუღვივდება ქვეყნის წარსულისა და აწმყოს მიმართ; მხარის გეოგრაფიას დაუკავშირებს ისტორიას, კულტურას და ეთნოგრაფიას. გაუჩნდება მოტივაცია, საკუთარი წვლილი შეიტანოს საზოგადო პრობლემების გადაჭრაში. ეს მას*

სამშობლოს სიყვარულის გრძნობას გაუღვივებს და სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებაში დაეხმარება“.

„ჩვენი საქართველოს“ სტანდარტის ფარგლებში განსაზღვრულია თემები, რომელთა დამუშავების საფუძველზეც უნდა წარიმართოს სწავლება, მათ შორის კი ერთერთს წარმოადგენს სახელმწიფოდამოქალაქე, რაც თავის მხრივ, მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა საზოგადოება, პასუხისმგებლობა, ჯანსაღიცხოვრებისწესი, მოხალისეობა, მონაწილეობა, სამოქალაქოუსაფრთხოება, კანონი, კონფლიქტი, ძალადობა, არჩევნები, სიმბოლიკა და ა.შ.

საგნის „ჩვენი საქართველო“ შედეგების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს სამოქალაქო უნარები, რომლის თანახმადაც აღნიშნული საგნის სწავლების შედეგად „მოსწავლემ უნდა შეძლოს ღირებულებების (დემოკრატიის პრინციპების და ისტორიულკულტურული მემკვიდრეობის დაცვის, შემწყნარებლობის, გარემოს დაცვის) მნიშვნელობის გაცნობიერება ინდივიდისა და საზოგადოების ნორმალური განვითარებისთვის“. „საქართველოს ეთნიკური, კულტურულ-რელიგიური მრავალფეროვნების გააზრება და პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენა“, ასევე, ბუნებრივი გარემოს, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის გაცნობიერება და მის მიმართ მზრუნველი დამოკიდებულების გამოვლენა, მოსწავლემ უნდა შეძლოს საზოგადოებისთვის აქტუალური პრობლემების/მოვლენების ამოცნობა და საკუთარი ჩართულობით მათ გამოსწორებაზე ზრუნვა, მოსწავლემ უნდა შეძლოს მისი, როგორც ბავშვის, გარკვეული უფლებამოვალეობებისა და პასუხისმგებლობების გაცნობიერება; დადგენილი წესებისა და კანონების საფუძველზე თავისი უფლებების რეალიზება და სხვისი უფლებების დაცვა“.

მოქალაქეობრივი განათლების თვალსაზრისით აღსანიშნავია საზოგადოებრივ მეცნიერებებში შემავალი საგნების მნიშვნელობა საბაზო და საშუალო საფეხურზეც. თითეული საგნის შემთხვევაში გათვალისწინებულია, რომ საგნის სწავლების პროცესი

ეფუძნება აქტივობებს, რომლებიც მოსწავლეს შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას მისცემს.

საბაზო საფეხურზე საგანი „ისტორია“ საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის ინტეგრირებულ სწავლა-სწავლებას გულისხმობს. საგნის მიზნად სხვადასხვა უნართან ერთად განსაზღვრულია ჰუმანურ, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, პატრიოტ მოქალაქედ ჩამოყალიბება. ისტორიის სტანდარტის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ღირებულებები და დამოკიდებულებები, რაც გულისხმობს ისეთ ღირებულებებზე ორიენტირებულ სწავლებას, როგორებიცაა პატრიოტზმი, სახელმწიფოებრივი აზროვნება და კულტურული მრავალფეროვნება. გეგმაში განსაზღვრულია კონკრეტული შედეგები, რაც მოსწავლის შესაძლებლობებს გულისხმობს, მოქალაქეობრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ საბაზო საფეხურზე ისტორიის სწავლის შემდეგ მოსწავლე შეძლებს პოზიტიური დამოკიდებულების გამოვლენას კულტურული, ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნების მიმართ და ისტორიული მაგალითების მოშველიებით სახელმწიფოებრივი აზროვნებისა (პატრიოტიზმი) და დემოკრატიის პრინციპების (თანასწორობა, მონაწილეობა) საჭიროების დასაბუთებას.

მოქალაქეობრივი განვითარების თვალსაზრისით გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გეოგრაფიას, რომლის სწავლების მიზნადაც სხვა მნიშვნელოვან მიზნებთან ერთად განსაზღვრულია გარემოსდაცვითი ცნობიერებისა და სხვა ხალხების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების ჩამოყალიბება.

საგნის სწავლების შედეგები სამ მიმართლებაში ერთიანდება, რომელთა მიხედვითაც, მოსწავლემ უნდა შეძლოს არა მხოლოდ სხვადასხვა გეოგრაფიული ინფორმაციის მოპოვება, ანალიზი და ადამიანის მიერ ბუნებაზე ზემოქმედების შედეგების გაანალიზება, არამედ გარემოსდაცვითი ცნობიერების და გარემოს მიმართ მზრუნველი დამოკიდებულების ჩამოყალიბების ჩვენება, ბუნებრივ, სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ სისტემებს შორის ურთიერთმიმართების გააზრება და ბუნებრივი და

ტექნოგენური მიზეზებით გამოწვეული კატასტროფების მიმართ ადეკვატური ქცევის ჩამოყალიბება და გარემოსადმი მზრუნველი დამოკიდებულების გამოვლენა, რაც მოქალაქეობრივი თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია.

მოქალაქეობრივი კომპეტენციის თვალსაზრისით, საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების ბლოკში შემავალ ყველაზე მნიშვნელოვან საგანს წარმოადგენს „მოქალაქეობა". საგნის მიზნად განსაზღვრულია მოსწავლეების დახმარება საკუთარი თავის საზოგადოების სრულუფლებიან წევრად აღქმაში, საკუთარი ქვეყნის მიმართ მზრუნველი დამოკიდებულების ჩამოყალიბება, სამოქალაქო მონაწილეობის ფორმების სწავლება, დახმარება იმის გაცნობიერებაში, რომ მას შეუძლია და მართებს საკუთარ ქვეყანაში (თემში/მუნიციპალიტეტში/სახელმწიფოში) პოზიტიური ცვლილებების განხორციელება, მოქალაქისთვის საჭირო უნარ-ჩვევების (თანამშრომლობის, კონფლიქტის მართვის, სამეწარმეო და ფინანსური) და ღირებულებების/დამოკიდებულებების (ადამიანის უფლებების, განსხვავებული აზრის პატივისცემა, ტოლერანტობა) ჩამოყალიბება, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის პრინციპების გათავისებაში დახმარება და საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კულტურაის ჩამოყალიბება.

საგნის სწავლების შედეგად მისაღწევი შედეგები სამ მიმართულებაში ერთიანდება, მოქალაქეობრივი კომპეტენციის თვალსაზრისით სამივე მეტად მნიშვნელოვანია. პიროვნული განვითარება და სოციალიზაცია გულისხმობს მოსწავლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციას. მისი მხრიდან სოციალური ნორმების, ქცევის მოდელებისა და ღირებულებების გათავისებას. ინიციატივა და მეწარმეობა აქცენტირებულია ინოვაციურ და კრიტიკულ აზროვნებაზე, იდეების საქმედ ქცევასა და გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებაზე. სამოქალაქო მონაწილეობა და უსაფრთხოება კი გულისხმობს საკუთარ ქვეყანაზე ზრუნვას, საზოგადოებისთვის სასარგებლო სამოქალაქო და სოციალური აქტივობების არაძალადობრივი მეთოდებით, კანონის დაცვით განხორციელებას. მოქალაქეობრივი კომპეტენციის განვითარება შედარებით სუსტად არის წარმოდგენილი ქართულ ენისა და ლიტერატურის სტანდარტში. საგნის სწავლების ერთერთ მიზნად

განსაზღვრულია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო კულტურის გაცნობიერება, როგორც ცვლილებისა და განვითარების მუდმივმოქმედი პროცესი. დაწყებით საფეხურზე საგნის სწავლების ერთერთ მიმართულებას წარმოადგენს ზეპირმეტყველება, რომლის მიზნადაც განსაზღვრულია თავისუფალი, თანამედროვე კომუნიკაციისათვის მზადმყოფი პიროვნების ჩამოყალიბება, რაც გულისხმობს ზეპირი მეტყველების, აზრის გამოხატვის უნარ-ჩვევების, მოსმენის კულტურის, სოციალური კომუნიკაციისა და ინტერაქტიური უნარების განვითარებას. გეგმის თანახმად, მათი განვითარება საფუძველს უყრის ჰუმანური, ტოლერანტული, სხვათა აზრის დამფასებელი პიროვნების აღზრდას. საგნის სწავლების კიდევ ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად წარმოდგენილია წერა, კერძოდ კი ინფორმაციისა და საკუთარი აზრის წერილობითი გადმოცემა და წერის კულტურის ჩამოყალიბება, რაც პიროვნების ინტელექტუალური შესაძლებლობების რეალიზაციის აუცილებელ პირობად არის მოაზრებული. დაწყებით საფეხურზე ლიტერატურის სწავლების ერთერთ მნიშვნელოვან მიზნად განსაზღვრულია *„ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, რომელშიც მოსწავლეს საშუალება ექნება, პიროვნული გამოცდილების საფუძველზე გაიაზროს და შეაფასოს მხატვრულ ტექსტებში ასახული სიღრმისეული და ცხოვრებისეული პრობლემები. ლიტერატურასთან ურთიერთობამ უნდა განუვითაროს მოსწავლეს მხატვრული და ესთეტიკური გემოვნება, გაუღვიძოს შინაგანი აქტიურობისა და თვითშემეცნების სურვილი“.*

საბაზო საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების პროცესში აქცენტირებულია პრობლემების, განსხვავებული თვალსაზრისების შემცველ მასალებზე მუშაობა, რომლებიც მოითხოვს ამ პრობლემების გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, თვალსაზრისების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვას, ყოველივე კი სხვა მიზნებთან ერთად მშობლიური ენისა და ლიტერატურის, ზოგადად, ქართული კულტურის მიმართ პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის გამომუშავებას, მოსწავლის, როგორც სხვა კულტურების პატივისმცემელი პიროვნების და ჰუმანურ ღირებულებებზე ორიენტირებული, შემოქმედებითი და მაძიებელი პიროვნების ფორმირებას ემსახურება. მოქალაქეობრივი კომპეტენციის თვალსაზრისით, საგნის

სწავლების შედეგების მნიშვნელოვან მიმართულებას ცოდნისა და იდეების გააზრება წარმოადგენს, რომლის თანახმადაც მოსწავლემ უნდა შეძლოს *„საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ტექსტის შეფასება, ტექსტის მიმართ პირადი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა-დასაბუთება“.*

მოქალაქეობრივი განათლების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია დირექტორის ეთიკის კოდექსის(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო,2010) აღნიშვნა, რომლის მეხუთე მუხლის(მოსწავლეებთან ურთიერთობა) თანახმადაც სკოლის დირექტორი ხელს უწყობს მოსწავლეს დემოკრატიული, სამოქალაქო და პატრიოტული ღირებულებების ჩამოყალიბებაში, ასევე, დირექტორი პატივს უნდა სცემდეს მოსწავლეთა აზრებს და მათ ყველა პირობას უქმნიდეს იდეებისა და შეხედულებების თავისუფლად გამოსახატად.

მნიშვნელოვანია მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტის(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო,2014). აღნიშვნა, რომლის თანახმადაც მასწავლებელი კულტურულ მრავალფეროვნებას დადებითი სასწავლო გარემოს შესაქმნელად იყენებს და იმგვარად წარმართავს სასწავლო პროცესს, რომ მოსწავლეებს გაუჩნდეთ ინტერესი და განუვითარდეთ ტოლერანტული დამოკიდებულება კულტურული და ეთნიკური მრავალფეროვნების თუ ყოველივე განსხვავებულისადმი, რაც მოქალაქეობრივი განათლების მნიშვნელოვანი ასპექტია. მასწავლებელთა დაკავშირებით მნიშვნელოვანია კანონის „ზოგადი განათლების შესახებ“ მე-2 თავი(მასწავლებლის პროფესია), რომლიც მე-6 მუხლის თანახმადაც, მასწავლებელი ვალდებულია იზრუნოს თითოეული მოსწავლის პიროვნულგ ანვითარებაზე და მისი მოქალაქეობრი ვიცნობიერების ჩამოყალიბებაზე.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ მოქალაქეობრივი განათლების ასპექტები ფართოდ არის წარმოდგენილი ქართულ საგანმანათლებლო კანონმდებლობაში. განხილული დოკუმენტები ცხადჰყოფს, რომ სახელმწიფო განათლებას მიზნად უსახავს არა მხოლოდ საბაზისო უნარების განვითარებას, არამედ განათლების სოციალურ

ვალდებულებად აღიარებს მოზარდებში ისეთი მოქალაქეობრივი უნარ-ჩვევების განვითარებას, როგორებიცაა აქტიური მოქალაქეობისთვის მნიშვნელოვანი კომპეტენციებისა და სამოქალაქო ცნობიერების ფორმირებას, ადამიანის უფლებებისა და მათი დაცვის მექანიზმების გაცნობიერება და რეალიზაცია და ა.შ.

თავიIV. სკოლის როლი მოქალაქეობრივ განათლებაში

4. 1. სკოლის როლი მოქალაქეობრივ განათლებაში

მოქალაქეობრივი განათლების მიზნების მისაღწევად, რომელთა შორისაც ერთერთ ფუძემდებლურს აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის ინდივიდების სათანადო უნარ-ჩვევებითა და ღირებულებებით აღჭურვა წარმოადგენს, გადამწყვეტად მნიშვნელოვანია სკოლის როლი. ამ უკანასკნელმა უნდა უზრუნველყოს რიგი ღონისძიებები, რომლებიც მოსწავლეთა მოქალაქეობრივი უნარ-ჩვევებითა და ღირებულებებით აღჭურავს, აღნიშნულმა ღონისძიებებმა უნდა უზრუნველყოს მოსწავლეების აქტიური ჩართვა საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე

მსჯელობასა და კამათში, ასევე, მათთან დაკავშირებულ დისკუსიებში, ჯგუფურ მუშაობებში, არსებული პრობლემების მიზეზების კვლევაში, სათემო ღონისძიებებსა და გადაწყვეტილებების მიღებაში, სკოლისგარეშე ორგანიზაციებთან ურთიერთობაში და ა.შ.

Drisko (Drisko,1993) განსაზღვრავს სამ ელემენტს, რომლებიც სკოლებმა უნდა უზრუნველყონ, როგორც მაღალი ხარისხის სამოქალაქო განათლების ნაწილი: კურიკულუმი, რომელიც დაფუძნებულია ეროვნულ დოკუმენტებში ჩამოყალიბებულ ფუნდამენტურ პრინციპებზე, სკოლის კულტურა, რომელიც დემოკრატიის პრინციპებს ეფუძნება და შესაძლებლობები მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენებისა.

ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ მოქალაქეობრივი განათლების მნიშვნელობას მოქალაქის პოლიტიკური კუთხით განვითარების თვალსაზრისით, Boyer (Boyer,1990) ამტკიცებს, რომ აუცილებელია მოქალაქეობრივი განათლების პროგრამები მოიცავდეს ისეთ ელემენტებს, როგორებიცაა პოლიტიკური ცნებების, საკითხების, სტრუქტურების და სისტემების ცოდნა და გაგება, სწორედ აღნიშნულს უნდა ემსახურებოდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები. ამავე აზრს ეხმიანება Mullins (Mullins, 1990), მისი აზრით, მოსწავლეებმა უნდა განივითარონ მოქალაქეობრივი უნარები,ეს გულისხმობს რომ იცოდნენ და იგებდნენ პოლიტიკურ ცნებებს საკითხებს, სტრუქტურას და სისტემას აქტიური სწავლების, კითხვის, წერის, დაკვირვების, დებატების, სიმულაციების, როლური თამაშების, სტატისტიკების გამოყენების, გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემის გადაჭრაზე ორინეტირებით.

Harwood და Hahn (Harwood&Hahn,1992) მოქალაქეობრივი განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვნად მიიჩნევენ დიალოგს საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებზე და კვლევების შედეგების იდენტიფიცირებაზე საკლასო ოთახში საკამათო საკითხებზე დისკუსიების გამართვის ეფექტური მიდგომების შესახებ.

ევროპის საბჭო მოქალაქეობრივი განათლების ერთერთ მთავარ მიზნად ინტერკულტურული დიალოგის, მრავალფეროვნებისა და თანასწორობის პრინციპების

აღსრულებას განსაზღვრავს, ამისთვის კი აუცილებლად მიიჩნევს მთელი რიგი ღონისძიებების დაგეგმვას, რომლებიც გაზრდის ცოდნის, შეგნების, გაცნობიერების დონეს, პერსონალურ და სოციალურ უნარებს, რაც, თავის მხრივ, შეამცირებს კონფლიქტის რისკს, ადამიანებს ასწავლის ერთმანეთის კულტურის დაფასებას, სხვადასხვა ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფები ერთმანეთის ღირებულებებს პატივისცემით მოეკიდებიან, რაც ხელს შეუწყობს დიალოგს და საბოლოოდ, გახდება პრობლემების და უთანხმოების მოგვარების არაძალადობრივი საშუალება.

ქარტია მოქალაქეობრივი განათლების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მასწავლებლებს, როგორც დემოკრატიულ ღირებულებათა მატარებლებს და გადამცემებს მოსწავლეებში, რათა ეს უკანასკნელები დემოკრატიული საზოგადოების აქტიური მოქალაქეები გახდნენ. მასწავლებელთა დემოკრატიულ მოქალაქეობასთან და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ კომპეტენციებს განსაზღვრავს ევროსაბჭოს პროგრამის - „სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ“ ფარგლებში შექმნილი სახელმძღვანელო „მასწავლებელთა კომპეტენციების ჩარჩო“. დოკუმენტში ხაზგასმით არის აღნიშნული მასწავლებელთა გადამწყვეტი მნიშვნელობა მონაწილეობითი სწავლების საშუალებით დემოკრატიული ღირებულებების გავრცელების საქმეში, ასევე, ნათქვამია, რომ მიმდინარე სოციალური ტენდენციებისა და მათი ურთიერთდამოკიდებულებიდან გამომდინარე, სწორედ მასწავლებლებსა და განათლების სპეციალისტებზეა დამოკიდებული მოსწავლეთა აღნიშნული მიმართულებით განვითარება. დოკუმენტი მასწავლებლებს 15 ძირითად კომპეტენციას განუსაზღვრავს, რომლებიც შემდეგ ოთხ ჯგუფშია გაერთიანებული: სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ, სწავლისა და სწავლების აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობენ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებას კლასსა და სკოლაში, სწავლისა და სწავლების აქტივობები, რომლებიც, პარტნიორებისა და თემის ჩართუ· ლობით, ხელს უწყობენ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებას და სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ:

მონაწილეობაზე დამყარებული მიდგომების განხორციელება და შეფასება. კომპეტენციათა პირველი ჯგუფი ისეთ კომპეტენციებს აერთიანებს, როგორებიცაა დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების მიზნები და ამოცანები, ძირითადი საერთაშორისო ჩარჩოები და პრინციპები, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შინაარსი და დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების სხვადასხვა კონტექსტი. აღნიშნულ კომპეტენციათა ფარგლებში მასწავლებელს უნდა ესმოდეს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების მიზნები და ამოცანები, უნდა იცნობდეს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პრინციპებთან და ძირითად ცნებებთან დაკავშირებულ ჩარჩოებს, გააზრებული უნდა ჰქონდეს შემდეგი ოთხი, ურთიერთდაკავშირებული განზომილება: პოლიტიკური და იურიდიული; სოციალური და კულტურული; ეკონომიკური; ევროპული და გლობალური. ამ ოთხი განზომილების გათვალისწინებით კი უნდა შეეძლოს სამოქალაქო განათლების სფეროში მოსწავლის ცოდნის, უნარების, დამოკიდებულებების, ღირებულებების განვითარება ისე, რომ მოსწავლისაგან ჩამოყალიბდეს აქტიური მოქალაქე, ასევე, უნდა შეეძლოს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა სწავლება, როგორც ცალკეული სასკოლო საგნის ფორმით, ისე სასწავლო გეგმაში შემავალი სხვადასხვა საგნის ფარგლებში. მეორე ჯგუფში - სწავლისა და სწავლების აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობენ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებას კლასსა და სკოლაში, შემავალ კომპეტენციათა ფარგლებში უნდა შეეძლოს მიდგომების, მეთოდებისა და სწავლების შესაძლებლობების დაგეგმვა ისე, რომ მოსწავლემ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ ცოდნა, უნარები და მიდგომები აითვისოს, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პრინციპებისა და პრაქტიკის გაერთიანება სხვა საგანთან ისე, რომ ხელი შეეწყოს მოსწავლეთა ცოდნისა და უნარების განვითარებას. კომპეტენციათა მესამე ჯგუფი დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების საკლასო ოთახის გარეთ სწავლებას გულისხმობს, შესაბამისად, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა მასწავლებლის მიერ ისეთ სასწავლო გარემო შექმნას, რომელიც

ხელს უწყობს მრავალფეროვანი წყაროების გამოყენებას, ეხმარება მოსწავლეებს, გააანალიზონ მიმდინარე პოლიტიკური, ეთიკური, სოციალური და კულტურული მოვლენები ან საკითხები კრიტიკულ ჭრილში, სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული ინფორმაციის გამოყენებით (მათ შორის, მედია, სტატისტიკა და კომპიუტერული ტექნოლოგიები),

მასწავლებელთა მხრიდან თანამშრომლობითი მუშაობას ისეთ პარტნიორებთან, როგორებიცაა სათემო ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, იმ შესაძლებლობების დაგეგმვის მიზნით, რომლებიც მოსწავლეებს დემოკრატიული მოქალაქეობის საკითხებში ჩართავს და ასევე, იმ სტრატეგიების გამოყენებას, რომლებიცცრურწმენებს, დისკრიმინაციასა და ანტირასიზმს აღმოფხვრის. კომპეტენციათა მეოთხე ჯგუფი კი აქცენტს მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების მეთოდების ეფექტურობაზე აკეთებს, ამ ჯგუფში გაერთიანებულ კომპეტენციათა ფარგლებში მასწავლებლებმა უნდა შეძლოს მოსწავლის მონაწილეობის შეფასება იმ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომლებიც მას ეხება, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა პოზიტიური ღირებულებების, დამოკიდებულებებისა და განწყობების დემონსტრირება და აქტიური მოქალაქეობის მოდელირება; მოსწავლეებთან სამართლიანი, ღია და პატივისცემით გამსჭვალული ურთიერთობების დამყარება; სწავლების დემოკრატიული სტილის დამკვიდრება; მოსწავლეთა ჩართვა საგანმანათლებლო აქტივობებში, განახორციელონ სწავლების მეთოდებისა და მოსწავლეთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევის მონიტორინგი, შეფასება. და შეფასების შედეგები დაგეგმარებისა და პროფესიული განვითარების პროცესში გამოიყენონ.

დოკუმენტი მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს მასწავლებლებისთვის, რადგან დეტალურად არის გაწერილი თითოეულ ჯგუფში წარმოდგენილი კომპეტენციები შესაბამისი მაგალითებით. სახელმძღვანელო მასწავლებლებს დაეხმარება პროფესიული პრაქტიკის განვითარების დონის განსაზღვრასა და გასაუმჯობესებელი ნაწილების იდენტიფიცირებაში.

ავტორები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ პრაქტიკულ მოქალაქეობრივ განვითარებაზე. მოქალაქეობაზე მსჯელობისას მთავარ ფრაზას წარმოადგენს სკოლა, როგორც პრაქტიკისთვის განკუთვნილი ადგილი. მოსწავლეები განავითარებენ მათ მოქალაქეობას უპირველესად კეთებით სწავლით. მხოლოდ ცოდნის მიღება თუნდაც დემოკრატიაზე, იდენტობაზე, ვერ უზრუნველყოფს მათში პასუხისმგებლიანი მოქალაქის ჩამოყალიბებას. აქტიურ მოქალაქეობას არ განსაზღვრავს ცოდნა. მოსწავლეები აქტიური მოქალაქეები გახდებიან, თუკი სწავლების პროცესი პრაქტიკასაც მოიაზრებს. ეს გულისხმობს, რომ სკოლა უნდა შეეცადოს მაქსიმალურად უზრუნველყოს მოსწავლეების მხრიდან კეთებით სწავლა. ეს შესაძლებელია მოხდეს საკლასო ოთახში, სკოლაში ან მის ფარგლებს გარეთ(Toes, 2018).

მოქალაქეობრივმა განათლებამ უნდა დააკავშიროს ბავშვები დემოკრატიასთან, ადამიანის უფლებებთან, მდგრად განვითარებასთან, კონფლიქტის მართვასთან, სოციალურ პასუხისმგებლობებთან, თანასწორუფლებიანობასთან და მრავალფეროვნებასთან. აღნიშნული მნიშვნელოვანია მათი კვალიფიკაციისთვის(სამომავლოდ მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ მუშაობა შეძლონ განსხვავებულ ხალხთან), მათი სოციალიზაციისთვის(საბჭოს სურს, რომ მოსწავლეები და სტუდენტები გახდნენ დემოკრატიული მოქალაქეები), ასევე, იმისთვის, რომ მათ გამოცდილება და განათლება გამოიყენონ საკუთარი აზრის გამოხატვისთვის, ადგილის დამკვიდრებისთვის(Toes, 2018).

როგორც ეროვნული კანონმდებლობის თავში აღინიშნა, ქართულ საგანმანათლებლო კანონმდებლობაში მოქალაქეობრივ განვითარებას ძალიან მნიშნელოვანი ადგილი უკავია. ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში აღწერილია როგორი თაობის აღზრდას ისახავს მიზნად ქართული ზოგასაგანმანათლებლო სისტემა, ასევე, აღწერილია უნარ-ჩვევები თუ დამოკიდებულებები, რომელთაც უნდა დაეუფლონ მოსწავლეები ზოგადი განათლების მიღების პროცესში. ეროვნულ სასწავლო გეგმაში კი, რომელიც ეროვნულ მიზნებს ეფუძნება და რომლის ძირითად ამოცანას ეროვნული მიზნების მისაღწევად შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა წარმოადგენს, თითოეული საგნის

ჭრილში განსაზღვრულია როგორ უნდა უზრუნველყოს სკოლამ ეროვნული მიზნების მოთხოვნები.

ეროვნული მიზნებიდან და არსებული მოთხოვნებიდან გამომდინარე, ეროვნულ სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია, ასევე, გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რომლებიც აუცილებელია თანამედროვე სამყაროში რეალიზებისთვის, მათი უმრავლესობა კი მოქალაქეობისთვის მნიშვნელოვან ღირებულებებს წარმოადგენს, მათ შორის აღსანიშნავია პასუხისმგებლობა, პრობლემის გადაჭრა, თანამშრომლობა და დამოუკიდებლად საქმიანობა.

4.2.მოქალაქეობრივი განათლების მეთოდური საფუძვლები

მოქალაქეობრივი განათლების მთავარ მიზანს ინდივიდის იმ პრაქტიკული ცოდნით, უნარ-ჩვევებითა და ღირებულებებით აღჭურვა წარმოადგენს, რომლებიც მას, როგორც მოქალაქეს საზოგადოებრივ საქმეებში აქტიური ჩართვის შესაძლებლობას მისცემს, მათ შორის აღსანიშნავია ისეთი უნარ-ჩვევები, როგორებიცაა გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება, პასუხისგმებლობის შეგნებით მოქმედება, სხვათა აზრის პატივისცემა და ა.შ, შესაბამისად, მას სწავლების პროცესში სჭირდება გარემო, რომელშიც უსმენენ, მის აზრს პატივს სცემენ და ითვალისწინებენ, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ღია კომუნიკაციას და ა.შ., აქედან გამომდინარე, მოქალაქეობრივი განათლებისთვის ურთიერთობის ყველაზე ეფექტურ სტილს დემოკრატიული სტილი წარმოადგენს. ურთიერთობის აღნიშნული სტილი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც აღსაზრდელზეა ორიენტირებული, უზრუნველყოფს მის აქტიურ პოზიციას, აღმზრდელობითი საქმიანობა კი სრულიად გამჭვირვალეა. ამ ტიპის ურთიერთობის დროს აღსაზრდელი მიიჩნევა პატრნიორად, ინდივიდად, აღმზრდელი მისთვის ნდობაზე, ურთიერთგაგებაზე დაფუძნებულ პირობებს ქმნის, შესაბამისად, მას უყალიბდება „ჩვენ“ დამოკიდებულება, რაც განსაკუთრებით მნიშნელოვანია, მათთვის როგორც მომავალი მოქალაქეებისთვის, რადგან ეს უნარი უზრუნველყოფს საკუთარი პასუხიმსგებლობების გააზრებას ქვეყნის განვითარებაში, საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურ ჩართულობას

და საერთო სიკეთეების პატივისცემას. ურთიერთობის აღნიშნული სტილის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ღირსებას წარმოადგენს ის, რომ ორინეტირებულია ქცევის მართვის, თვითრეგულირების სწავლებაზე, რაც მოქალაქეობრივი განვითარების კიდევ ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს. კვლევების თანახმად, ურთიერთობის დემოკრატიული სტილი ინდივიდებს ისეთი უნარების განვითარებაში ეხმარება, როგორებიცაა კომუნიკაციის, პასუხისმგებლობისა და თავდაჯერების, ტოლერანტობის, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებისა და პირადი ინიციატივის გამომჟღავნებისა და ანალიტიკური, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებაში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მოქალაქეობრივი განათლება ინდივიდებს აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის ამზადებს, შესაბამისად, ის აუცილებლობით უზრუნველყოფს თეორიულთან ერთად მოქალაქისთვის მნიშნელოვანი პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, ამიტომ მნიშვნელოვანია, სწავლების პროცესი მოსწავლეთა გააქტიურებას უზრუნველყოფდეს, რაშიც მნიშვნელოვანი როლი სწავლებისადმი ინტერაქტიურ მიდგომას ენიჭება. ეს უკანასკნელი ჰუმანიზმის პრინციპებს ეფუძნება და როგორც ურთიერთობის დემოკრატიული სტილი, აქცენტს ინდივიდის განვითარებაზე აკეთებს, შესაბამისად ითვალისწინებს მის საჭიროებებსა და ინტერესებს და სწავლებაც სწორედ მისპირად გაოცდილებას, თვისებებსა და ცოდნას ეფუძნება. ინტერაქტიური სწავლების სუბიექტს წარმოადგენს მოსწავლე, როგორც აქტიური მონაწილე, შესაბამისად, ის უზრუნველყოფს არა მხოლოდ ცოდნის გადაცემას, არამედ მოსწავლეებში უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

ინტერაქტიური სწავლება მოქალაქეობრივი განათლების ფუძემდებლურ საგანმანათლებლო მიმდინარეობას - კონსტრუქტუვიზმს ეფუძნება. როგორც უკვე მრავალჯერ აღინიშნა, მოქალაქეობრივი განათლების უმთავრეს დანიშნულებას მოქალაქისთვის მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების ქცევის დონეზე ჩამოყალიბება წარმოადგენს, შესაბამისად, სწავლების პროცესში გადამწყვეტად მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლე სწავლების პროცესის აქტიური მონაწილე იყოს, მეორე მხრივ კი, ცოდნა, რომელიც გადაიცემა, მოსწავლეებს საჭიროების შესაბამისად, ადეკვატურად

გამოყენებით საშუალებას უნდა აძლევდეს, რაც კონსტრუქტივიზმის ფუძემდებლურ პრინციპებს წარმოადგენს. თეორიის თანახმად, სწავლა ცოდნის აქტიურ, პიროვნულ კონსტრუირებას წარმოადგენს, შესაბამისად, ერთი მხრივ, მოსწავლე თავად, დამოუკიდებლად აკონსტრუირებს ცოდნას, მეორე მხრივ კი, სწავლების პროცესი მოსწავლეთა პირად, ცხოვრებისეულ გამოცდილებას ეფუძნება, ყოველი ახალი ინფორმაცია რაღაც ძველს, უკვე ნაცნობს ეფუძნება. კონსტრუქტივისტული თეორია სწავლების ისეთ მიდგომებს ეფუძნება, როგორებიცაა მოდელით სწავლა, ურთიერთთანამშრომლობით სწავლა, კონტექსტსა და სიტუაციაზე დაფუძნებული სწავლა და ა.შ. აღნიშნული მოდელები ორიენტირებულია, რომ შეიქმნას მსჯელობისა თუ ღია დისკუსიებისთვის ურთიერთობაზე, ნდობასა და ეთიკურ ღირებულებებზე დაფუძნებული სასწავლო გარემო, რაც საბოლოო ჯამში, აქტიური, მოაზროვნე, ტოლერანტი და ჯანსაღი ღირებულებების მქოდე ინდივიდების ჩამოყალიბებას ემსახურება. მნიშვნელოვანია, ასევე, რამდენი მნიშვნელოვანი სტრატეგიის განხილვა, რომლებიც კონსტრუქტივიზმს ეფუძნება და დემოკრატიული მოქალაქეობის განვითარებისთვის მეტად მნიშვნელოვანია.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება მოსწავლისგან დასმული პრობლემის გადაჭრის სტრატეგიის შემუშავებას მოითხოვს. ეს პროცესი მოსწავლეს აქტიური შემმეცნებლის როლში აყენებს, რადგან ის იაზრებს პრობლემას, განსაზღვრავს და სხვადასხვა გზით იძიებს პრობლემის გადაჭრისთვის საჭირო ცოდნას, რის შემდეგაც უბრუნდება პრობლემას, ეძებს გამოსავალს და პრობლემის მოგვარების ყველაზე ეფექტურ გზას. აღნიშნულ პროცესში იცვლება მოსწავლისა და მასწავლებლის ტრადიციული როლები, მოსწავლე არის აქტიურილ პროცესისი წარმმართველი, მასწავლებელი კი მისი მრჩეველი, თანამშრომელი. მნიშვნელოვანია, რომ დასმული პრობლემები, ხშირ შემთხვევაში, ეფუძნება არა ერთმნიშვნელოვან, არამედ სპეციფიკურ გადაჭრას, ამგვარი პრობლემების მოგვარება ხელ უწყობს ქმედუნარიანი ინდივიდების განვითარებას, რომელთაც რეალური ცხოვრებისეული - პირადი თუ საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარება შეუძლიათ.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, საბოლოო ჯამში, აქტიური მოქალაქეობისთვის მნიშვნელოვანი ისეთი უნარების განვითარებას ემსახურება, როგორებიცაა ანალიტიკური, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება, რაც ერთი მხრივ, მოსწავლეებს საზოგადოებრივი პროცესების მრავალფეროვანი აღქმის, გაანალიზებისა და შეფასების საშუალებას აძლევს, მეორე მხრივ კი, ადეკვატური რეაქციის, ქმედების საშუალებას.

მკვლევრები მოქალაქეობრივი განვითარებისთვის კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვან სტრატეგიას გვთავაზობენ, მათ შორის მნიშვნელოვანია პრობლემაზე დაფუძნებული სწვალების ერთერთი მეთოდი - პროექტით სწავლება, რომლის ძირითადი არსიც, ასევე, არსებული პრობლემის გადაჭრას ან ინიციატივის განხორციელებას მოიაზრებს, თუმცა ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს რეალურ პრობლემასთან, სწავლების პროცესში კი სკოლისგარეშე დაწესებულებებია ჩართული. სწავლების ამ მეთოდის შემთხვევაშიც მოსწავლე თვითგანათლებას მიმართავს და აქტიური შემმეცნებლის როლშია, პროცესში აქტიურად არის ჩართული მასწავლებელიც, პროცესის ბოლოს კი თავად მოსწავლე აფასებს საკუთარ თავს, რაც მეტად მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი, ეფექტური სწავლისთვის. პროექტით სწავლება მოსწავლეებს მოქალაქისთვის მნიშვნელოვანი ისეთი უნარ-ჩვევებით უზრუნველყოფს როგორებიცაა კომუნიკაცია, თანამშრომლობა, კრიტიკული აზროვნება, პრობლემის გადაჭრა და ა.შ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მეთოდი, რომელიც სასწავლო პროცესს მოსწავლეებისთვის სახალისოს ხდის და მათ მოქალაქეობრივი თვალსაზრისით მნიშნელოვანი უნარ-ჩვევებით უზრუნველყოფს, არის როლური თამაში. მეთოდი რეალური მსგავსი სიტუაციების ხელოვნურ შექმნას, რეალობის გათამაშებას გულისხმობს, მოსწავლეები კი შექმნილ სიტუაციებში მონაწილე პერსონაჟების როლებს ირგებენ. სწავლეს ეს მეთოდი მოსწავლეებს საშუალებას აძლევს პრობლემებს მრავალმხრივად შეხედონ, რაც მათ მაღალ საზროვნო უნარებს უვითარებს, ასევე, მოსწავლეებს ხშირ შემთხვევაში მათი პიროვნებისგან აბსოლუტურად განსხვავებული პიროვნების ხასიათის მორგება უწევთ, რაც მათში ტოლერანტობისა და ემპათიის გრძნობის განვითარებას განსაზღვრავს. როლური თამაში თანამშრომლობითი სწავლების ერთერთ მეთოდს წარმოადგენს,

რომელიც მოსწავლეებში კიდევ მრავალი უნარისა თუ დამოკიდებულების ჩამოყალიბებასა და განვითარებას უზრუნველყოფს, მათ შორის მნიშვნელოვანია ინდივიდუალური და ჯგუფური პასუხისმგებლობის გრძნობა, სხვათა აზრის პატივისცემა და გათვალისწინება, მოქალაქეობრივი თვალსაზრისით ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვანს კი სოციუმის წევრობის შეგრძნება წარმოადგენს, გააზრება იმისა, რომ ის გარკვეული ჯგუფის ნაწილია, სასურველ შედეგებს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებენ, თუკი სოციუმში ქცევის უნარეი ექნებათ, რაც გარკვეულ შემთხვევებში გადაწყვეტილების მიღებას, პასუხისმგებლობების საკუთარ თავზე აღებას, ლიდერობას და სხვა ქმედებებს მოიაზრებს.

სწავლების ზემოთ ჩამოთვლილი მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფს მოსწავლეებში არა მხოლოდ მოქალაქეობისთვის მნიშვნელოვანი კონკრეტული ცოდნის მიღებას, მაგალითად, პოლიტიკური ცნებები, ადამიანის უფლებები და ა.შ, არამედ მოსწავლეებში იმ უნარ-ჩვევებისა თუ ღირებულებების ჩამოყალიბებასა და განვითარებას, რომლებიც გადამწყვეტად მნიშვნელოვანია მათთვის, როგორც მომავალი აქტიური მოქალაქეებისთვის.

კვლევითი ნაწილი

კვლევის შედეგები

მასწავლებლები მოქალაქის განსაზღვრებისას აქტიურად საუბრობენ რამდენიმე ძირითად მახასიათებელზე, კერძოდ, პატრიოტიზმზე, პასუხისმგებლობაზე, მორალურობაზე, ტოლერანტიზმზე, განათლებულობაზე, მონაწილეობაზე, უფლებების ქონასა და ქმედითობაზე.

მნიშვნელოვანია, რომ პასუხისმგებლობებში ისინი, პირველ რიგში, პროფესიულ პასუხისმგებლობას მოიაზრებენ, ეს უკანასკნელი კი სხვადასხვა საგნის პედაგოგებისთვის განსხვავებულ მიზანს მიემართება. მათემატიკის მასწავლებლებისთვის პროფესიული პასუხისმგებლობა მათემატიკის სწავლებას გულისხმობს, ქართულის პედაგოგებისთვის კარგ მოქალაქეებად აღზრდასა და სწორი ღირებულებების სწავლებას, ისტორიისა და გეოგრაფიის პედაგოგებისთვის პატრიოტული სულისკვეთების ჩანერგვას. მასწავლებლები, ასევე, საუბრობენ პასუხისმგებლობაზე თანამემამულეების წინაშე, რაც, მათი აზრით, ჩვენ, როგორ მოქალაქეებს გვავალდებულებს, რომ თვალი არ დავხუჭოთ ჩვენს გარშემო არსებულ კანონდარღვევებზე და ქმედითი რეაგირება მოვახდინოთ - *„როცა გამოვდივართ სახლიდან და ვხედავთ, ვიღაცას ჩაგრავენ, არ უნდა გავიაროთ და უბრალოდ ვთქვათ, რომ ცუდია, ჯერ დაჩაგრულს გვერდით უნდა დავუდგეთ, შემდეგ კიინფორმაცია შესაბამის უწყებას გადავცეთ, როცა სადღაც მივდივართ და გვესმის რუსული ნარატივი, იქვე უნდა ვთქვათ, რომ რუსეთი ოკუპანტია, ქვეყნის ინტერესია მოქალაქეობა, სრულებით არ არის საჭირო, რომ ვიყვიროთ როგორ გვიყვარს, როგორც ამას არ ვაკეთებთ დედის სიყვარულის დასამტკიცებლად, საჭიროა ქმედება, სჯობს საყვარელსა უჩვენო საქმენი საგმირონია. სადაც მოგთხოვს ქვეყანა, იქ უნდა შეასრულო მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა“.*

მასწავლებლები, ასევე, აქცენტს აკეთებენ ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობაზე, ნაცვლად ჩასაფრებული პოზიციისა.

კარგი მოქალაქის დახასიათებისას მასწავლებლები ხაზგასმით აღნიშნავენ პატრიოტიზმს, ეს უკანასკნელი თითოეული საგნის პედაგოგისთვის ერთნაირად მნიშვნელოვანი

აღმოჩნდა, განსაკუთრებით კი გეოგრაფიის პედაგოგებისთვის. რესპონდენტების აზრით, კარგი მოქალაქეობა გულისხმობს ქართული კულტურის, ტრადიციების, ენის პატივისცემასა და დაცვას, ასევე, იმ ღირებულებებისა და გრძნობების სიყვარულს, რომელსაც ჩვენი ტრადიციები თუ კულტურა ეფუძნება.წარმოდგენილია მსგავსი კომენტარები: *„ამაყი ვარ, რომ საქართველოს მოქალაქე ვარ..... მინდა, რომ ჩემი ქვეყანა წარმატებული იყოს, მისი ჭირისუფალი ვარ....“, „მოქალაქე უნდა იყოს მზრუნველი ქვეყნის, ხალხის, ენის მიმართ.....“, „თუ დასჭირდება სამშობლოს, ბრძოლაც სამშობლოსთვის....“, „მნიშნელოვანია ქართული კულტურის, ტრადიცის პატივისცემა, რადგან ჩვენ განსაკუთრებული ვართ, სწორედ ყოველივეს გამო შევინარჩუნეთ ენაც, მამულიც, სარწმუნოებაც. ბევრი დიდი ერი აღიგავა პირისაგან მიწისა, სწორედ ჩვენი სარწუნოებისადმი, ენისადმი და მამულისადმი გამძაფრებული გრძნობები დაგვეხმარა ყოველივეს შენარჩუნებაში....“.*

„კარგი მოქალაქე იცავს ზნეობრივ ღირებულებებს, რომლებიც, შესაძლოა, ზოგჯერ ეწინააღმდეგებოდეს კიდეც სახელმწიფოს მიერ შექმნილ წესებს“, „კარგი მოქალაქეობა გულისხმობს, რომ არ ვიყო ეგოცენტრული და მხოლოდ ჩემი გადასახედიდან არ შევხდო მოვლენებს, არამედ სხვების თვალითაც“, „საქართველოს კარგი მოქალაქე არის ის, ვინც თავზე არ გვაყრის ნაგავს, ტროტუარზე მანქანებს არ აყენებს, ფიქრობს სხვებზე და არ ზღუდავს სხვის თავისუფლებას“ - რესპონდენტები ხაზგასმით აღნიშნავენ კარგი მოქალაქისთვის ზნეობრიობის მნიშვნელობას, ისინი, ასევე, ყურადღებას ამახვილებენ პატიოსნებასა და კეთილსინდისიერებაზე.

მასწავლებლები კარგი მოქალაქის კიდევ ერთ ძირეულ ფასეულობად ტოლერანტობას ასახელებენ, შემწყნარებლობასა და მიმღებლობას ყოველივე განსხვავებულის მიმართ, მათი აზრით, კარგი მოქალაქე უნდა იყოს შემწყნარებელი და არაკონფლიქტური, ასევე, თავისი აზრები არ უნდა მოახვიოს სხვებს და ყოველივე განსხვავებულის მატარებელ ადამიანთან მისი ურთიერთობა თბილ და გულწრფელ დამოკიდებულებებს უნდა ეფუძნებოდეს.

რესპონდენტები კარგი მოქალაქის კიდევ ერთ ფუძემდბლურ მახასიათებლად კანონის დაცვას ასახელებენ, მასწავლებელთა პასუხები მსგავსია: *"მოქალაქე ყველა კანონს ექვემდებარება, რასაც სახელმწიფო ქმნის, ამ კანონების მიხედვით ცხოვრობს",* რესპონდენტების ნაწილი, ასევე, ასახელებს მაგალითებს, რომლებიც მათ მორჩილებას გამოხატავს, მათი უმრავლესობა კი დანაშაულის არ ჩადენაზე აკეთებს აქცენტს.

უფლებების იდეა კვლევის მონაცემებში მნიშვნელოვნადაა წარმოდგენილი, მათი უმრავლესობა აქცენტს ღირსებისა და ინტერესების დაცვაზე, სიტყვის თავისუფლებასა და მონაწილეობის უფლებებზე აკეთებს - *„ხარ მოქალაქე ნიშნავს, რომ გაქვს მონაწილეობის უფლება, მონაწილეობა ყველაფერში, მაგალითად, პოლიტიკურ პროცესებში, ასევე, საკუთარი აზრი გამოთქმის, სიცოცხლის და ჯანმრთელობის უფლება".* მნიშვნელოვანია, რომ რესპონდენტები უფლებათა ცოდნის მნიშვნელობაზეც ამახვილებენ ყურადღებას, მათი აზრით, მოქალაქეები უფლებათა ფართო სპექტრით უნდა სარგებლობდნენ, რადგან ეს მათ ინტერესს წარმოადგენს.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა განიხილება, როგორც ძირითადი კონცეფცია კარგი მოქალაქის პასუხისმგებლობებისა. მონაწილეობა მოიაზრებს საქმიანობას საზოგადოების საერთო მიზნებისთვის. *„მე, როგორც მოქალაქეს მაქვს ვალდებულება, დავაფიქსირო საკუთარი აზრი მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით, თუმცა ეს არ უნდა გადაიზარდოს კონფლიქტებში, მაგალითად, დავით გარეჯის მოვლენაზე, აუცილებელია თითოეულმა მოქალაქემ დააფიქსიროს აზრი, რომ მზად არის მისი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვისდა იბრძლოს, რა თქმა უნდა, არა იარაღით, არამედ სიტყვით, თავისუფალი აზრით"..., „თითოეულ მოქალაქეს აქვს დიდი პასუხისმგებლობა იმ ყველაფრის მიმართ, რაც მის ქვეყანაში ხდება, მისი ქუჩის, ქალაქის, საცხოვრებელი გარემოს ეკოლოგიიით დაწყებული, როგორ გამოიყურება, ასევე, პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებითაც უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას. ხელისუფლებას ჩვენ ვირჩევთ, პასუხისმგებლობებს რომ ვგრძნობდეთ ამდენი პრობლემა არ იქნებოდა...", „კარგი მოქალაქე აქტიურად უნდა იყოს ჩართული თავისი ქვეყნის მშენებლობაში, მოქალაქე ვერ იქნება ადამიანი, რომელიც არ მიდის არჩევნებზე*

და ფიქრობს, რომ სახელმწიფო სხვა ვინმეა და თვითონ სხვა, სახელმწიფო ჩვენ ვართ, საზოგადოებასაც ჩვენ ვქმნით, ამიტომ მნიშნელოვანია მონაწილეობა თითოეული რანგის ადამიანისთვის...".

საბოლოო ჯამში, რესპონდენტებისთვის საქართველოს კარგი მოქალაქე წარმოადგენს განათლებულ, ზნეობრივ, ტოლერანტ და პატრიოტ ინდივიდს, რომელსაც აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა ქვეყნისა და თანამემამულეების წინაშე, ამასთანავე, აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ საქმეებში და მინიჭებულ უფლებათა ფართო სპექტრით სარგებლობს.

რესპონდენტებმა პასუხი გასცეს კითხვას თვლიან თუ არა თავს კარგ მოქალაქედ, ასევე, აღნიშნულის მიზეზებზე. მათმა უმრავლესობამ კითხვაზე დადებითი პასუხი დააფიქსირა, მიზეზებად კი რამდენიმე ძირითადი საკიხი დაფიქსირდა: წესების დაცვა, პატრიოტიზმი, გარემოს დაცვა, არჩევნებში მონაწილეობა და პროფესიული პასუხისმგებლობის კეთილსინდისიერად შესრულება.

საინტერესოა, რომ აღნიშნულ კითხვაზე სხვადასხვა საგნის პედაგოგების პასუხების მიხედვით გარკვეული ტენდენცია შეინიშნება, კერძოდ, ქართულის მასწავლებლები თავს კარგ მოქალაქეებად მსგავსი მიზეზების გამო მიიჩნევენ: კანონმორჩილება, აზრის დაფიქსირება მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით და პროფესიული პასუხისმგებლობის შესრულება. ისინი, ასევე, ხაზგასმით აღნიშნავდნენ ზნეობრივი პრნციპების დაცვას - *"ვცდილობ ათი მცნების მიხედვით ვიცხოვრო.... მიყვარს სიკეთის კეთება...."*.

გეოგრაფიის პედაგოგებისთვის, ქართულისგან განსხვავებით, მნიშვნელოვანი აღმოჩნდა პატრიოტიზმი, ისინი კარგი მოქალაქეობის დასტურად პროფესიული პასუხისმგებლობის შესრულებასთან ერთად პატრიოტულ გრძნობებსაც ასახელებენ. ისტორიის მასწავლებლებისთვის პროფესიული პასუხისმგებლობის კეთილსინდისიერად შესრულებასთან და კანონმორჩილებასთან ერთად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა

არჩევნებში მონაწილეობა, მათი უმრავლესობა თავს კარგ მოქალაქედ სწორედ ამ უკანასკნელის გამო მიიჩნევს.

მნიშნელოვანია, ასევე, რომ რსპონდენტთა ნაწილი თავს არ მიიჩნევს კარგ მოქალაქედ, მათი უმრავლესობა მიზეზად საზოგადოებრივ საქმეებში ჩართვისთვის დროის უქონლობასა და სოციალურ პრობლემებს ასახელებს, თუმცა ამბობენ, რომ გრძნობენ პასუხისმგებლობებს. დაფიქსირდა მსგავსი პასუხები - *„არ ვთვლი, რადგან აქტიურად უნდა ვიყო ჩართული ქვეყნის მშენებლობაში, პოლიტიკურ საკითხებში....“, „სამწუხაროდ, კარგ მოქალაქედ ვერ ვთვლი თავს, ალბათ, ესეც სოციალურ პრობლემებს უკავშირდება, ასევე, ეკონომიკურს, გვაქვს სამსახური, შვილები, მრავალი პრობლემა, რის გამოც ამ ყველაფრისთვის არ გვცალია.....“.*

რესპონდენტებმა, რომლებმაც თავი კარგ მოქალაქეებად მიჩნიეს, პასუხი გასცეს კითხვას რამ მოახდინა გავლენა იმ გრძნობებისა თუ დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაზე, რომლებიც მათ კარგ მოქალაქეობას განსაზღვრავს. პასუხების მიხედვით, რამდენიმე ძირითადი ფაქტორი განისაზღვრა: ოჯახი და ჩვენი ქვეყნის გასული საუკუნის ისტორიული მოვლენები. რესპონდენტები, რომლებმაც კარგი მოქალაქეობისთვის საჭირო შეგრძნებებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბება ოჯახს დაუკავშირეს, ამბობენ, რომ სწორედ ოჯახში მიეჩვივნენ პასუხისმგებლობებით ცხოვრებას, რამაც მოგვიანებით მათში წესების დაცვისა და წესრიგის კულტურის გაჩენა განაპირობა.

გასული საუკუნის ისტორიული მოვლენები, კერძოდ კი ჩვენი ქვეყნის ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის, ტერიტორიების დაკარგვა და დისიდენტური მოძრაობები მოქალაქეობრივი შეგრძნების გაჩენის წყაროდ ისტორიის მასწავლებლებმა დაასახელეს.

კვლევის უმნიშვნელოვანესი ნაწილი მოქალაქობრივ განათლებას, კერძოდ კი იმ ძირითად საკითხებსა და მიდგომებს უკავშირდება, რომლებსაც რესპონდენტები საგაკვეთილო პროცესში იყენებენ მოსწავლეების მოქალაქეობრივი განვითარებისთვის.

თავდაპირველად, ისინი სცემდნენ პასუხს კითხვაზე თითოეულის საგანი მოქალაქეობრივი განათლების რა საშუალებას აძლევთ, პასუხების მიხედვით

მნიშვნელოვანი ტენდენციები გამოივეთა. სამწუხაროდ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არასახარბიელო შედეგები ფიქსირდება. მართალია, აღნიშნული საგნის ფარგლებში მათ არ მოეთხოვებათ მოსწავლეების მოქალაქეობრივი განვითარება ქცევების დონეზე, რაც მონაწილეობით პრაქტიკას მოიაზრებს, თუმცა მათი პასუხისმგებლობა იმ უნარების განვითარებას უკავშირდება, რომლებიც მათ აუცილებლად დასჭირდებათ, როგორც მოქალაქეებს, კერძოდ, ანალიტიკური, ლოგიკური, სისტემური და სიმბოლური აზროვნება და კვლევითი უნარ-ჩვევები. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული აღნიშნული უნარ-ჩვევები, რომლებიც მათემატიკის, ბიოლოგიისა და ქიმიის სწავლების უმთავრეს მიზნებს წარმოადგენს, პირდაპირ მიემართება მოსწავლეთა საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვასა და საკუთარი თავის, საზოგადოებისა და გარემოს მიმართ პასუხისმგებლობოს გააზრებას, რესპონდენტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მოქალაქეობრივი განათლების განსახორციელებლად აღნიშნული საგნების ფარგლებში მათ არანაირი საშუალება არ აქვთ, ფიქსირდება მსგავსი პასუხები: *„სახელმძღვანელოები ძალიან გადატვირთულია და კარგი იქნებოდა თავისუფალი გაკვეთილების ჩატარების საშუალება თუკი გვექნება...“, „მაქვს თავისუფალი გაკვეთილები, გამოვხატავთ თავისუფალ აზრს, ვცდილობ, განსხვავებულად მივუდგეთ, სახელმძღვანელოთი არ შემოვიფარგლოთ და მათი აზრები მოვისმინო...“,* პასუხები ცხადჰყოფს, რომ რესპონდენტები მოქალაქეობრივ განათლებას საგაკვეთილო პროცესის ნაწილად არ განიხილავენ, პასუხების მიხედვით შეგვიძლია აღნიშნულის განმაპირობებელ ერთერთ მიზეზზეც ვიმსჯელოთ, ცალსახად იკვეთება ტენდენცია, რომ სწავლების პროცესის მთავარი მიზნები - ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებითა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული უნარ-ჩვევები თუ დამოკიდებულებები, ერთგვარად იგნორირებულია, მათემატიკის ერთერთი მასწავლებელი პირდაპირ აღნიშნავს, რომ მათემატიკა იმდენად რთულია, რომ მოქალაქეობისთვის დრო ნამდვილად არ აქვთ, ზემოთ აღნიშნულ ერთერთ ციტატაში კი მასწავლებელი ამბობს, რომ კარგი იქნებოდა მოქალაქეობრივი განვითარებისთვის დამატებითი თავისუფალი გაკვეთილების ჩატარების შესაძლებლობა ჰქონდეთ. გამომდინარე იქიდან, რომ კვლევის ობიექტებს მხოლოდ პედაგოგები წარმოადგენენ,

რთულია აღნიშნული დამოკიდებულებით გამოწვეულ შედეგებზე მსჯელობა, თუმცა თუკი გავითვალისწინებთ, რომ საერთაშოისო კვლევების (TIMSS, PISA), მიხედვით 2015-2016 წლის მონაცემებით, მათემატიკაში მოსწავლეთა მიღწევებისა და მათი შეფასების საშუალო შედეგი საერთაშორისო საშუალო სკალირებულ ქულაზე გაცილებით დაბალია, საერთო ჯამში კი, მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში საქართველოში მე-4-8 კლასელთა ცოდნა ისეთი ქვეყნების დონეზეა, როგორებიცაა ჩილე, მექსიკა, კატარი და თურქეთი, რაც არასახარბიელო შედეგს წარმოადგენს, მნიშვნელოვან ხარვეზებს ვაწყდებით.

მნიშვნელოვანი ტენდენცია გამოიკვეთა უცხო ენის მასწავლებელთა პასუხებშიც. მაშინ როდესაც მოქალაქეობრივი თვალსაზრისით ეროვნული სასწავლო გეგმა უცხო ენების ფუძემდებლურ მიზნებად საგნობრივი ცოდნის შეძენასთან ერთად სამოქალაქო უნარ-ჩვევების განვითარებას, ინდივიდუალური მრავალფეროვნებისა და კულტურული გარემოს თვითმყოფადობის, მისი განუმეორებლობის დაფასებას და პატივისცემას განსაზღვრავს, რესპონდენტების პასუხები პირდაპირ ეხმიანება მათ. ისინი კონკრეტულ აქტივობებზე საუბრისას ამბობენ, რომ სისტემატურად აკეთებენ აქცენტს მრავალფეროვნებაზე - *„ჩემს საგანში, მაგალითად, ვაკეთებთ კულტურათაშორის შედარებებს და აი ეს უკვე აძლევს ბავშვს საშუალებას გაიაზროს ჩვენი კულტურა, ადათ-წესები, ასევე, სხვა კულტურები, ადათ-წესები და შეადარონ ერთმანეთს, რაც უჩენთ სურვილს, რომ უყვარდეთ ყოველივე და შემოუნახონ მომავალ თაობას...“, „ყოველი ჩემი გაკვეთილი სხვა ქვეყნების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების გაჩენას ეთმობა, მაგალითად, თუკი თავსაბურავებზე მაქვს პროექტი, ვიღებ არა მხოლოდ საქართველოს, არამედ, სხვადასხვა ქვეყნის თავსაბურავებს, ასევე, თოჯინებს და ა.შ.....“.*

მოქალაქეობრივ განვითარებაში საზოგადოებრივი მეცნიერებების მნიშვნელობიდან გამომდინარე, რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია გამოიკვეთა ისტორიის მასწავლებელთა პასუხებშიც. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სრული უმრავლესობა ცალსახად აღიარებს მათი საგნის მნიშვნელობას მოსწავლეთა მოქალაქეობრივი განვითარების თვალსაზრისით. რესპონდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი პირდაპირ

საუბრობს იმ უნარებსა თუ ღირებულებებზე, რომლებსაც ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს, როგორც ისტორიის სწავლების მიზნებს, კერძოდ, პატრიოტიზმს, სახელმწიფოებრივ აზროვნებასა და კულტურულ მრავალფეროვნებას. რესპონდენტები საუბრისას შემდეგ საკითხებზე ამახვილებენ ყურადღებას: კონკრეტული ეპოქების, მოვლენებისა თუ ფაქტების ცოდნა, თითოეული მოვლენის განხილვა ჩვენს ქვეყანასთან მიმართებით და მოსწავლეების, როგორც ინდივიდების განვითარება, პასუხები არის მსგავსი: *„მოვლენებს ჩვენს ქვეყანასთან მიმართებით განვიხილავთ, მაგალითად, რა შეიძლება მოჰყვეს მიგრაციას-ერის გადაშენება, ვსაუბრობთ ამ პრობელმებზე, საფრთხეებზე...“, „პროპაგანდას ვუწევ პატრიოტიზმს, ვაჩვენებ რამდენად მნიშვნელოვანია ინდივიდების აქტიურობა ქვეყნის წინსვლაში....“, „ვასწავლი როგორი ძლიერები ვიყავით.....“,* რესპონდენტები, ასევე, ხაზს უსვამენ კონკრეტული ფაქტების, მოვლენებისა თუ ეპოქების ცოდნის მნიშვნელობას, მათი აზრით, აღნიშნული მოსწავლეებში სახელმწიფოებრივი აზროვნების ჩამოყალიბებებას ემსახურება, რასაცისტორიული მაგალითების გარეშე ვერ შეძლებენ. თუმცა, მეორე მხრივ, რესპონდენტები ნაკლებ აქცენტს აკეთებენდემოკრატიული პრინციპებზე - თანასწორობა, მონაწილეობა, კულტურული მრავალფეროვნება,რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ისტორიის სწავლების უმნიშვნელოვანეს მიზნებს წარმოადგენს.

საყურადღებო შედეგები დაფიქსირდა გეოგრაფიის მასწავლებელთა პასუხებში. თუკი გავითვალისწინებთ მოქალაქეობრივი თვალსაზრისით ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს,კვლევის შედეგების თანახმად, მდგომარეობა არასახარბიელოა. მართალია, რესპონდენტები აღიარებენ მათი საგნის დიდ მნიშვნელობას მოქალაქეობრივი განვითარების თვალსაზრისით, თუმცა, სამწუხაროდ, აქცენტები არ კეთდება გეგმით განსაზღვრულ ერთერთ უმნიშვნელოვანეს ღირებულებაზე - გარემოსდაცვით ცნობიერებაზე, რაც განმარტებულია, როგორც ადამიანის მიერ ბუნებაზე ზემოქმედების შედეგების გაანალიზება და გარემოს მიმართ მზრუნველი დამოკიდებულების ჩამოყალიბება. მეორე მხრივ, რესპონდენტები აქტიურად საუბრობენ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ისეთ მნიშვნელოვან ღირებულებაზე,

როგორიცაა კულტურული მრავალფეროვნება - *„მსოფლიოს როცა ვასწავლი, იქაც ვადარებ ჩვენს ქვეყანას, პარალელს ვავლებთ სხვა ხალხებზე, მაგალითად, ამერიკელებზე, ევროპელებზე...“*, ასევე, პატრიოტიზმზე - *„ვესაუბრები კულტურულ ძეგლებზე, ღირშესანიშნაობებზე, ყოველივეზე პრეზენტაციებსაც ვაკეთებინებთ, ამ პროცესში ყველა ერთვება, სუსტი მოსწავლეებიც კი, ვინაწილებთ საქართველოს კუთხეებზე, ვეცნობით ტრადიციებს, მათ კულტურულ ძეგლებს, შესაბამისად, უჩნდებათ შეგრძნება, რომ ყოველივე მათია...“, „ვცდილობ დავაფიქრო ჩვენი ქვეყნის პრობემებზე და განვითარების პერსპექტივებზე, როგორ შეიძლება გავხდეთ წარმატებულები რესურსების გამოყენებით“.*

მრავალმხრივად მნიშვნელოვანი შედეგები ფიქსირდება ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგების პასუხებში. მათი სრული უმრავლესობა მოქალაქეობრივ განვითარებაში საგანს მნიშვნელოვნად დიდ როლს ანიჭებს. პირველ რიგში ისინი საუბარს იწყებენ მოსწავლეების განვითარებაზე მორალური თვალსაზრისით, რომელსაც თითოეული ტექსტის ფარგლებში მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ, მიზნად კი სწორი ღირებულებების ჩამოყალიბებას ასახელებენ, დაფიქსირდა მსგავსი პასუხები: *„ტექსტებს მორალური კუთხით განვიხილავთ „ბავშვმა უნდა იცოდეს კარგი და ცუდი, დადებითი და უარყოფითი, სტერეოტიპული დამოკიდებულებები, რაც ქუჩიდან, სამეზობლოდან თუ დედის დაქალებიდან ესმით, უნდა მიეცეს სწორი მიმართულება...“, „თითოეულ ავტორს ტექსტებშიც გარკვეული მორალური პრობლემის გადაწყვეტის მიზანი აქვს....“, „აქცენტს ვაკეთებ ურთიერთობებზე, პატივისცემაზე, სიყვარულზე....”,* მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო გეგმა ქართული ენის სწავლების ერთერთ მნიშვნელოვან მიზნად სწორედ ჰუმანურობის განვითარებას განსაზღვრავს.

რესპონდენტების პასუხებში მკაფიოდ გამოიკვეთა მასწავლებელთა ჩართულობა საკლასო გარემოში, ისინი აღნიშნავენ, რომ ხშირ შემთხვევაში ტექსტებს სწორედ კლასში არსებული/მიმდინარე მოვლენებისა თუ მდგომარეობის მიხედვით არჩევენ, ფიქსირდება მეტად საინტერესო პასუხები: *„როცა ვნახე ვიღაც ბავშვის წინააღმდეგ მიდიოდნენ, მე გადავედი ლეონიძის მარიტაზე, ბრბოს ფსიქოლოგია გავიარეთ და ამის მაგალითზე*

განვიხილეთ კლასის ამბავიც....", მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული მიდგომა მოსწავლეებს მხატვრულ ტექსტებში ასახული სიღრმისეული ცხოვრებისეული პრობლემების პიროვნული გამოცდილების საფუძველზე გააზრებისა და შეფასების საშუალებას აძლევთ, რაც საგნის სწავლების კიდევ ერთ მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს. რესპონდენტები, ასევე, ხაზს უსვამენ საგაკვეთილო პროცესში ტოლერანტული განწყობების ჩამოყალიბებას.

რესპონდენტებმა მოქალაქეობრივ განათლებასთან დაკავშირებით კიდევ ერთ მნიშვნელოვან კითხვას გასცეს პასუხი, კერძოდ, რა მიდგომებსა თუ სტრატეგიებს იყენებენ მოსწავლეების მოქალაქეობრივი განვითარებისთვის. სხვადასხვა საგნის ჭრილში ამ შემთხვევაშიც განსხვავებული ტენდენციები გამოიკვეთა.

გეოგრაფიის მასწავლებლები მოქალაქეობრივი განათლების პროცესში ისეთი მნიშვნელოვანი მეთოდის გამოყენებაზე საუბრობენ, როგორიცა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, მათი ნაწილი აღნიშნავდა, რომ ხშირად ცდილობენ მოსწავლეები დააფიქრონ ისეთ პრობლემურ საკითხებზე, როგორებიცაა ჩვენს ქვეყანასთან დაკავშირებული მიგრაციული პროცესები, ეკონომიკური პრობლემები და ა.შ. ფიქსირდება მსგავსი პასუხები: *„ვცდილობ სულ პრობლემებზე დავაფიქრო, აი მაგალითად, როდესაც გავდივართ სხვა ქვეყნების გეოგრაფიას, მე ვთავაზობ შემდეგ დავალებებს ვეუბნები, მაგალითად, ნორვეგია იგივე მოსახლეობა რაოდენობით, რაც ჩვენ, თან ბუნებრივი პირობებით ვერც კი შეგვედრებიან, რატომ იბადებიან იქ ბავშვები ანაბრებით და აქ ვალებით, ასევე, ისლანდია, ყინულების მეტი არაფერი რომ არ აქვთ, მაგრამ ზამთარშიც კი ასფალტზე თოვლი არ ჩერდება, რადგან ტრასასაც კი ათბობენ....",* ასევე, აქტიურად საუბრობენ მსჯელობაზე, რომელიც, ძირითადად, ჩვენი ქვეყნის ღირსებების დანახვას ემსახურება. სამწუხაროდ, რესპონდენტები აქცენტს არ აკეთებენ საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობით პრაქტიკაზე, მაგალითად, გარემოს დაცვასთან დალავშირებულ პროექტებზე ან სხვადასხვა ღონისძიებეაზე, მათი მუშაობა, ძირითადად, თეორიული ცოდნის გადაცემით შემოიფარგლება.

ისტორიის მასწავლებლებიც მოქალაქეობრივი განათლების სწავლების პროცესში ძირითად აქცენტს პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებაზე აკეთებე, გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით კი ღია დისკუსიებს მიმართავენ. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდს რესპონდენტები ისეთ საკითხთან დაკავშირებით იყენებენ, როგორიცაა მიგრაციული პროცესები, რესპონდენტების თქმით, მოსწავლეები მსჯელობენ არა მარტო მოგვარების გზებზე, ასევე, პრობლემის გამომწვევ მიზეზებზეც.

რესპონდენტთა ნაწილი ღია დისკუსიებზე აკეთებს აქცენტს, მათი თქმით, აღნიშნული მიდგომა სხვადასხვა ეპოქებისა თუ მოვლენების შედარებაში ეხმარებათ. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული მიდგომები მოსწავლეებში ისეთი უნარების განვითარებაში ეხმარება, როგორებიცაა ანალიტიკური, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება, რაც ერთი მხრივ, მოსწავლეებს საზოგადოებრივი პროცესების მრავალფეროვანი აღქმის, გაანალიზებისა და შეფასების საშუალებას აძლევს, მეორე მხრივ კი, ადეკვატური რეაქციის, ქმედების საშუალებას, თუმცა, სამწუხაროდ, ერთი მხრივ, რესპონდენტთა პასუხებიდან ცხადი ხდება, რომ ისინი აღნიშნულ მეთოდებს იშვიათად იყენებენ, საგაკვეთილო პროცესის ძირითადი ნაწილი კი ფაქტების გადაცემას და მოსწავლეთა მხრიდან მათი ზეპირი სახით წარმოდგენას ეთმობა, მეორე მხრივ, მასწავლებლები, ისევე, როგორც გეოგრაფიაში, აქცენტს არ აკეთებენ მოქალაქეობრივი განათლების მონაწილეობით პრაქტიკაზე. ხელოვნების პედაგოგები ძირითად აქცენტს საუბრის მეთოდზე აკეთებენ, მათი თქმით, მოქალაქეობრივ განათლებას, ძირითადად, საუბრების გზით ახორციელებენ, კერძოდ, მოსწავლეებ ესაუბრებიან კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, მომავალი თაობებისთვის გადაცემის მნიშნელობაზე, ფიქსირდება მსგავსი პასუხები: *„ვესაუბრები იმას, რომ ისინი არიან ამ ქვეყნის მოქალაქეები, შესაბამისად, მცველები არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობისა, რომ შემოუნახონ და გადასცენ მომავალ თაობას, ძირითადად, ვსაუბრობთ ამ საკითხებზე....“.*

სამწუხაროდ, მუსიკის, ბიოლოგიისა და ქიმიის მასწავლებლები მოქალაქეობრივი განათლების სწავლების პროცესში კონკრეტულ მიდგომებზე არ საუბრობენ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგების პასუხები განსაკუთრებით მრავალფეროვანი აღმოჩნდა. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაზეც რესპონდენტები აკეთებენ აქცენტს არის მოქალაქეობრივი განათლების მონაწილეობითი პრაქტიკა, აღნიშნულ ტენდენციას ნათლად ცხადჰყოფს ერთერთი მასწავლებლის კომენტარი - *„საჭიროა, რომ სკოლაში ისე დაიგეგმოს პროცესი, რომლებიც ბავშვებს მოქალაქეობრივი საქმიანობის პრაქტიკაში განხორციელების შესაძლებლობას მისცემთ, მაგალითად, გავიდნენ სადღაც დასალაგებლად, აი თუნდაც ძაღლების თავშესაფარში. მე დამყავს ჩემი სადამრიგებლო ექსკურსიაზე, საიდანაც აუცილებლად მივდივართ თუნდაც წყნეთში ან კოჯრის ბავშვთა სახლში და „ერთი ძეხვის ფულით“ მათ რაღაცებს ვყიდულობთ...“.*

რესპონდენტების ნაწილი კი აქცენტს ღია დისკუსიებსა და მსჯელობებზე აკეთებს, მათი თქმით, აღნიშნული მიდგომები მოსწავლეებს ტექსტების იდეურ გააზრებაში, პერსონაჟების ხასიათის წვდომასა თუ თითოეულ ტექსტში დასმული მორალური პრობლემების გადაჭრაში ეხმარებათ. რესპონდენტები პირდაპირ აღნიშნავენ, რომ გამუდმებით ცდილობენ მოსწავლეთა აზრების, დამოკიდებულებების მოსმენას და მათი თავისუფალი აზროვნების წახალისებას, რაც მოსწავლეზე ორინეტირებულ მიდგომას მოიაზრებს.

რესპონდენტებმა მოქალაქეობრივი განათლების პროცესში გამოყენებული სწავლების მეთოდების შემდეგ იმ ხელისშემშლელ ფაქტორებზე ისაუბრეს, რომლებიც, მათი აზრით, აღნიშნულ პროცესს აბრკოლებს და მოგვარების შემთხვევაში, მოქალაქეობრივი განათლების პროცესს უფრო ეფექტურს, სახალისოს და საინტერესოს გახდის. რესპონდენტები სამ მნიშვნელოვან ფაქტორზე ამახვილებენ ყურადღებას, პასუხების მიხედვით კი, სხვადასხვა საგნის პედაგოგების ჭრილში განსხვავებული ტენდენციები არ იკვეთება. ერთერთ ყველაზე მნიშნელოვან ფაქტორად ტექნოლოგიური უზრუნველყოფა დასახელდა, რაც კვლევაში მონაწილე სკოლებისთვის ერთნაირად მწვავე დააქტუალურ პრობლებას წარმოადგენს. რესპონდენტების თქმით, სკოლებში მხოლოდ თითო ოთახია ტექნოლოგიებით აღჭურვილი, რაც მათი მხოლოდ იშვიათად გამოყენების საშუალებას

იძლევა, ფიქსირდება მსგავსი პასუხები: *„რესურსებია მეტი საჭირო, მაგალითად, ტექნოლოგიური, ძალიან კარგი იქნება საშუალება მქონდეს ვაჩვენო დოკუმენტური ფილმები, თუნდაც რუკები, ვიდეოებს, პრეზენტაციებს, ვაკეთებთ ყველაფერს, თუმცა მაინც ნაკლებად. მივცემდი დავალებებს და პრეზენტაციების სახით წარმოადგენდნენ....“, „ყველა კლასი აღჭურვილი უნდა იყოს ტექნიკით, მე უნდა მიმიწვდებოდეს ხელი მასზე, აი რომ ვასწავლო საქართველოს ტურიზმი, უნდა ვაჩვენო თუნდაც ადგილები, რომლებიც მოსწონთ ტურისტებს, სამწუხაროდ, ვერ ვაჩვენებ...“.* მასწავლებლები ტექნოლოგიების სიმცირეს კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემას - სწავლების ტრადიციული მეთოდების მიმართ მოსწავლეთა დაბალ ინტერესს უკავშირებენ,მსგავსი კომენტარები ფიქსირდება: *„21- ე საუკუნის ბავშვებს ნამდვილად აღარ აკმაყოფილებთ ძველი მიდგომები, ჩვენ გვთხოვენ განსხვავებულ მიდგომებს, თუმცა მოცემულობა იგივე დარჩა, ძველი...“.*

მასწავლებლები კიდევ ერთ მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორად სახელმძღვანელოებს ასახელებენ, თუმცა მათი აქცენტი კეთდება არა თავად ტექსტებისა თუ სხვა სასწავლო მასალების ხარისხზე, არამედ სახელმძღვანელოების გადატვირთულობაზე - ტექსტების რაოდენობაზე, სამწუხაროდ, რესპონდენტები კითხვაზე ხომ არ გიცდიათ ტექსტების გაცხრილვა და საგაკვეთილო პროგრამის განტვირთვა, აცხადებენ, რომ მათ შესაბამისი კომპეტენცია არ აქვთ და საჭიროდ მიიჩნევენ სახელმძღვანელოების განტვირთვა შესაბამისმა ინსტიტუტებმა უზრუნველყონ.

მასწავლებლები მოქალაქეობრივი განათლების პროცესში კიდევ ერთ მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორზე - ოჯახზე საუბრობენ. როგორც ზემოთ აღინიშნა, მათი ნაწილი მათ მოქალაქეობრივ ცნობიერებას სწორედ ოჯახს, იქ მიღებულ გამოცდილებას უკავშირებს, შესაბამისად, რესპონდენტები ოჯახს მოქალაქეობრივ განვითარებაში მეტად მნიშნელოვან ფაქტორად მიიჩნევენ, მათი თქმით, სკოლის მხრიდან განხორციელებული ყოველგვარი ღონისძიებები თუ ინტერვენცია უშედეგო და არაეფექტური იქნება, თუკი ოჯახიც იგივე ღირებულებების განვითარებას არ შეუწყობს ხელს. მასწავლებლების ნაწილი ხაზს უსვამს სკოლისა და ოჯახის თანამშრომლობის მნიშვნელობას მოსწავლეთა წარმატებული მოქალაქეობრივი განვითარების საქმეში, ფიქსირდება მსგავსი პასუხები:

„ოჯახიც უმნიშვნელოვანესია, მხოლოდ სკოლა ვერ შეძლებს მოსწავლეების განვითარებას მოქალაქეობრივი თვალსაზრისით, ყოველგვარი ინტერვენცია უშედეგო იქნება...“.

აღსანიშნავია, რომ ერთი მხრივ, რესპონდენტების პასუხები მოქალაქეობრივი განათლების პროცესში გამოყენებული მიდგომების სიმწირეს ცხადჰყოფს, ძირითადად თეორიული მსჯელობებით, დისკუსიებითა და პრობლემაზე დაფუძნებული მიდგომით შემოიფარგლება და აქცენტს არ აკეთებს მონაწილეობით პრაქტიკაზე, თუმცა, მეორე მხრივ, მისასალმებელია ის ფაქტი, რომ მათი უმრავლესობა მოქალაქეობრივი განათლების პროცესში გამოყენებულ მიდგომებზე საუბრისას აქტიურად ამახვილებს ყურადღებას მოსწავლეთა მსჯელობებზე, პირადი დამოკიდებულებების გამოხატვაზე, რაც მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას მოიაზრებს, ამ უკანასკნელს კი მოქალაქეობისთვის მნიშვნელოვანი უნარების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი აქვს.

დასკვნები

კვლევამ მოქალაქეობრივ განათლებასთან დაკავშირებით რამდენიმე მნიშვნელოვანი შედეგი ცხადჰყო. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ საჯარო სკოლების სხვადასხვა საფეხურისა და საგნის მასწავლებლებს სწორად ესმით მოქალაქის ცნება, რადგან მოქალაქის განსაზღვრებისას რესპონდენტები ისეთ მნიშვნელოვან ფუძემდებლურ მახასიათებლებზე აკეთებენ აქცენტს, როგორებიცაა უფლებები, პასუხისმგებლობები, მონაწილეობა და დემოკრატიული მოქალაქეობის მთავარი ღირებულებები - ტოლერანტიზმი, მრავალფეროვნება და ა.შ.

კვლევის კიდევ ერთ მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენს ის, რომ მასწავლებლები თავს კარგ მოქალაქეებად, ძირითადად, ისეთი მახასიათებლების გამო მიიჩნევენ, როგორებიცაა წესების დაცვის, პატრიოტიზმის, გარემოს დაცვა, არჩევნებში მონაწილეობა და პროფესიული პასუხისმგებლობის კეთილსინდისიერად შესრულება, თუმცა, სამწუხაროდ, აქცენტს არ აკეთებენ საზოგადოებრივ პროცესებში აქტიურ ჩართულობაზე.

კვლევის ძირითადი მიგნება მოქალაქეობრივ განათლებას უკავშირდება, მნიშვნელოვანია, რომ იმ საგნის მასწავლებლები, რომელთაც მოქალაქეობრივი განვითარების თალსაზრისით ეროვნული სასწავლო გეგმა მნიშვნელოვან მიზნებს

განუსაზღვრავს, სწორად ესმით მათი საგნის მნიშვნელობა მოსწავლეთა მოქალაქეობრივ განვითარებაში, შესაბამისად, ცდილობენ მოსწავლეებში მოქალაქეობისთვის მნიშვნელოვანი ისეთი უნარებისა თუ დამოკიდებულებების ჩამოყალიბება-განვითარებას, როგორებიცაა პასუხისმგებლობა, ზნეობრიობა, ტოლერანტიზმი და ა.შ, თუმცა რესპონდენტთა პასუხებიდან ცხადი ხდება, რომ ეს პროცესი არ არის სტრუქტურირებული და ორგანიზებული.

კვლევის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიგნება მოქალაქეობრივი განათლების მიდგომებსა და სტრატეგიებს უკავშირდება. მასწავლებლები სწავლების პროცესში იშვიათად იყენებენ სწავლების პრობლემაზე დაფუძნებულ მეთოდსა და ღია დისკუსიებს, საერთოდ არ იყენებენ პროექტით სწავლებას.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოქალაქეობრივი განათლების არსებული მდგომარეობის ერთერთ მნიშვნელოვან პრობლემად მონაწილეობითი პრაქტიკის ნაკლებობა გამოვლინდა, მასწავლებლები მოქალაქეობრივი განათლების პროცესში ვერ უზრუნველყოფენ მოსწავლეებს მოქალაქეობასთან დაკავშირებული მონაწილეობითი პრაქტიკით, შესაბამისად, მოქალაქეობრივ უნარებს ვერ განავითარებენ ჩვევების დონეზე;

მოქალაქეობრივი განვითარების თვალსაზრისით საკუთარი საგნის მნიშვნელობას სწორად ვერ აფასებენ ბიოლოგიის, მათემატიკისა და ქიმიის მასწავლებლები, ისინი მოქალაქეობრივ განათლებას საგაკვეთილო პროცესის ნაწილად არ განიხილავენ.

მასწავლებლები მოქალაქეობრივი განათლების პროცესის მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორებად ტექნოლოგიებისა და მრავალფეროვანი სასწავლო მასალის სიმწირესა და ოჯახების რეზისტენტულობას ასახელებენ.

რეკომენდაციები

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებება საგანმანათლებლო დანიშნულებასთან ერთად გარკვეული პოლიტიკური მიზნებიც აკისრია. სკოლებზე, სხვა ინსტიტუტებზე მეტად არის დამოკიდებული მომავალი მოქალაქეობის ხარისხი და ბუნება. არსებობს მკაფიო კავშირი სამოქალაქო დაწესებულებების ცოდნას, აქტიურ მოქალაქეობასა და დემოკრატიულობის შენარჩუნება, განმტკიცებას შორის, შესაბამისად, მეტად მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხების გათვალისწინება:

- ✓ მოქალაქეობრივი განათლების წარმატებას, უმეტესწილად, განსაზღვრავს მასწავლებლის მიე განხორციელებული სწავლების პროცესი საკლასო ოთახში, შესაბამისად, საჭიროა, მასწავლებლების კომპეტენციის ამაღლება მოქალაქეობრივი განათლების რამდენი ძირითადი მიმართულებით, კერძოდ:

  ა) მოქალაქეობრივი განათლების არსი და მნიშვნელობა;

ბ) მიდგომები და სტრატეგიები, რომლებსაც მოქალაქეობრივი განათლება ეფუძნება და რომლებიც მოქალაქეობრივი განათლების ეფექტურობას უზრუნველყოფს;

გ)მონაწილეობაზე დამყარებული მიდგომების განხორციელება და შეფასება;

დ) თემისა და პარტნიორების ჩართვა მოქალაქეობრივ განათლებაში.

- ✓ მოქალაქეობრივი განათლების ეფექტური განხორციელებისთვის სწავლების რესურსების განვითარება და მომზადების ხელშეწყობა;
- ✓ მოქალაქეობრივ განათლებაში სამოქალაქო ორგანიზაციების ჩართვა, მოიაზრება მოქალაქეობრივი სწავლების ორგანზაციები, გამომცემლობები, რომლებიც შექმნიან ადეკვატურ სასწავლო მასალას და ჟურნალებს მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის, ასევე, მნიშვნელოვანია მათი მჭიდრო თანამშრომლობის უზრუნველყოფა სკოლებთან;
- ✓ საჭიროა კურიკულუმის განვითარების ერთეულებისა და კომიტეტების შექმნა, რომლებიც განსაზღვრავენ და შეაფასებენ მოქალაქეობრივი განათლების განხორციელების პროცესს;
- ✓ მნიშვნელოვანია არსებობდეს დაწესებულებები, რომლებიც მოქალაქეობრივ განათლებასთან დაკავშირებით სკოლებისთვის შექმნიან მომსახურებას და აქტივობებს და აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით სისტემატურად რეკომენდაციებს შეიმუშავებენ;
- ✓ აუცილებელია მოქალაქეობრივი სწავლების არსსა და მნიშვნელობაზე ინფორმაციის მიწოდება მშობლებისთვის და სასწავლო პროცესში ჩართული სხვა პირებისთვის. აღნიშნულისთვის შესაძლებელია ბროშურების, რეკლამების, სიმღერების, პოსტერების და ა.შ. გამოყენება;
- ✓ საჭიროა მოქალაქეობრივი განათლების სტატუსზე საჯარო სკოლებში ყურადღების გამახვილება, ამისთვის, შესაძლებელია, სკოლებში სპეციალური პოზიციის შექმნა, ეს იქნება ადამიანი, რომელიც თვალყურს მიადევნებს მოქალაქეობრივ განათლებასთან დაკავშირებული ინიციატივების სწორად წარმართვას, მას ექნება

მჭიდრო კავშირი თითოეული საგნის მასწავლებელთან და რეგულარულად გაუწევს მიზნობრივ კონსულტაციებს;

- ✓ მოქალაქეობრივი განათლების წარმატებული ხელშეწყობისთვის გადამწყვეტად მნიშვნელოვანია სკოლების ტექნოლოგიური უზრუნველყოფა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბრეტი, პ. მომპოინტ, გ. სალემა, მ. (2009). რა უნდა გააკეთოს თითოეულმა მასწავლებელმა სამოქალაქო განათლებისა და ადამიანის უფლებების სწავლების ხელშესაწყობად: კომპეტენციების ჩარჩო;
2. ბეროუსი, გ, რუხაძე, ზ, კვაჭაძე, მ, გაფრინდაშვილი, ლ, იზორია, ლ. (2011). მოქალაქეობა და დემოკრატია;
3. საქართველოსგანათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, (2018).ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024,თბილისი;

4. საქართველოს პარლამენტი. (2005). „ზოგადი განათლების შესახებ“(1330). თბილისი;
5. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2010). სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსი(80/ნ). თბილისი;
6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2014). მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტი(39/ნ). თბილისი;
7. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2004). ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები(დადგენილება №84). თბილისი: საქართველოს მთავრობა;
8. საქართველოს პარლამენტი. (2004).საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ(220). თბილისი;
9. საქართველოს პარლამენტი. (2014). საქართველოს მოქალაქეობის შესახებ(2319-IIს). თბილისი;
10. საქართველოს პარლამენტი. (2014). დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ(2391-IIს). თბილისი;
11. საქართველოს პარლამენტი. (1997). კულტურის შესახებ(751). თბილისი;
12. საქართველოს მთავრობა. (2009). შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ(348). თბილისი;
13. ევროპის საბჭო. (2010).დემოკრატიული მოქალაქეობისთვის განათლებისა და ადამიანის უფლებებათა სწავლების შესახებ;
14. Andrew, C. (2005). "The Renaissance, the Reformation, and the Rise of Nations". The Teaching Company;
15. Angell, V. (1991). Democratic Climates in Elementary Classrooms: A Review of of Theory and Research. Theory & Research in Social Education;
16. Aristotle. (2013). The politics. In S. Lazar (ed.), The anthropology of citizenship: A reader.West Sussex: John Wiley & Sons, Inc;

17. A Century of Lawmaking for a New Nation: U.S. Congressional Documents and Debates, 1774 - 1875". The Library of Congress. Retrieved 21 September 2016.
18. Bellamy, R. (2014). Citizenship: Historical Development of . InternationalEncyclopaedia of Social and Behavioural Sciences;
19. Berkowitz, AD (1997). From Reactive to Proactive Prevention: Promoting an Ecology of Health onCampus. Chapter 6 in P.C. Rivers and E. Shore (Eds.): A Handbook on Substance Abuse for College andUniversity Personnel, Westport, CT: Greenwood Press;
20. Boyer EL 1990. Civic Education for Responsible Citizens. Educational Leadership;
21. BjörkJónsdóttir,E. (2016). Political and cultural belonging: Anthropological perspectives on citizenship. University of Iceland, Reykjavík;
22. Büyükkaragöz S, Kesici Ş (1998). DemokrasiveİnsanHaklarıEğitimi, TürkDemokrasiVakfıYayınları, Ankara;
23. Büyük L (1986). SözlükveAnsiklopedisi- MilliyetYayınları- İstanbul;
24. Callan E 1994. Beyond Sentimental Civic Education. The American Journal of Education,102:190-221;
25. Carrithers, D., Mosher, M., and Rahe, P. (eds.), 2001, Montesquieu's Science of Politics: Essays on The Spirit of the Laws, Lanham, MD: Rowman & Littlefield.
26. Center for Human Rights and Environment (CHRE). (2011). Advancing the global business and human rights agenda: Joint Civil Society Statement;
27. Collins, S. (2009). Aristotle and the Rediscovery of Citizenship, London: Cambridge University Press; Reissue edition;
28. Colville JK & Clarken RH 1992. Developing Social Responsibility through Law-related Education. San Francisco, CA: American Research Association;
29. Crick, B. (1998). Education for Citizenship and the Teaching of Democracy in Schools: Final report of the advisory group on citizenship; London: QCA
30. Critchley, P. 2004. Machiavelli and the Citizen ideal;

31. Darling Hammond, l. (1998). Teacher Learning That Supports Student Learning. Educational leadership;
32. Davies, l. (2000). Citizenship and the teaching and learning of history. London: Routledge;
33. Dekker, S. (2013). Letter of the State Secretary for Education, Culture and Science to the Dutch House of Representatives. Rijksoverheid;
34. Delanty, G. (2007). Models of citizenship: Defining European identity and citizenship.Citizenship Studies, 285-303
35. Derek, H.A. (2004). Brief History of Citizenship. New York City: New York University;
36. Drake, C. (1987). Educating for Responsible Global Citizenship. Journal of Geography;
37. Drisko G 1993. The responsibilities of schools in Citizenship Education. Journal of Education;
38. Finley, M. (1983) Politics in the Ancient World, Cambridge: Cambridge University Press;
39. Foundations of Western Civilization II, (2006). A History of the Modern World, The Teaching Company;
40. Gross, F. (1999). Citizenship and ethnicity: the growth and development of a democratic multiethnic institution. Westport, Connecticut: Greenwood Press;
41. Giroux JJ 1995. Developing Democratic Education. Ticknall: Education Now Books;
42. Heater, D. (2006). "Emergence of Radicalism". Citizenship in Britain: A History. Edinburgh University Press;
43. Harvey Mc. G (1997) “A Curriculum For Global Citizenship”, Times Educational Supplement;
44. Harvey Mc. G (1997) “A Curriculum For Global Citizenship”, Times. Educational Supplement;
45. Harwood AM & Hahn CL 1992. Controversial issues in the classroom. Bloomington: ERIC Digest;
46. Isin,F. Bryan, S. Turner, eds. (2002). Handbook of Citizenship Studies. London;

47. Jahnige, J. (2002). "Roman Citizenship". Kentucky Educational Television Distance Learning;
48. Kirlin, M.(2003.The role of adolescent extracrcnicularactivities in adult political participationCollege Park, MD:Center for Information and Research on Civic Learning and Engagement;
49. Kurtz, D. (2001). Anthropology and the study of the state. In D. Kurtz (ed.), Politicalanthropology: Paradigms and power. Colorado: Westview Press;
50. Lazar, S. (2013).Introduction.In S. Lazar, Anthropology of citizenship. West Sussex: John Wiley & Sons, Inc;
51. Lazar, S., &Nujiten, M. (2013). Citizenship, the self, and political agency. Critique of Anthropology;
52. Leenders, H.Veugelers, W. De Kat, E. (20017). Teachers' views on citizenship education in secondary education in The Netherlands.Cambridge Journal of Education;
53. Levitt GA & Longstreet WS 1983. Controversy and the Teaching of Authentic Civic Values. The Social Studies, 84:142-148;
54. Locke, J. (2013[1988]). Two treatises of government, 1689. In S. Lazar (ed.), The anthropology of citizenship: A reader (pp. 43-46). West Sussex: John Wiley &Sons,Inc;
55. Marshall, T. H. (2013). Citizenship and social class. In S. Lazar (ed.), The Anthropology of citizenship: A reader (pp. 52-61). West Sussex: John Wiley & Sons, Inc;
56. Maslowski, R., Van der Werf, M., Oonk, G., Naayer, H. and Isac, M. (2012). Burgerschapscompetenties van leerlingen in de onderbouw van het voortgezetonderwijs. Groningen: GION;
57. Ministerie van OnderwijsenWetenschappen (Ministry of Education). (2005). Voorstel van wetenmemorie van toelichting W2624K-2 [Legal proposal and explanation to this proposalno. W262K-2]. Den Haag: Ministerie van OnderwijsenWetenschappen;
58. McGonigle Par J (1999). New Approaches to Citizenship Education and the Teaching of Democracy in School from 2000”, Oxford, Royaume;

59. Mullins SW 1990. Social Studies for the 21st Century: Recommendations of the National Commission on Social Studies in the Schools. Bloomington: ERIC Digest;
60. Nic Craith, M. (2004). Culture and citizenship in Europe. Questions for anthropologists. Social Anthropology, 12(3), 289-300;
61. Onderwijsraad (Dutch Advisory Council for Education). (2003);
62. Onderwijsenburgerschap[Education and citizenship]. Den Haag: Onderwijsraad. Staatsblad. (2005). Law on the Enhancement of Active Citizenship and Social Integration;
63. Ong, A. (1996). Cultural citizenship as subject-making: immigrants negotiate racial and cultural boundaries in the United States. Current Anthropology, 37(5), 737-762;
64. Patrick R 1991. Teaching the Responsibilities of Citizenship. Bloomington: Clearinghouse;
65. Pertijs, I. (2014). 'Belangrijkerolmaatschappijleerbijburgerschapsvorming'. Maatschappij&Politiek;
66. Qualifications and Curriculum Authority.(1998). Education for citizenship and the teaching of democracy in schools, London;
67. Ramazan, Ö. Ezlam, S. (2017). The evaluation of prospective teachers' attitudes towards citizenship and citizenship education. Full Length Research Paper;
68. Rose, N., & Novas, C. (2005). Biological citizenship. In A. Ong, & S. J. Collier (ed.), Global assemblages. Technology, politics, and ethic as anthropological problems. (pp. 439-464). Oxford: Blackwell Publishing Ltd;
69. Rousseau, J. (2013[1762]).The social contract, 1762.In S. Lazar (ed.), The Anthropology of citizenship. West Sussex: John Wiley & Sons, Inc.
70. Rozemeijer S, Renato M (2001). Net forum, ICE 2001, Final Report,Geneva.
71. Stasiulis, D. and Bakan, A. B. (1997) 'Negotiating citizenship: the case of foreign domestic workers in Canada', Feminist Review;
72. Taylor, D. Bryan, T. Hamilton, P. (eds.).(1994). Citizenship:Critical Concepts. United States and Canada: Routledge;

73. Torney-Purta, J., & Barber, C. (2004). Democratic school participation and civic attitudesamong European adolescents. Analysis of data from the IEA Civic Education Study; Strasbourg, France: Council of Europe;
74. Veugelers, W, Leenders, H. (2003). Different Perspectives on Values and Citizenshi Education;
75. Vural İH (2000). İlköğretimVatandaşlikveİnsanHaklarıEgitimi, SerhatYayınları, İstanbul;
76. Weber, M. (1998). Citizenship in Ancient and Medieval Cities. Chapter 3. Minneapolis, MN: The University of Minnesota;
77. WetenschappelijkeRaadvoor het Regeringsbeleid (Scientific Council for Government Policy).(2003). Waarden, normenen de last van het gedrag [Values, norms and behaviour].Amsterdam: Amsterdam University Press;
78. Yvonne M. (2002). Citizenship in transformation in Canada. Toronto: University of Toronto Press;
79. Zarrow, Peter G., eds., (1997). Imagining the People: Chinese Intellectuals and the Concept of Citizenship.

დანართი 1

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Psychology and Educational Sciences

Master's program **"Educational Sciences"**

Bolkvadze Irma

Perception of citizenship and research of practice of citizenship education in teachers

The thesis is fulfilled for the purpose of getting Master's academic degree in Educational Sciences

Master's thesis advisor: Zakaria Kitiashvili

Associate Professor of Faculty of Psychology and Educational Sciences at TSU,

Doctor of Pedagogical sciences

Tbilisi

2019